

ნაწილი კონსტიტუციის
ანო, თბილისი
და
კლუბი, სემინარიუმები!!!



ნინო როსტიაშვილი

ანი, თბილისო,
და
ჰოე, საქართველო!

თბილისი
2022

რედაქტორი მანანა გორგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მაშო მირიანაშვილი
ილია ჩხაიძე

ISBN 978-9941-8-4911-4

წინასიტყვაობა

მე, ნინო როსტიაშვილი, დავიბადე ქ. თბილისში 1971 წლის ბარბარობა დღეს.

დავამთავრე თბილისის 159-ე საშუალო სკოლა, ფიზკულტურის ტექნიკუმი, ფიზკულტურის აკადემია და სამედიცინო ტექნიკუმის სამკურნალო ფაკულტეტი.

მყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

30-წლიანი უწყვეტი სტაჟით ვმუშაობ ახალშობილთა მასაჟისტ-მეთოდისტად.

პოეზიის სიყვარული ჩემში ღრმა ბავშვობიდან გაღვივდა და იმ თავიდანვე დავიწყე ბავშვური განცდების ლექსად გადმოცემა.

ჩემი დიდი თხოვნით, პირველ კრებულში ლექსები შესულია რედაქტირების გარეშე, რათა ჩემი განცდები მკითხველისთვის შელამაზების გარეშე გადმომეცა.

ჩემს მიერ დაწერილი თოთხმეტი ლექსი ულამაზესად აამღერა კომპოზიტორმა მაია სიჭინავამ, ასევე ერთ-ერთი სატრფიალო ლექსისთვის მუსიკა დაწერა და შესანიშნავად შეასრულა ნატალია ჭელიძემ.

ამ ეტაპზე უკვე დაწერილია 300-მდე ლექსი, თუმცა სახსრების უქონლობის გამო, გამოიცემა წიგნის არასრული ვერსია, მცირე ტირაჟით.

პროლოგი

წიგნია ჩემი ტაძარი,
ანბანი წმინდა სანთელი,
მუზეები ჩემი ჯვარცმაა,
ფურცელი სულის საყდარი.
მელანი ზეთის ცხებაა,
ფერიცვალება კალამი,
აღსარებაა ლექსები,
ლოცვაა ყველა სტრიქონი.
ნუ განმიკითხავ, უფალო,
შენთან მოვედი ვედრებით,
ეს ერთი ცოდვაც შემინდე,
თუ ლექსი ვწერე ბოდვებით.
გზად მყავხართ შენ და ლოცვები,
შენგან შენდობას მოველი,
ნუ მიმატოვებ, უფალო,
იმერ-ამერში მჭირდები.

- ტირე -

მე რომ მოვედი
იყო თოვა,
იყო თოვლჭყაპი,
იყო ქარბუქი,
როგორც სჩვევიათ
თბილისის ზამთრებს.
შუა ღამე,
ბარბარეს ღამე.
იყო ცრემლი,
ბევრი ცრემლი,
სასიხარულო.
სტკიოდა როგორ,
ვინ იცის როგორ?!
მაგრამ ცრემლები...
არა ტკივილის...
არა, უფალო,
სასიხარულო,
სასურველი,
დედის ცრემლები
და მოგორავდნენ
მიხუტებულ
ჩვილის ბაგეზე,

რძეს ერეოდნენ
მირონივით
დალოცვილები.
და როცა ნავალ
იქნება დილა,
იქნება მზე და
იქნება ლალი
სულის აფრენა.
არა ცრემლები,
არა თალხები,
მხოლოდ ღიმილი,
მოგონებები.
თან ჩამაყოლეთ
ჩემი კალმები,
ფსალმუნები და
სულის ლოცვები.
გიტოვებთ ლექსებს,
ლექსებს ურიტმოს
ღამენათევს
და
შვილივით ნაფერს...

17.12.20216.

საფშობლო

არა,
ქართველნო?!

ანი, თბილისო და
ჰოე, საქართველო,
სულ მინდა გეფერო,
შენ ჩემო, ბებერო,
ახლა სიზმარში ვარ,
ტვივით მივსეირნობ,
მტკვრის ნაპირით მივუყვები,
საქართველოს.

მესხეთიდან ვინყებ, ფიქრში შენით ტკბობას,
რა გზით მოდიოდა, ნეტავ, ნინო წმინდა?!
ცაა მოლუშული და ბუნდოვნად მოსჩანს,
ეს, გრიგოლ,
ტაო

უღმერთოდ ჩამოშლილა.
ჯავახეთს,
ციხე მზეობს, მძლეობს რაბათი,
ბორჯომს,
პეტრე; პავლე;
მდგარი ათინათი.

ცხისისს მოფენილან ბაბუანვერები,
გორთან უკვეთიათ კლდეში უფლისციხე.
(მურმან, აყვავდნენ ყაყაჩოები)
კვლავ მოსდებია სარკინეთს გვირილები,
სამთვეს უთელია უღვთოდ, ავგიორგის.
ბაგრატ, მოგვაყარე ქიდან ორაგული,
კვლავაც გააკვირვე მტერი,
ალყად მდგარი.

(აქ მამის ნაამბობი მახსენდება)...
ძეგვი დაუცლიათ ოდესღაც მტარვალებს,
როცა ჩაუვლიათ შუკებში ჯალათებს,
მეთაურს უკითხავს: რა შრიალიაო?
ჯარისკაცს უთქვია:
ძე გვისო, ალაგებს.
მცხეთას, მოკვეთილი მკლავი ამტკივდება,
იარებს მიამებს, კვლავ სვეტიცხოველი,
აქ, ჯვრით შემოსულა, ოდეს, წმინდა ნინო,
მაღლი უფრქვევია, შენთვის, საქართველო.
თბილისს მოვადექი,
ძილში დაცვარული,
ჩემი ოცნებების ტივით შენაცური,
რიყეს მეგებება:
მეტეხი, სიონი,
ირიჟრაჟა კიდეც, დამთავრდა სიზმარი.

p.s.

რა წარმტაცი არის ჩემი საქართველო,
მაგრამ ვარდობის თვეს უფრო წარმტაცდები,
ყველა კუთხე მიყვარს, ჩემო საფიცარო,
წამლად მეფინები,
გულზე, საქართველო!
სიტყვა ვერ ვიპოვე შენი შესადარი,
მიხარია დარი, მტკივა მე ავდარი,
ღმერთმა არა ჰქნასო, კიდეც ავდარიო,
შენთვის თავს გავწირავთ,
ქუღზე ქართველნიო!

02.05.2022წ.

მე ვარ...

სულის სიღრმეში მე ვარ ნაცარი,
თავთუხებიდან ერთი მარცვალი,
რომ გადაინვა სამშობლოს ტრფობით,
მე ყველა დარდი ძნებად შეეკარი.
უხსოვარ დროდან, ტკივილიანი,
მრავალჯერ გვლენეს და ვერ დაგვლენეს,
ჩვენი კალო კი თავად დავლენეთ,
წლებად რომ მოგვდევს მზე ღრუბლიანი.
გულის სიღრმეში მე ვარ მტევანი,
მშობელ მიწაზე დაღვინებული,
ფიალებია სევდანარევი,
მიწას გვაცლიან, ვერ გამოგვცლიან!
გულის სიღრმეში დაბერებული,
ისე კი ვჩანვარ ახალგაზრდული,
წლებმა დამატყო შუბლზე ხაზები,
გული შემომრჩა ჩვილგანაზული.
თუ დამჭირდება ვიქნები ხმალი,
აჟღერიალდება ბებერი ძვალი,
მგელსაც ვუძმობ და მის მოყვარესაც,
თუ არ წამართვა ჩემი მთა-ბარი.
მე ვარ ამ ქვექნად მშვიდობის ელჩი,
თუ მოყვარეა, არაფერს ვერჩი,
მე ვარ მიწაზე გამხმარი გირჩი,
ცეცხლს თუ არ მიმცემ, არ გმტრობ, არ გერჩი!
მე ვარ თავთუხის ერთი მარცვლი!
მე ვარ ვენახის ერთი მტევანი!
მე ვარ ქვევრიდან ერთი ფიალა!
მე ვარ ხმალიც და
მე ვარ ნაცარიც!

26.05.2015წ.

საბურამოს გზაზე

თბილისს რომ გავცდები კარიპჭედან,
ჯვარი მეგებება მაღალ მთიდან,
ქარი დაუბერავს სხვანაირი,
ლოცვად მონაბერი ჯვრის კალთიდან.
როგორ მოილუშა ეს ღრუბლები,
ღმერთო,
არ განვიმდეს გევედრები,
მაინც გამინვიმდა, მცხეთის გზაზე,
ცამ ვერ შეიკავა ზღვა ცრემლების.
ცასაც ჰყვარებია დედამინა,
ქუდად ამიტომაც დაჰფარვია,
წვიმა დასატირად გაუხდია,
სხივი სადიდებლად უგზავნია.
ფიქრში გაილევა ეს აღმართი,
წინამურს იყო დიდი ღალატი,
გამოჩნდა კიდეც ტაძრის გუმბათი,
თვალწინ მიდგება,
ოხ...

ის ჯალათი.

(აქ მე მუხლები მომეკვეთება)
აქ შევანელე სვლა, ლოცვა-გლოვით,
წინამურს როგორ ჩავუვლი ქროლვით,
წარმომიდგება ღალატის კადრი,
ყველა ქართველი მუხლზე დავარდით.
(მამულს დენტის სუნი ასდენია)
აქ არ მოგვიკლეს მხოლოდ ილია,
აქ სიტყვას მართალს ესროლეს ტყვია,
აქ მამულს ჩვენსას ესროლეს ტყვია,
ენას ქართულს და სარწმუნოებას.

p.s.

ცაო! იწვიმე და ჩამოგვრეცხე,
ღალატით მოკლულის ბილიკები,
ღმერთო, თაობებს არ გაუნვიმდეს,
წინაპართ დატოვილი ჭრილობები.

29.04.2022წ.

მე მაპატიეთ...

მივყვები გამზირს რუსთაველისკენ,
დღესაც ცხრაა და სველია მიწა,
დღესაც ლოდივით მანწევს სულ ყველა,
ვინც ჩემს მაგივრად იმ დღეს ეწამა.
არ შეუშინდით ნიჩბებით მოსულთ,
ტანკების გრუხუნს ლოცვებით დახვდით,
ფარად ქართული დროშა გეფარათ,
ხანჯლად დადიანს მღეროდა დედა.
მე მაპატიეთ ჩემი არყოფნა,
ვერ დაგიცავით, ვერ შეგეშველეთ,
როცა ნიჩბებით თავს გიჩეხავდნენ,
ზურგზე აბჯრად ვერ გადაგეფარეთ.
ალბათ ბედია ეს და განგება,
რომ ზუსტად სამში შემხვდა ანთება,
ცხრაში მეხივით გავარდა ხმები,
ვერ დააჩოქეს ჩვენი გენები!
აქ, სადაც თქვენი ხსოვნა ანთია,
თავისუფლების გუბებია,
დღესაც ტიტებით მოდის თაობა,
დღესაც სანთლები და ლოცვებია!

09.04.2022წ.

ბებერო მცხეთაჲ!

მცხეთაჲ ქართლის დედაქალაქი,
მეამაყება ჩემი ფესვები.
მეამაყება სვეტიცხოველი
და
ბებრის ციხე ამაყად მდგარი.
ქართლის კარიბჭევე, დაბერებულო,
სვეტიცხოველო ამაღლებულო,
უტას მარჯვენავ,
მკლავში მოჭრილო,
მტკვარო ამაყო დადინჯებულო,
ბებრის ციხეზე ავალ და
იქედან შემოგვევლებით!
ბებერო მცხეთავ!
ბებერო ციხევ!
უტას მარჯვენავ!
მტკვარო დუდუნავ!
მინდა, რომ გულში ჩაგიკრათ,
სვეტად მოგხვიოთ ხელები.
სვეტიცხოველობას რომ გეახლები
უნდა დაგინთოთ წმინდა სანთლები.
მერე დავივლი შენს წმინდა მინას,
ყველა სალოცავს ვეთაყვანები
და ყველა წმინდანს შევევედრები,
ქართლის ცის თაღზე მუდამ ფრინავდნენ
მშვიდობის მყოფი თეთრი მტრედები!
ქართლია ჩემი დედაქალაქი,
ფესვები თურმე იქ დამრჩენია,
ძეგვი ყოფილა ჩემი მოდგმის
და
გვარის გამზრდელი მშობელი დედა!

27.10.2021წ

სიმატლისათვის

თუ სამართალმა არ
ისამართლა,
ქვეყნად მშვიდობაც
დაიგვიანებს,
ერთადერთია სამართლის
მცნება,
ქვეყნად მშვიდობამ
რომ იზეიმოს.
თუ სამართალი არღვევს
ღირსებას,
თუ სამართალმა პური არ
ჭამა,
უღირსთა მცნება უფსკრულს
ნაგვიყვანს,
გადაჩეხილთა შველა
ძნელია.
მე მაინც მჯერა მოდის
თაობა
და მომავალი ნათელს
დაიდგამს,

სამშობლოს ახლა წყალივით
უნდა
გულანთებული
შთამომავლობა.
დღეს რომ წამითაც დაუშვა
ფარი,
არ მაცოცხლებდეს ხვალის
იმედი,
და არ მჯეროდეს
ახალგაზრდობის,
მეც გალასავით
გავფრინდებოდი.
მე მჯერა თქვენი,
ახალგაზრდებო,
მე მჯერა შენი,
უზენაესო,
დაცემისათვის არ
გაგვიმეტებ,
მინას კურთხეულს
არ მიატოვებ,
კალთას კურთხეულს
გადმოაფარებ.

03.03.1989წ.

ბუჩიას და ბუჩულებს

გურია, ჩემო გურია,
რამდენი დარდი გქონია,
ლარიბი კუთხე ყოფილხარ,
გული მდიდარი გქონია!
რას ვიფიქრებდი...
ამ მხარეს რამდენჯერ უმასპინძლია,
სილარიბეზე მასპინძელს,
სიტყვაც კი არ დასცდენია!
ბახმაროს ჩახვალ იხილავ,
ედემის ბალი გგონია.
თურმე სოფლები საშინლად
გაჭირვებული გყოლია.
ლარიბი, მაგრამ მდიდარი,
მდიდარი გული გქონია!
კალანდაძე და დუმბაძე,
სხვაც ბევრი გამოგიზრდია!
მე ზაფხულს დავიარები,
ზამთარი მკაცრი გქონია.
გურია, ჩემო გურია
რამდენი დარდი გქონია!

07.10.20216

ჩოცა

მეუბნებიან,
უნდა იცინო,
მეუბნებიან,
უნდა ილხინო,
რა ვენა თუ არ სურს
გულს გაღიმება,
რა ვენა თუ
გული მონყენილია?
ეს გული
მარტო მე არ მეკუთვნის,
ეს გული
ჩემი სამშობლოსია!
და დღეს, როდესაც
სამშობლოს უჭირს,
რა გამაღიმებს?
რა დროს ლხინია?
ჩემი ქვეყანა რომ
გაბრწყინდება,
ამ გულსაც მაშინ
გაუხარია!

05.11.2021⁶

დედუღეთს

(მესტიის რაიონი სოფელი ნაკრა)

როცა მესტიას ვესტუმრე,
ვიგზნე, მინა – რა მინაა...
გულში ჩამიკრეს სტუმარი,
იგრძნეს დობილი ვინცაა.
გახვალ მინდორში და თვრები
თითქოს ჰაერმაც გინამლა.
მთების ბუნება და ხალხი
გულმა იტკბო და ინამა.
გულზვიადი და ერთგული
სიტყვა გამტანი ზნისაა;
ბავშვივით წრფელნი ყოფილან,
კეთილთ ჰქმნა სულის ხსნისაა.
დიდი-პატარა მაცვილებს,
ცაც ნამად დნება, ძიძაა.
ქუდეებს მიქნევენ ბეჟიდან,
სტუმარ-მასპინძელთ მინაა!

11.11.2021წ.

იმედი არ კვდება!

მალე გავა დეკემბერიც,
გვესტუმრება იანვარი,
არ დავტოვოთ ნაკვალევი
ჩვენი ძველი იარებით.
ოდა ბურუსში გავხვიოთ
წარსულის თალხი დღეები,
გული გავუთბოთ ერთმანეთს,
სანამ ამ ქვეყნად ვიქნებით.
ვერ მოგვერევა მავანი...
სანამ გვერდიგვერდ ვიქნებით,
თუ საქართველოს ვუმღერეთ
ბანები კეთილ ხმოვანი,
თუ არ გავივლეთ ლალატი
გულები შეგვერჩა კლდოვანი,
მუდამ იფრენენ მტრედები,
ვერ დაგვამარცხებს მტარვალი!

30.11.2013წ.

სტუმარ-მასპინძელი

(იმერული დიალექტით)

სტუმრად ჩაველ იმერეთში,
დედა, რამფერი ხალხია.
მობრძანდითო, დაბრძანდითო,
გულის კარი გოულიათ.
ენა ტკბილიმოუბარი,
გული მთლად გადამერია.
სუფრა გაშალეს იმფერი
ჩიტის რძე არ დოუკლიათ.
აქეთ წინილებსა წვავენ,
იქეთ ჭურებს თავებს ხდიან.
ღვინო ისხმება ღვთიური,
ციცქა და ცოლიკოური.
ხაჭაპური მთლად იმფერი
ყველი, ცომზე მეტი დვია.
კეციაზე ჭადი ცხოზა,
ზედ ფოთოლი დოუფინავთ.
მურნა რიონს დოუჭირავთ,
ნაყიდი არ უკადრიათ.
დატრიალდა მასპინძელი,
გადასძახა ოფელიას,

– ჰოუ, ჩემო ოფელია,
გადმო ჩვენსა სტუმრებია,
გიტარა ნამოაყოლე
ბაბთიანი, მანდვე დია.
მოჰქრის ჩვენი ოფელია,
გიტარას მოაცუნცულებს,
ნითელ ბაბთით შებმულიანს.
ლხინი გაჩაღდა დილამდე,
ერთურთს ლოცავენ, მღერიან
სტუმარი და მასპინძელი,
მღერიან მრავალხმებიანს...
ო, დელია დელიაააა,
ალავერდი შენთანა ვარ,
იმერლები დამილოცე,
კიდო ერთხელ დამილოცე
კესანე'ა...
ო, დელია დელიაააა,
– მასპინძელო, დაგელოცოს
კერია!
ო, დელია დელიაააა,
– სტუმარო, კიდო მობრძანდი
აშენდა შენი კერია!

28.11.20216.

მრავალჯამიერ, ჭიზიყო!

მიხო პაპა ვენახსა სხლავს,
ვაზებს უფხვიერებს ფესვებს,
მრავალჯამიერ, ქიზიყო,
ვენახო, შენი ჭირიმე.
მარო ძალო ვენახს ფურჩნის,
სათითაოდ ყელავს ყლორტებს,
მრავალჯამიერ, ვენახო,
ყურძენო, შენი ჭირიმე.
გლენის შრომა დაფასდება,
შემოდგომით იბარაქებს,
მრავალჯამიერ, გლენებო,
თქვენი მარჯვენის ჭირიმე.
სანნახელში იწურება,
ქვევრებს მაჭარით აავსებს,
მრავალჯამიერ, ქვევრებო,
მაჭარო, შენი ჭირიმე.
თონისათვის ნალამი ხარ,
სამწვადისთვის ნაკვერჩხალი,
მრავალჯამიერ, თონეო,
ნალამო, შენი ჭირიმე.

დედას პურები დაცხვება,
შამფურზე მწვადი შიშხინებს,
მრავალჟამიერ, ნალამო,
შენი ნაკვერჩხლის ჭირიმე.
მარო ძალო თათარას ზელს,
ჯოხზე გაკიდებს ჩურჩხელებს,
მრავალჟამიერ, ბადაგო,
მაჭარო, შენი ჭირიმე.
ქვევრებს ხეთქავს რქანითელი,
არაყსა ხდის მიხო პაპა,
მრავალჟამიერ, ქვევრებო,
„ზავოდო“, შენი ჭირიმე.
ქიზიყს ამშვენებს სიღნაღი,
სიღნაღს ციხე-გალავანი,
მრავალჟამიერ, ქიზიყო,
სიღნაღო, შენი ჭირიმე.
უბატონო ქალაქი ხარ,
გონაშვილი გამოზარდე,
მრავალჟამიერ, ქიზიყო,
„შავი მერცხალის“, ჭირიმე.

06.12.1996წ.

შენ როსლა გაბრწყინდები?

საქართველოა
ყველგან, ყოველთვის,
გულით რომ დამაქვს სადარდებელი,
შენს მიწას ფეხი თუ არ დავადგი,
არსად არ მინდა საბარგებელი!
აქ ჩემთვის ღამეც მზიანი არის,
მაგრამ მზე, შენთვის როსლა ამოდის,
ვინ დაითვალოს შენი მზის სხივი,
მაგრამ თავად შენ, როსლა გასხივდის?!
შენი
მინდვრები თვალწარმტაცები,
მთები
ამაყი, გულს რომ უხარის,
შენი მიწა და ჩემი ქვეყანა,
ვინ მეტყვის, როსლა გაიხარებდის?!
ჩემო
ტანჯულო, გამოტანჯულო,
ჩემო
სისხლო და ჩემო ალაგო,
ისე
შენ მიწას არ მიმაბარო,
აქედან
მტერი რომ არ ავლაგმო!

10.12.2008წ.

აფხაზეთო!

*ეს ლექსი დაინერა სოფია საყვარელიას საპატივცემულოდ
და აფხაზეთის დიდი ტკივილნარევი სიყვარულით.*

როგორ მინდა, ჩავეხუტო შენს მიწას,
როგორ მინდა, ისევ ისე გიხილო,
როგორც წინათ ძველ ოთხმოცდა...
ძველ წლებში.

გულო!

გულო, როგორ უძლებ ამ ტკივილს?!
მე რომ მხოლოდ ზაფხულობით გსტუმრობდი,
შენი მკვიდრი ვიცი როგორც განიცდის...
ვისაც ერთხელ უნახია მზის ჩასვლა,
აფხაზეთის შავი ზღვის კაბადონზე,
ვისაც ერთხელ ჩაუსუნთქავს შენი ჰავა,
ვინც დამთვრალა შენი ევკალიპტებით,
ვისაც ერთხელ ურბენია ფეხშეველი,
ფეხის გული დაუნვია კენჭებით,
ერთხელ მაინც გარუფულა შენი სხივით,
ერთხელ მაინც შეუცურავს ტალღებში,
ვისაც ერთი მეგობარი მაინც'ა ჰყავს აფხაზი,
ვერასოდეს მოინელებს შენს დაფლეთილ ნაწილებს,
ვერასოდეს დაგივიწყებს, გული მუდამ იგლოვებს,
სანამ...
სანამ შენს ნაფლეთებს,
სანამ
არ გაამთელებს!

18.12.20216.

დაკარგული ალმასები

შხარას აზიდული საფიქრალი,
ყინულივით მდგარი, ვერ გამღვალი.
ზეცად აზიდული სადარდელი,
უფალს შეთხოვილი სასწაული.
ლუკმა გატეხილი, მაღლიანი,
სამტროდ გამოზრდილი ჯალათები,
მტერ-მოყვრის ეული კალათები,
მსხვერპლად შეწირული ქალაქები.
ენგურ გამოვლილი კალმასები,
თერგდალეული ბარათები,
მტერს ბადით უზიდია ქვირითები.
უნდა დავიბრუნოთ ალმასები!

27.09.2009წ.

ჩიწა

თოვლში გახვეულა რინა,
ჩვენი დაკარგული მინა,
ჩვენი ტკივილი და გლოვა,
ნეტა რის სანაცვლოდ მისცა?
რაში გაიცვალა რინა,
ქართული სისხლი და გენი,
რუსს როგორ მიჰყიდა „ვინცხამ“,
როგორ არ გაუხსკდა მინა?
– ღმერთო, გვალირსე გიდი,
იქნებ გადაყაროს ბინდი,
ისევ დავიბრუნოთ მშვიდი,
რინა, საქართველოს გედი!
ბინდში გახვეულა აფხაზეთი,
სულში დარჩენილი სავანეთი.

11.02.2022წ.

არსად

რამდენჯერაც გინდა მოვევლინო,
ლაჟვარდოვან ღრუბელნარევ ქვეშეთს,
ლოცვით შევთხოვ უფალს,
მომავლინოს,
დავიბადო,
საქართველოს შვილად!
ამისთანა კურთხეული მინა,
მე მეორე მეგულება! არსად!
საქართველოს ქედები და ზვრები,
მითხარ რაში გაიცვლება, ნენა?!
დაე, მუდამ ვიმღეროდეთ ნანას,
აკენის რწევით იზრდებოდეს ჩვილი,
არ წყდებოდეს ჩვენი ჩანგის სიმი,
სამშობლოსთვის იზრდებოდეს გმირი!
მირჩევნია დასერილი გული,
აბიჯებდეს საქართველოს მიწას,
ყველა ქვეყნის დროშას მირჩევნია,
საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა!
რამდენჯერაც მივიცვალო ფერი,
ვინატრებდი დამაყარონ გულზე,
საქართველოს კურთხეული მინა!
მინდა დავრჩე საქართველოს შვილად!

p.s.

ბოლო ძახილს, რომ ვუწერდი სიტყვას,
საყვედურის ლანდმა ჩამირბინა,
შეიძლება გერქვას ემიგრანტი,
ლანჩში გედოს საქართველოს მინა!

23.12.20126.

არავის არ ჰბავს...

მინც სულ სხვაა ქართული როკვა,
ქართული ფარჩის კაბის შრიალი,
ქართველი ქალის გრძელი დაღალი,
ქართველი ქალის ჩიხტი-მანდილი.
ქართული ჩოხის ქამარ-ხანჯალი,
ქართველი ვაჟის ცერის-ცერული,
გამონვევაში ნაზი თავდახრა,
მუხლმოდრეკილი ჩუმი ტაშის კვრა.
ქართული სული, ქართული სიტყვა,
ქართული გული, ქართული როკვა,
შემოგვინახა ჩვენ მამა-პაპამ,
ყველა კუთხის და კუნჭულის ცეკვა!

03.02.2022წ.

ნუ ჩქარობ...

დაჰქრიან რაშები,
ფაფარაშლილები,
დაღლილი ფლოქვები,
მძიმეა ნალები.
მშიერი გულები,
ცოდვილი სულები,
ველური თვალები,
სისხლით დაცლილები.
ახლოა დღეები,
სამოთხის ვაშლები,
სიცრუის მხილებას,
მინც ვერ ასცდები!
დაჰქრიან რაშები,
ულაყი ფაშები,
მინისტვის ერთია,
სინიბი, ჯინიბი!

12.03.2013წ.

დედა ენაჲ!

შ – ენით გაღვივდა ჩემში მარცვალი,
ე – დემის ბალო იაკობისა,
ნ – აზიარებო ყველა წმინდისა,
დ – ედად მიცვნიხარ ენა ქართლისა.
ე – მსგავსებოდი შენ არცდროს არვის,
დ – ე მუდამ გედგას შარავანდედი,
ა – კვნიდან დაგვყვა იავნანა და
ე – ნა ქართული, ენა ღვთიური.
ნ – ამოდღვრაღია შოთას, ილიას,
ა – კაკისა და... ვინც გაგიზრდია,
ვ – ინც დედა ენა არ დაივინყა,
ყველა სამშობლოს ამაგდარია!

14.04.2022წ.

სხვანათის ცის ქვეშ

სულ სხვანაირად გიყვარს სიცოცხლე,
აქ ბალახს დედის რძის სუნი უდის,
უცებ, ერთ წამში ისე მალღდები,
გგონია ხელით მისწვდები ცის თაღს.
აქ ისევ ხნავენ, ისევ თესავენ,
აქ წინაპართა ძვლები ჟრიალებს,
აქ სისხლის ყვირის ისე შეიგრძნობ,
როგორც ზედაშეს დაცლილ ფიალებს.
აქ ისევ ბუხარს ზელენ ტალახით,
ოჯახის თავი ისევ კაცია,
აქ ისევ ბავშვებს ზრდიან აკვანში,
აქ სხვანაირი „ნანა“ იციან!

10.07.2022წ.

სხვა სიყვარულია...

თუ უპეს ცრემლი გადმოსცდა,
იცოდე შენი ბრაღია.
ყველა ცრემლს გულში ვინახავ,
შენი ვერ დამიმალა.
თუ გული ცოცხლად იფერფლის,
ეს სულ სხვა სიყვარულია,
ყველა სადარდელს გაუძლო,
შენზე დარდებით მკვდარია.
ლუკმა ბაგესთან უმწარდეს,
ვისაც ღალატი სწადია,
მარტო უგუნურს ძალუძს, რომ
ღალატში გაუხარია.
რომ დაიბადო ქართველად,
უნდა გწყალობდეს ღმერთია,
თუ მოკვდი საქართველოსთვის,
მაშინ ბედიცა გქონია.
იმზეოს შენმა პურ-ყანამ,
არ გაგჩენოდეს სენია,
შენ თუ იხარებ, სამშობლოვ,
მაშინ მეც გამიხარია.

13.05.2010წ.

არ გაბიჭირდეს, მამულო!

სულიდან ამოძახილი,
სიტყვა ვერ მითქვამს ხატოვნად.
მიყვარხარ, ჩემო მამულო,
თვალზე მადგახარ კადრებად.
არ მინდა იღებებოდეს,
შენი მინდვრები შინდისფრად.
მინდა ისმოდეს ჰანგებად,
იავნანა და მზე შინა.
მაგრამ თუ ოდეს დაგჭირდეს,
მე კი მიჭრიდეს მარჯვენა.
წარბშეუხრელად მოვიქნევ,
პაპის დატოვილ ფრანგულას.
ძარღვებში სისხლი გამიშრეს,
მტერს თუ არ დავხვდე ქართულად!

08.08.2018წ.

არ ბეჭულდუს მაინც!

ასე ძნელია, ადამიანო,
სიყვარულით, რომ გიძგერდეს
გული?
ასე ძნელია, ადამიანო,
ბოროტებას რომ უთხრა
უარი?
ასე ძნელია გაითავისო,
სამშობლოს ქირი და
სიყვარული?
შენ ხომ ამ მიწის გამოზრდილი
ხარ?!

შენ ამა სოფლად აიდგი
ფეხი?!

მაშ, ბოროტებით რად გიძგერს გული?!

უსიყვარულოდ რად ბუდობს
სული?!

დახმარების ხელს თუ ვერ
გაუწვდი?

ბოლმით მაინც ნუ გეცება
გული!

გზად ჩირაღდნებად თუ არ
გაჰყვები,
ლამეს უმთვაროდ ნულარ
უნატრებ!

ბოგირად თუ ვერ გადაედები,
ფონის გასვლაში ნუ ეხერგები!
მიდი, გაბედე, გაითავისე,
სამშობლოს ქირი და სიყვარული,
იგრძენი გული როგორ ივსება,
ბედნიერების სავსე ფიალით!
შხამმორეული თასი დალენე,
გახეთქე ქვევრი ეხოს ღრიალით!
ალბათ რამდენჯერ დაგიღევია,
ამა სოფლისა ვაზის ნაჟური?
გულზე მჯიღეები ბევრჯერ გირტყია,
შეზარხოშებულს ალადასტურით?
ნუ ჩაუდგები სამშობლოს მტარვლად,
ყველა სახელს სჯობს,
კაცი-ვაჟური!
ასე ძნელია, ადამიანო,
სიყვარულით რომ გიძგერდეს
გული?!

02.11.20216.

ენბჷრს...

ენგურო, ქებას ვერ გეტყვი,
რა გაქვს შენ საქებარია,
სამშობლო ორად გაგიყვეს,
მოდისარ, მოგისარია.
შენს ნაპირებზე შემომხვდა,
ყოველ ნაბიჯზე ჯვარია,
რამდენი კარგი ვაჟკაცის,
სიცოცხლე შეგინირია.
რამდენი დედა, ცოლ-შვილი,
ობლებად დაგიტოვია,
იქნებ, შენც მიტომ ბობოქრობ,
კლდეებს ასკდება ჯავრია...

04.07.1992წ.

ცამეტი წელი

თალხი ემოსა გორისთავს,
შინდისი წნავდა დიდებას,
იხვრიტებოდა ავხელით,
ცხელი გულების ზმანება.
თავდახრით იდგნენ ვერხვები,
ცაზე ზიგზაგი ელავდა,
ყველა ნარჩევი ბიჭების,
ვარსკვლავი ერთად წყდებოდა.
გლოვის მაგივრად ისმოდა,
მონად, უფლისა გალობა,
საგალობელი ცას მისწვდა,
ინვოდა ქართლის ხეობა.
არ დაგიყრიათ იმედი,
ეძინებოდა ლიმფები,
სულ პირტიტველა ბიჭების,
რა დედამ გშობათ, ვერ ვხვდები?!
თქვენს სახელს სანთელს უნთებენ,
დღესაც ქართველი დედები,
ღმერთო, ტკივილი გვაკმარე,
ცისმარეს სწვდება კივილი...
ყოველ ჟამს იბადებოდნენ,
გულანთებული შვილები,
ღმერთო, ვაჟები გვიმრავლე,
ხსოვნად, გვაკმარე გმირები!

11.08.20216.

როგორ ბიჭოღოთ, ქართველნი?!

აფსუს, ქართველნო,
როგორ წამხდარხართ,
შეგიმტვრევიათ
თვით ღია კარი.
თქვენნაირების
ლალატმა დასცა
მეფე ერეკლე...
კრწანისის ველი.
აფსუს, ქართველნო,
როგორ წამხდარხართ,
წარსული როგორ წაგიბილწიათ,
თქვენნაირების
ლალატმა ჩასცა
ნაცვით პერანგში
გორგასალს ხმალი...
აფსუს, ქართველნო,
როგორ წამხდარხართ,
გადაგითელავთ,
საფლავი მეფის,
მეფემან ბრძანა:

„ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით,
ფეხი ყოველმან“...
განა, თელეთ და
გადამთელეთ?!
ორთავიანი არწივის
ლანძღვით,
მომრავლებულან
შადიმანები.
ვუყურებ ისევ,
როგორ გვყიდიან,
ოცდაათ ვერცხლად
იუდეველები!
ასე ყოფილა დასაბამიდან,
ზოგს, ქირი სჭამს და
ზოგს, ლხინის ქირი!
მაგრამ თქვენ ალბათ,
არც ხართ ქართველნი?!

01.07.2022წ.

არღაღებები

ადრეა,
დავასწარ გარიჟრაჟს,
გულის ფრიალით და ვედრებით,
მტრედებსაც სძინავთ და მერცხლებსაც,
ბაყაყიც არ აფრთხობს ხევისპირს.
მგონი მე მღვიძავს და ეზოს ძაღლს,
აქა-იქ გაისმის ყმუილი,
ის დროა, მთვარე რომ იძინებს,
მზე რომ ემზადება ზმორებით.
მიჰქრის და მიმაფრენს ბერმუხა,
ოცი წლის ერთგული რაშივით,
არ იცის დალლა და ჩივილი,
ჩემი უღალატო შვილივით.
დავტოვე ქალაქი სიჩუმით,
ხეები მაცილებს შრიალით,
ფოთოლთა ცეკვით და ნიავით
ჩამესმის ლოცვანი წმინდანი.
ინათა,
გადავცდი რიკოთს და
დუმალას ჰაერი მეამა,
(განა ფიქრებში ვარ, გადავცდი მდინარე დუმალას).
დუმალა, ჩხერიმელა, ძირულა...
ყვირილა, ჩხარა, ძევრულა...
სულყველამ თვალები მილულა.
ცოტაც და ვიხილავ აჭარას,
ზღვას, მზეს და გარუჯულ ნაპირებს,
მგონი დღეს წვიმას აპირებს?...
ზღვას წვიმა უსველებს ნაპირებს...

22.08.2022წ.

ქობულეთური ვოიაჟები...

ისევ ცრის...
წყალმა დანამა წყალი,
აჭარის თავზე ჩამოწვა ბინდი,
(იმამი მეჩეთს მალრიბს აღავლენს)
ზეცად მინავალ ლოცვას აღვავლენ,
(„მონამს ერთი ღმერთი“ ბუტბუტებს გონი)
სალოცავ ბაგეს მინამავს ღელვა.
წვეთები ბგერებს აცეკვებს კარმენს,
შანგლერობს ტალღა, ასველებს კაბებს,
ლალად ამღერებს მოტანილ შხეფებს
და მონაბერი ფიქრებს აშხეფებს.
– მე არ მანაღვლებს ზღვაზე წვიმები,
გინდაც დასველდეს ჩემი ფიქრები,
ხვალ გავფენ მზეზე, გაირუჯება,
სულის სიმშვიდეს
მოვკრეფ ბლუჯებად.
ჯუჯა ცოდვები ღუზას აიხსნის,
ჯებირს გაცდენილ საკინძეს შეხსნის,
ნისლი ჩამოწვა, იძინებს წვიმა...
სველი ფიქრები ხვალ თავს დაიხსნის...
მზემ აუკეცა წვიმას პაჟები,
მიყვარს შავ ზღვაზე
ცხელი დრაჟები,
პეიზაჟები,
მირაჟები,
გარიჟრაჟები,
ქობულეთური
ვოიაჟები...

24.08.2022წ.

ზღვის ზღაპარი

ჰამაკში ვარნევ ღამეს და მთვარეს,
ვკითხულობ თიკო ჭედის ამბებს,
როიალს თავზე მუნდშტუკი ადევს,
საქსოფონი კი ამშვენებს ყდაზე,
(რომანს)

„მულტიკულტურულ უბნიდან ქალზე“
სიო სიანციტ არხევდა ფოთლებს,
მეზობლის ძალი მესტუმრა გვიან,
სუ...

ჭორაობენ თოკზე ვაზები,
მარტო დარჩენილ მსახიობ ქალზე.
მგონი შვიდია, იძინებს მთვარე,
პირველი სხივი დაეცა ზღვაზე
და მთვარემ თვალი მილულა ცაზე,
(მაგარი ყავით ვაფხიზლე ძილი)
მეზობლის მურა გამომყვა ზღვაზე.
ჯერ ისევ სძინავს ნახევრად ქალაქს,
სიო კი ტალღებს ეაღერება,
სანაპიროზე დადის ობოლი,
ვილაც აგროვებს ტარას დაფანტულს.
მე და მთვარე რომ წიგნს ვკითხულობდით,
აქ ვილაც ძლიერ...

– ძლიერ გამოთვრა,

ბოთლები იქვე ზღვასთან დაყარა,
სინდის-ნამუსი ქვას მიაყარა.

– მაშველმა მაინც დაასწრო ყველას,
ვხედავ ტალღებში შორს...

– შორს მიცურავს,

მისდევს ჰორიზონტს მზის სხივის კვალზე,
რალაც უელავს მოქნეულ მკლავზე.

– მომაგონდება მამის მკლავური,
კისერზე უზის პატარა „მე“ და
ეს „მე“ კისკისით ზღვას ეფერება,
დედა ღელავდა სანაპიროსთან,
ხელის დაქნევით ნიშანს გვაძლევდა.
რას არ მივცემდი, ახალა გაგრაში,
მე და წარსული წამით ჩამოგვსვა,
სულ სხვა სუნი სდევს წარსულის ტალღებს,
მოგონებებმა თვალი დანამა...
ვაგრძელებ ისევ რომანის კითხვას,
ბინდდება, მზე ღრუბელს ამოეფარა...

25.08.2022წ.

ქმრუბიმოგუნ კრიტიკოსები...

შარშან ვინც მწარედ აკრიტიკა ხეების ცურვა,
წელს ყველა აქ, ამ ხის ჩრდილში მოვიდა, მოვა...
პაპარაცობენ, მოდელიობენ, პოზიორობენ,
გაშლილ სუფრაზე თამადაობენ მოქილიკენი,
ქერუბიმობენ...
მოქიეფე კრიტიკოსები...

26.08.2020წ

მოწამეთა და გელათი!

საქართველო სამჭედლო,
ქრისტიანეთის მარადის,
შერყევა სცადა მურვან-ყრუმ,
ვერ შეგვარყია ბარამდის!
იმერეთისა მშვენება,
მონამეთა და გელათი,
წყალნითელას გადმოჰყურებთ,
მთის კალთიდან გოლიათნი!
გარს გარტყიათ გალავანი,
საჩრდილობლად ტყე-კლდოვანი,
თქვენს გულებში ასვენია,
ქრისტესათვის მონამენი!
წყალნითელა, ლამნილეთა
წინაპართა წასისხლარი,
ვერ გატეხილი რწმენაა,
უძლეველი ჩვენი ქნარი!
მონამეთას ჭის წყალი ვსვი,
წინაპართა სალოცავი,
სანთლით ვახსენე სულეები,
ხარატნი-ხუროთმოძღვარნი.
აქ ასვენია საქმენი,
მხეიძეთა საგმირონი,
ძუ ლომები უწევთ ფეხითთ,
წმინდა ლუსკუმას მცველებნი!
ერთი მთის ორი შვილია,
მონამეთა და გელათი,
აქ ეშმაკები დამარცხდნენ,
წმინდა ჯვრითა და მათრახით!
წყლის წასაბილწად სტუმარნი,
დავითის გამჭრიახოვით,
სახედრებადა ქცეულნი,
ქვასაც ზიდავდნენ ხეობით!
საქართველო სამჭედლო,
წმინდა ბერიდან-ერამდის,
ვერ დაგვამარცხებს ვერავინ!
უძლეველნი ვართ მარადის!

29.08.2022წ.

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა!
(ტიციანი)

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა,
თავის, უფალის და სამშობლოსი!
დავბადებულვარ, რომ ვემსახურო,
ხარკად თავს ჩემსა,
უფლის შექმნილსა.
უფალმა შექმნა ადამიანი,
თავის-უფალი,
თავისუფალი!
კაცთ შემოქმედი
მიყვარს უფალი
და ვარ სამშობლოს
ჭირისუფალი.
გადაგვაფარე, უფალო, კალთა...
თუ სიყვარული არის
საუფლო,
მაშინ მეცა მყავს
ჩემი უფალი!
დავბადებულვარ
თავის-უფალი,
თავისუფალი ადამიანი,
თავისუფალი სამშობლოს შვილი!
და არასოდეს არ შევიქმნე მონა მხვეჭელთა,
მონა ჩირჩილთა...
და არასოდეს არ დავიდგა
სხვისი უღელი!
გადაგვაფარე, უფალო,
კალთა...
დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა,
თავის, უფალის და სამშობლოსი!

16.09.2010წ.

ბაბრატს

უქიმერიონის წმინდა ბორცვი,
გადმოჰყურებდა რიონს ამაყად,
რომ აღმართულა ბაგრატის ტაძრად,
დედოფლის ლოცვით,
ღვთისმშობლის ხატად.
მეფევ აფხაზთა, რანთა და კახთა,
წამოგახედა,
მეფევ ქართველთა!
განახა შენი ძველი ძეგლები,
ან გარდასულთა დღეთა სიმრავლით,
როგორ ტირიან დღენი მძლევართა,
მრონმდინარე წმინდა ფრესკები.
უფსკრულისაკენ მიექანება,
დავინწყებული ნაჭრილობები.
– აქეთ ტვირთმზიდი,
– იქით ტაძრები,
საით გარბიან ხარაჩოები.
ვერ გავარკვიე ვინ საით მიდის?!...
შენგან მოხსნილი შარავანდედით.
გიყურებ, ვფიქრობ, ვერ გავარკვიე,
რომელ კულტურას მიეკედლები.

ჩამოგვეშალა მემკვიდროება,
კულტურული და წმინდად ნაშენი.
ახლა ოცნებაც კი ზედმეტია,
შენი სიძველის გასხივოსნების,
საუკუნეებს რომ გაუძლო და,
რომ დაგიტვლია წელთაღრიცხვები.
ვინ აღგიდგინოს ძველი ღირსება?
ომის ქარცეცხლში გამოვლილები.
ვინ დაგიბრუნოს ძველი დიდება?
ყველა დოგმიდან ამოვარდნილი.
უცხო ტომები ლეგენდებს წერდნენ,
ახლა ვინა სთქვას ჩვენი საქები?!
ბევრჯერ მოიგე, ბევრჯერ წააგე,
ათასწლოვანი ბრძოლის ომები.
ამ ომში ყველა ერთად დავმარცხდით,
არსაით არის ჩვენი საშველი.
შენი ფრესკის წინ მუხლმოდრეკილი,
პირჯვარს გადავინერ,
მცვივა ცრემლები.
მტკივა და მენვის...
მენვის და მტკივა...
ამპარტავნობით
შებლალული შენი კედლები...

30.08.2022წ.

საფუძვლო მტკიცება

მე სახით მუდამ სიმშვიდე დამაქვს,
მაგრამ გული ბევრ ტკივილს ინახავს.
ვის რად ვუამბო ჩემი ტკივილი,
კივილით, როცა დაცლილა ქუჩა.
როგორც მეზობლის, კეთილი ქურდი,
ყოველ გოჯ მიწას ისე გვაცლიან,
მე კი, პატარა გულის ფიალით,
სამშობლოს დიდი ტკივილი დამაქვს.

08.08.2009წ.

თბილისს

ბარათი თბილისს

გნახავ!

მომნატრებია ჩემი თბილისი,
ნუხელ სიზმარში მეზმანა ვერა
ვხეტილობდი ვერის უბანში,
და მონატრება გადმომელვარა.
ფიქრებით დავალ მე შენს ქუჩებში,
უცხო მხარეში ჩამძინებია,
ყველა სიმღერას გულში ვლილინებ,
რაც ოდეს შენზე დაუნერიათ.
უცხო მხარეში მაინც გადავრჩი,
არ მაგრძნობინეს თავი ეულად,
მაგრამ სასთუმალს ნამად შემოვრჩი,
ლამით დაგინერ ბარათს მალულად.
რამდენი ხანიც ვერ უნდა გნახო,
შენს იქით მე გზა არ მაბადია,
გნახავ და მიწას ვეამბორები,
ეს მიწა არის ჩემი გადია!
ნეტავ უჩემოდ როგორ მაისობ,
მანახა როგორ ჰყვავის ვარდები,
მითხარი, ხომ არ შემოგავიწყდი,
ხომ არ დააკლდა თბილისს ჰანგები.
ჩემს ბილიკებზე ნეტავ ვინ დადის,
შენით დატკობობას ახლა ვინ იწყებს,
ვისაც თბილისის მტვერი უგრძენია,
ის ვერასოდეს გადაგივიწყებს!

01.05.1997წ.

შარშან

და ქარებს მოაქვთ ღამით ჭორები,
თბილისში შარშან მოსულა თოვლი,
მაშინ ეს ღამე ყოფილა მშვიდი,
დაუთოვია მთები, გორები.

გადავეშვები ფიქრის მორევში,
რა გითხრათ, აბა, რომელი ერთი,
თბილისთან უფრო ახლოა ღმერთი,
ოხ, როგორ მიყვარს ქალაქი თოვლში.

მიმაჭენებენ მძაფრი ფიქრები...
შუა გზაშია მეტეხთან მტკვარი...
როგორ უხდება მთანმინდას თოვლი...
როგორ უხდება თბილისს ფიფქები.

ჩამისახლდება ბავშვობის წლები,
არ დავიღლები, დავივლი თბილისს,
ავივლი ნელა მე მამადავითს,
იქნებ ახალწელს მოვიდეს თოვლი.

თბილისის ძველი უბნებით ვტკბები,
მესალმებიან ჭადრის ხეები,
მტკვარს მოვუყვები მე დილით ჭორებს,
ქარის მოტანილს, უთოვლო ღამის.

ვიმეგობროთო ღამის თბილისმა,
ვიმეგობროთო მტკვარმა დილისამ,
უფრო მეტს ვითხოვ, რომ დავტკბე თქვენით,
გულში ჩაგიკრათ, როგორც თილისმა!

და მე ვმეგობრობ მტკვართან, თბილისთან,
ცოტაა ჩემთვის სიცოცხლე ერთი,
მეტეხთან უფრო ახლოა ღმერთი,
შენ დაიფარე ჩემი თილისმა!

21.12.20216.

თბილისი

აქ თბილისს ისევ ეფერებოან...

მიყვარს თბილისის დღეცა და ღამეც,
ყოველი კენჭი მიყვარს თბილისის,
როგორ გავცვალო თეთრ ღამეებში,
ბუმბერაზი მთის „მთანმინდის მთვარე“.
მიყვარს თბილისის შემოღამება,
მეტეხზე მდგარი გორგასალი და
ღამპიონების მკრთალი ნათება,
მტკვარზე რომ ტოვებს თავის ანარეკლს.
მე ამ ქალაქის ღრუბელიც მიყვარს,
ნისლეებით მთვრალს რომ
ცრემლი სდის ღანვზე,
ვით ტოლიბაში ყანწს ისე დაცლის,
გადმოაწვიმებს თბილისის თავზე.
თბილისს რომ აწვიმს, ის წვიმა მიყვარს,
მინდა შევიგრძნო ღრუბლის სიმთვრალე,
თავსხმა წვიმაში თავშალს მოვიხდი,
მრონივით რომ მდიოდეს თავზე!
მე ამ ქუჩების მტვერიც კი მიყვარს,
ფოთოლსაც ვეტრფი ქარის მოტანილს,
ამხედრებული მუზა ზის თითქოს,
მხედრის ქენებით ყველა ფოთოლში.
მე მეეზოვეც მიყვარს თბილისის,
დილის საარზე არაგვთან რომ გვის,
გულმოსული და დოინჯშემოყრით:
„ვგვიო და მაინც წერენ, არაგვი!“

მიყვარს თბილისის შემოთენება,
ხეტიალში რომ ცა გათეთრდება,
მტკვართან მომისწრებს ცისკრის ზარები,
ამ სილამაზეს ვეზიარები.
სიონის გავლით ვერცხლის ქუჩაზე,
ოდნავ ნალველი შემომანწვება,
ველარ შეხვდებით
აქ ყარაჩოხლებს,
ჩოხები ღვინის ბოთლებს აცვიათ,
ძველი თბილისის სავაჭრო დახლზე,
ქამარ-ხანჯლებიც მუშტარს ელიან,
ტურისტი უფრო ფასობს თბილისში,
ძველი თბილისი
ევროპულია...
(ვერცხლის ქუჩაზე, ოქროს ბიჭები აღარ დადიან).
მარცხნივ ავყვები მაჩაბლის ქუჩას,
სადაც მგოსნების სულები სახლობს,
ზოგი ეტრფოდა „თბილისის ჰავას“
ზოგი ნატრობდა თბილისში „რონინ“.
კრძალვით შევალებ დამტვერილ კარებს,
აქ განვიქარვებ თბილისის ნალველს,
აქ თბილისს ისევ ლექსებს უძღვნიან,
აქ თბილისს ისევ ეფერებიან!

13.09.2022წ.

თბილისს

თბილისზე იმდენი რამ თქმულა,
მე რაღას ვიტყვი ახალს,
მაინც გავბედავ, თბილისო,
ფეხით დავივლი ქალაქს.

მერე ავყვები მთანმინდას,
იქედან გადმოგხედავ!
გიკოცნი თითოეულ ნასისხლარს,
მე შენი ტკივილი მტკივა!

იქნება შემომეგებონ
სიყრმის ნაგროვი დები,
მერე დრომ ისე დაგვფანტა,
როგორც გამწყდარი მძივი.

(ოხ, ერთ დროს როგორ გვიყვარდა,
„შატალო“ რუსთაველი,
ტკბილი და ანცი წლები.)

თბილისზე იმდენმა იმღერა,
მე რაღას ვიტყვი ახალს.
ამ სილამაზეს უმღერეს
გოგიმ, გოგიმ და სხვამაც!

თბილისზე იმდენი რამ თქმულა,
მე რაღას ვიტყვი ახალს?!
აქ დაფრთიანდა ტერენტი,
ტატო და ჩემი გალა!

ვიტყვი, რომ თვალის ჩინი ხარ
აქ ღამეს ნათელი ახლავს,
უშენოდ არ მინდა სუნთქვა,
ჩემთვის აქ ჟანგბადი კმარა!

თბილისზე იმდენი რამ თქმულა,
მე რაღას ვიტყვი ახალს?!
გიკოცნი თითოეულ ნასისხლარს,
მე შენი ტკივილი მტკივა!..

05.05.20056.

დროშები ჩქარა...
გალაკტიონი

იყო დღეები,
არ მქონდა გროში,
ჭიქა ყავა და
უხორცო ბორში,
ზამთარში მეცვა
ზაფხულის ქოში
და დავდიოდი
როგორც გავროში.
ქუჩაში იყო
ჭორი, როშვები,
სკვერს ედებოდნენ,
როგორც ბოშები,
რა საჭიროა
თუნდაც გროშები,
თუ მეგობრები
მყვანან ბროშები.
ჩქარა აღმართეთ
ყველამ დროშები,
თავისუფლებას
უფრო ვშორდები,
სულო, გაუძელ,
ნუ მეთოშები,
შენ იმოძრავე,
ნუ გამშორდები.
გაკვირვებული
ნუ მაშტერდები,
თორემ იცოდე
გამოშტერდები,

უკან დაგრჩება,
ნაძვის „როშები“,
როცა ცხოვრებას,
ჩამოშორდები.
უნავთო ლამფა,
უშემო „ფერი“,
ვირთხა სოროში,
ლომები გვერდში,
გმირები ომში,
ლაჩრები სხვენში,
აბა, ცხოვრებავ,
დღეს მე რას გერჩი.
იყო დღეები,
არ მქონდა პური,
ქუჩაში იდგა
ქაოსის სუნი,
სახლში მიმქონდა
დაღლილი სული,
მაგრამ არასდროს
წამსვლია გული.
მაშინაც იყო
ბოლმა და შური,
მაშინაც ეცხოთ
სახეზე მური,
ზოგი მუნი და
ზოგი ამური,
ყველა ვიყავით,
ცხოვრების დგმური.

12.05.19996.

წუთით მოსული

მე...

ტურისტი ვარ ამა ქვეყნის,

წუთით მოსული...

მინდა მათობდეს მზის სხივი

და

არ მჭრიდეს თვალებს!

შენც ტურისტი ხარ, მეგობარო,

დაიმახსოვრე,

გულს ნულარ მატკენ,

ერთი წუთით როგორ ვერ მიტან!

მე ...

ტურისტი ვარ ამა ქვეყნის

და

მიყვარს ღამე!

დავხეტილობ,

მწუხრის თბილისს მინათებს მთვარე!

ვერ გავარკვიე,

მზე უფრო მწვავს

თუ

მწუხრის მთვარე!

ღამე ტკივილებს ვერ მიყუჩებს,

უფრო მიმწვავებს!

მზე და მზის სითბო კი მაგინყებს
ლამის ტკივილებს!
მე...
ტურისტი ვარ ამა ქვეყნის
და
მიყვარს თქეში!
წვიმის წვეთები მაგრილებს და
მიმაღავს ცრემლებს!
ვერის აღმართის წვიმა მიყვარს!
მთანმინდის მთვარე!
მამა-დავითზე თოვა
მიყვარს!
მთანმინდის...
მთვარე!
გულს უხარია ამ ქალაქში
წვიმაც და თოვაც...
უთუოდ მოვა...
უთუოდ მოვა...
ოღონდ არასდროს
არ
მტკიოდეს...
არასდროს,
მთვარევ!

08.08.2020წ.

თბილისის სალამი ემიგრანტებს

(ყველა ემიგრანტს ჩემგან სალამი!)

მივყვები დილით დაცვარულ ბილიკს,
ძველი თბილისით ავუყვები მეტეხის აღმართს,
პირჯვარს გადვინერ, მტკვარს გადმოვხედავ
და მოვიკითხავ ჩემს თბილის ქალაქს!
და ალიონზე დავუვლი თბილისს,
მტკვარი დუდუნით მომესალმება,
მე გადავეცი შენი მოკითხვა,
მტკვარმაც სალამი შემოგიტვალა!
თბილისი ყველას გულში იხუტებს,
აქ იკრიბება ყველა რჯულ-მრწამსი,
თბილისი გელით დაფანტულ შვილებს,
დედათბილისი სალამს მბარებს!

16.10.2021წ.

მასსოვს...

აქ, ამ ჭიმკართან სთვლემდა ცალთვალა ნაგაზი.
ეზოში კატა დარბოდა რიჟა ჯამბაზი,
აივნის ბოლოს გალობდა ჩიტი გულნაზი,
ამ გაზონებში ჰყვავოდა ლურჯი ზამბახი.
(ვიგონებ)

კვირა დღეს მეზობლის კაცების თავშეყრა,
ამ ხის ქვეშ ნარდის და დომინოს თამაში,
მეზობლის ქალები ჩრდილში ჩამომსხდარი,
ეზოში ბავშვები დარბოდნენ კისკისით.
(იყო)

დრო იყო, ასე ვთქვათ, ბნელი და მშვიერი,
მაგრამ მეზობლობა იყო ძლიერი,
ეზოში საზიარო ჰქონდათ მაყალი
და იყო თბილისური აყალმაყალი...

20.03.2011წ.

თბილისი ხომ...

თბილისი ხომ უკვე ბევრი წლისაა,
აქ ხოხობმა გაგვიკვალა გზებია...
თბილისი ხომ საქართველოს დედაა,
აქ ვარდები ზამთარშიც კი ყვავიან...
თბილისზე ხომ ლექსის წერა ძნელია,
აქ შეცდომებს არ გპატიობს ბევრია...
თბილისმა ხომ გამოზარდა გენია,
აქ გენიას აკრიტიკებს მრევლია...
თბილისში ხომ ფოთლებიცა მღერიან,
აქ ყვავებიც იადონი მგონია...
ბულბულები გალიაშიც მღერიან,
მე რა მჭირს რომ სმენა არ დამყოლია...
ძველ თბილისში სტუმრის ფასი იციან,
სტუმარი კი უმალ მასპინძელია...
თბილისში ხომ ტრადიცია ბევრია,
ტრადიციებს არ მისდევენ ძველია...
ძველ თბილისმა ქალის ფასი იცოდა,
აქ...მანდილი დარჩენილა მითებად.
თბილისში ხომ მეეზოვეც ბრძენია,
ყველა ქუჩა ჩაიბარა მზითებად.

13.12.2010წ.

უცხოელ

დავდივარ ქუჩებში
დაკარგულ ბავშვით,
ვერა ვცნობ სკვერებს და ვერა ვცნობ შენობებს,
მახსოვს, რომ ერთ დროს აქ ჰყვოდა ჭადარი,
ნეტავ სად წავიდა? ნეტავი სად არის?
ვერ ვიკვლევ გზასა და უცხო ბილიკი,
არადა, ოდესღაც აქ ფოთლის სუნს ვცნობდი,
არ მინდა გაკიცხვა, არ მიყვარს ქილიკი,
მაგრამ რად? რად გახდნენ ნაცნობნი უცნობი.
დაკარგულ ბავშვით დავდივარ ქუჩაში,
ვერავის ველარ ვცნობ,
ვჩერდები ჩეროში,
ღიმილი დავკარგე საკუთარ ქალაქში,
ამ ყოფას მიჯობდა მქონოდა სკლეროზი.

20.02.2002წ.

ჩვენს ეოლში

ეზოში, სადაც ჰყვავდა ნუში,
ეზოში, სადაც ჰყვავდა თუთა,
ეზოში, სადაც იყო წმინდა ჭა,
მამა-პაპური ცხვებოდა პური.
იქვე, თონესთან იდგა კაკალი
და მის ტოტებში ჩიტი სახლობდა.
მისი გალობა რომ მაღვიძებდა,
სულში სიმშვიდის სხივი ხარობდა.
ალარც ჩიტი სჩანს, ალარც წმინდა ჭა,
კაკალიც ძლიერ დაბერებულა.
ტკბილი ბავშვობაც დროს გაჰყოლია,
ის ნლები დარდად გაბეგრებულა.
ახლა ძლიერად დავხუჭავ თვალებს,
მოგონებებით დავითრობ ძარღვებს,
იმ ტკბილ დღეებში ჩავიძირები,
ფიქრებს გერივით შევეხიზნები.
ეზოში, სადაც იყო წმინდა ჭა,
იყო ცელქობა, იყო გართობა,
ეზოში, სადაც ჰყვავდა თუთა,
პირდათხუპნული ბავშვი დარბოდა.
ეზოში, სადაც ჰყვავდა ნუში,
ლალი და ანცი ცხოვრობდა ბავშვი,
ეზოში, სადაც იდგა კაკალი,
მოგონებებად დარჩა ზღაპარი.

10.04.2010წ.

ბოლო მანეთი

ბოშამ მეც გამაბა
ერთხელ მახეში...
ეს იყო წინათ,
დიდი ხნის წინათ,
არ მადარდებდა
იყო, არ იყო,
მაშინ არყოფნა
ჩემთვის არ იყო,
ცივი ზამთარი
ზაფხული იყო.
„შახმატის“ სახლთან
მონარნარებს
ბოშა ფარჩაში,
ხელი მტაცა
უცბად მაჯაში.
მეუბნება...
რალაც ეშმურად...
– მოდი, ლამაზო,
გიმკითხავენ,
დადე მანეთი.
(დავყევი ნებას)...
– შვიდი ასოა
შენი ბედი,
ორი ასული...
დიდი პაუზა...

ტანში გამცრა,
მზერა გამჭოლი...
– მანეთიც დადე,
არ იძუნო...
(ვფიქრობ)
ვახ, თავო ჩემო,
როგორ გაები?
როგორ აგნაპნა
ამ შამანმა,
ერთი მანეთი?
დენნაკრავივით
გავიქეცი...
– მოდი, ლამაზო,
კარგი არის
ბოლო ამბავი...
მე უკვე
შორს ვარ,
ალარ მესმის
მოძახილები...
ასე ამწაპნა
ბოშა ქალმა
ბოლო მანეთი.

p.s

რადგან ასული ერთი მყავს
და არა ორი,
არ გაებათ ბოშას მახეში,
თქვენც ოსტატურად არ აგნაპნოთ
ბოლო მანეთი.

27.06.2016წ.

შეშენა

უზალო, ზემინდა...

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ მანიშნებ მეგობარს მზაკვრალს,
არა და როგორ გადამავიწყდა,
თვით მეგობარმა ამბორით გაგცა.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რატომ დაუშვი ჩემი დაცემა,
არა და როგორ გადამავიწყდა,
გოლგოთის გზაზე სამჯერ დაცემა.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ მარიდე ეკლიან გზასა,
არა და როგორ გადამავიწყდა,
აღდგომამდეა

„ვია დოლოროსა“.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ შემოსე ყველა შიშველი,
არა და როგორ გადამავინყდა,
შემოგაფლითეთ ჩვენ სამოსელი.
ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ აპურე ყველა მშიერი,
არა და როგორ გადამავინყდა,
წყალი გვთხოვე და ძმარი გაპკურეთ.
ღმერთო, რამდენჯერ გისაყვედურე,
რატომ გამრავლდნენ ავაზაკები,
არა და როგორ გადამავინყდა,
რომ ბარაბაში თავად გაგცვალებთ.
ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
დედა არ უნდა სტიროდეს აკვანს.
არა და როგორ გადამავინყდა,
თვით მარიამი სტიროდა თვის ყმას.

22.04.2022წ.

ნაღველი მაწვეს

(წმ.ბარბარე)

ზამთარი მკაცრობს და მცივა სულშიც,
წარმტაცად გვათოვს მთაშიც და ბარშიც,
გვიახლოვდება შობის ჩვიდმეტი
და მომაკლდება ერთი წლით მეტი.
დღე, ბარბარობა მფარველი ბავშვთა,
მფარველი ჩემიც და დავრდომილთა,
მე კი ქრისტიანს მანწვეს ნაღველი,
ცრემლი დამშრალა, მაგრამ არც ვმღერი.
წარბშეუხრელად ეწამა ჩვენთვის,
არ შეურაცხყო მან მამა ღმერთი.
ჩვენთვის ეწამა, აწამეს ჩვენთვის...
ჩვენ კი ვწარმართობთ, ცოდვილი ერი...
და დღეს, ვით წინათ, ისევ ჰყიდიან
და სანმერთულად შიშველს ჰკიდებენ,
სინდისს და ნამუსს ისევ ჰყიდიან,
იუდეველთა ნაშობნი ბარტყნი.
ზამთარი ზამთრობს, ბუხარი მათბობს,
მაგრამ სულს აკრთობს, სევდებად ათოვს,
მე დღეს ლექსებიც კი ვეღარ მართობს,
ვწრუპავ შავ ღვინოს, მაგრამ ვერ მათრობს...

16.12.2016წ.

შობას

შობის საღამოს,
გაბრწყინდება ცაზე ვარსკვლავი,
მე ამ ღამესაც მოგილოცავთ
შობას სახლიდან.
მე მაპატიეთ,
ცოდვილი ვარ,
სახლში დავრჩები,
ლოცვას შეისმენს ზეციერი
აღბათ, სახლიდან...
საყდარში მისულთ,
ყველა ცოდვა,
ღმერთმა შეგინდოთ,
მხურვალე ლოცვა
არ დარჩება უზიარები.
შობის საღამოს
კვლავ გაბრწყინდება
ცაზე ვარსკვლავი.
დე, ჩვენს გულებში
დაიბადოს
ახლა უფალი!

07.01.20016.

„წმინდაო დიღო მოწამეო ეკატერინე, ეველრე ღმერთსა ჩვენსა“

ნარმართი დღეები დასრულდა,
ნათლობის საიდუმლო აღსრულდა,
ბერი, განდევილი გსტუმრობდა,
სიმართლის გზას გიჩვენებდა.
განამეს, დილეგში ჩაგაგდეს,
გაგაკრეს, ბორბალზე გაგაკრეს,
აღესილ ხანჯალზე დაგაკრეს,
ვერა და ვერა, ვერ გაგტყხეს.
ზეციდან უფალი გფარავდა,
მინაზე ზმანება გხლებოდა.
ბორბალი გატყდა და გაგორდა,
სასწაულს მეფე არ დაჯერდა.
შენ მაინც უშიშრად იდექ და
ქრისტე არ გაყიდე ოქროზე,
დედოფლის წოდებას დაგპირდა,
სასახლის ქონებას განვდიდა,
რწმენა არ შელახე ოქროზე.
უფალი თავისთან გიხმობდა,
რწმენაში უფალი სახლობდა.
მოკვეთილ თავიდან რძე დიოდა,
სისხლი კი არა რძე დიოდა.
ავგუსტა შესწირე რწმენას და
უფალთან ახვედი წმინდანად,
დღეს შენი ნაწილები წმინდაა,
სინას მთა უცვნიათ ბინადა.

07.12.2019წ.

ჩამოდი, ღმერთო!

მე ყოველ დილით მახათადან ვხედავ სამეზას,
ბარზე დაყრდნობილ მესაფლავეს და გაჭრილ მიწას.
მე ყოველ დილით მივუყვები სასაფლაოს გზას,
გადაღმა გზიდან მიმზერს ცივი ქვა.
დღეგამოშვებით ვისმენ გლოვის ზარს,
ცაში ავხედავ და ვინერ პირჯვარს.
ღმერთო, რად შეჰქმენ ადამიანი?
ვფიქრობ და დღემდე ვერ გამიგია.
თუნდაც შეხედე ჯერ ამ მოკვდავს
და მერე მის ხავსს.
ქუჩაში მოდის განა ქალი, მართლაც ქალღმერთი,
თითქოსდა გუშინ დაინერა მხეველთან ჯვარი.
დღეს კი ახურავს თავზე თალხი და მოსავს ძაძი.
ღმერთო, რად არის ეს ცხოვრება ასეთი მკაცრი...?
თუნდაც შეხედე ამ პატარას, ცრემლი რომ დასდის,
გუშინ ხომ ზურგით ჭენაობდა პატარა მამის,
უმისამართოდ დღეს რატომ დადის?
მეტყვი, რომ ყველა თავის გზით დადის...
უმანკო თვალზე ცრემლი რად დასდის?
ღმერთო, რად არის ეს ცხოვრება ასეთი მკაცრი?
ჩამოდი, ღმერთო, შენს იმედად დადის აქ ხალხი.
გადაუფანტე ღრუბლები და მოჰფინე მადლი.

19.07.2022წ.

ბიხაროღეთ!

ა-რსება
ბ-იბლიის,
გ-ანგება
დ-იდების,
ე-რთია
ვ-არსკვლავი
ზ-ეციურ
თ-ალამდის.
ი-ნათა
კ-არიბჭემ,
ლ-ალობენ
მ-ოგვები
ნ-აჭედი
ო-ქროთი.
პ-ასეცი
ჟ-ლალური,
რ-უდინით
ს-დუმან
ტ-იტები
უ-ფლის წინ.

ფ-იქრები
ქ-ურუმთა,
ლ-ირსების
ყ-ანები
შ-ემოსილ
ჩ-ადრებით.
ც-ხონდება
ძ-ე ღვთისა
წ-მინდანის
ჭ-ილოფში.
ხ-არების
ჯ-ილდოთი
ჰ-მალღები,
მარიაჲ!

და ეს ყველაფერი ქართული,
ანბანის მიხედვით ბრწყინდება.

07.04.2022წ.

შემინდე და მომიტევე

ბზობის დღიდან აღდგომამდე
მხოლოდ ერთი კვირა რჩება,
მე ცოდვილი უმარხული
მოსვლას ვბედავ შენს
კარებთან.

შემინდე და მომიტევე
ქორი მუცლის აღორება,
– მარხვა მარტო ჭამა არის?
– არა!

სულის განმტკიცება!
ჩემი რწმენა მტკიცე არის,
ვერცხლზე თვალი არა მრჩება,
ჩემი სული მტკიცე არის,
სხვისი არც რა
შემშურდება.

აღსარებას შენ ერთს გეტყვი,
შენთან საუბარსა ვბედავ,
მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია
ჩემი ცოდვის მიტევება.
დიდ ხუთშაბათს ტერფს გიკოცნი,
ცრემლად დავიღვრები ჯვარცმას.
კვირას ლოდს გადავაგორებ
აღდგომით შემოაღებ კარს!
ორშაბათს როგორც ინათებს
არ დავივინყებ პირობას,
წითელ კვერცხებს გავაგორებ
უპატრონო საფლავებთან.

p.s.

სამყაროში პატარა ვარ,
მაგრამ დიდი სევდა დამაქვს,
მაპატიე,
ღმერთო ჩემო...
უცნაური ჩემი რწმენა...

17.04.2022წ.

ვნების კვირა

ქარი შლიდა ურცხვ დალალებს,
ვგლეჯდი, ვგლეჯდი მე ბალახებს,
ვნების მძიმე კვირა იდგა,
მე კი ვწმენდდი თქვენს ბანაკებს.
წამოყარა უცბად წვიმა,
ღვთის მადლია, გავიფიქრე,
ჩამორეცხა მარმარილოს,
დამტვერილი ქვაფენილი.
გულ-მკერდიდან ბალახს ვგლეჯდი,
წვიმამ გული დაგინამათ,
თითქოს ჩემგან დაგლეჯილი,
ჭრილობები დაგიამათ.
ჩამორეცხილ ცივ ლოდიდან,
ექვსი სახე მეგებება
და მეშვიდე შემახსენა,
გატეხილმა ამ მიხაკმა.
მოუარეთ სანამ მოვალ,
სანამ კარი გამიღია,
დავგლეჯ, დავგლეჯ, ჯერ ბალახებს...
სანამ ვარ და შემოდღია...

19.04.2022წ.

ქრისტე აღდგა!

გაბრწყინდება იბერიც!

შენთან მოველ, შენი შვილი უძლები,
მოსვლას ვბედავ ერთი ცოდვილთაგანი,
არ განვკურნე ხორცი ჩემი სნეული,
არ ვილოცე სულის გადასარჩენად.
მოსვლას ვბედავ, შენი შვილი უძლები,
მე არა ვარ ნუხელ ნაზიარები,
ყველა შეგთხოვს თვისი სულის კურნებას,
მე კი შეგთხოვ გაბრწყინებას იბერის!
მოსვლას ვბედავ შენი შვილი უძლები,
განა ჩემთვის, სამშობლოსთვის მოვედი,
შენ აღსდექ და აღადგინე იბერი!
ქრისტე აღდგა!
გაბრწყინდება იბერიც!

24.04.2022წ.

ჩემი ივნისი...

(წმ.ნინოს)

დღეს თბილისი ეთხოვება მაისს,
გაზაფხული ზაფხულს უთმობს აისს,
დღეს მტკვარია უჩვეულოდ წყნარი,
იდუმალი თითქოს ლოცავს თბილისს.
სიონიდან ისმის რეკენ ზარებს,
მცხეთის ცაზე გასხივდება თალი,
ლოცვად შესდგა ყველა ქრისტიანი,
ზეცას სწვდება წმინდა სანთლის ალი.
გზა დავუთმოთ მობრძანდება ვაზის,
ნაწნავეებით შემოსილი ჯვარით,
გასცვეთია ქალამნები გზაში,
წმინდა ნინო მობრძანდება მადლით.
ჯავახეთის მთები გადუვლია,
მტკვრის ბილიკებს დაჰყოლია ქარი,
მეტეხიდან ლოცვებს უსმენს მტკვარი,
მოაცილა გადაღლილი მგზავრი.
წმინდა იყო გზა სავალი მისი,
უტვირთია თავად უფლის ვალი.
ნაწნავეებით შემოსილი ვაზი,
აღმართულა ბოდბეს ნინოს ჯვარი.

01.06.1996წ.

ჩვენ ვისაუბრეთ

ჩვენ ვისაუბრეთ უსანთლ, უტაძროდ,
რადგან არ დავალ მუდამ კაბაში,
გამონაკლისი არც ეს დღე იყო,
დაგლანდე იქვე ტაძრის ბოლოში.
მე ვერ გკითხულობ ვიცი ყოველდღე,
შენ მაინც მუდამ კალთით მფარველობ,
მე ყოველ დილით სანთელს არ გინთებ,
შენ ყოველ დილით მაინც მალვიძებ.
დღეს, როგორც ვიცი, ოთხშაბათია,
არც პარასკევი გამხსენებია.
მაშინაცა გრგრძნობ,
როცა არ გიხმობ
და საყვედური ერთხელ არ გითქვამს.
განა არ მინდა მოვიდე შენთან,
განა ლოცვები დამვიწყებია,
რამდენჯერ მოსვლა გადავიფიქრე,
კარზე მომდგარი,
გავბრუნდი უკან.
იმდენი მგზავრის დარდები დაგაქვს,
ველარ გიბედავ მე დამძიმებას,
(შენ ჩვენი ჯვარი ზიდე გოლგოთას,
მე ჩემი ჯვარიც ვერ მიზიდია)
რომ მახსენდება როგორ გაგწირეთ,
ახლა პირშავი ველარ გთხოვ შველას.

შენ ამბობ: რომ არ ჩვენი ღალატი,
არ იქმნებოდა ასრულებული,
ჩემზედ დაწერილ სამსჯავროს ნება.
ისევ გვამართლებ, არ გვადებ ცოდვას.
– რადგან უფალმა ასე ინება,
შვილი შესწირა დაწერილ მსჯავროსა,
რომ არ იუდა არ მოგკვდებოდი,
ვერ მიხილავდით მემრედ აღმსდგარსა.
ნეტარ არიან, ვინც ვერ მიხილა
და გულზე ჩემი ჯავრი ჰკიდიათ,
ჰოდა, შენც მოდი, ნულარ აყოვნებ,
მე მივუტევე თავად იუდას.
ისეთი ცოდვა ჯერ არ გიქმნია,
რომ არ გეთქმოდეს: „დიდება უფალს“.
– დაგპირდი, მოვალ, ცოტაც მაცადე,
არ დამიხურო ოღონდ ცისკარი.
– მაშ შეხვედრამდე, ჩემო მეგზურო,
იქამდე მინად ვისწავლი ლოცვას.
და ვინძლო ისევ შემომხვდე სადმე,
უარს ნუ მეტყვი გავისაუბროთ.
ჩვენ ვისაუბროთ უტაძრ, უსანთლოდ,
შუამავლის და მონმის გარეშე.

20.05.2020წ.

ლუკმაა ჯამში...

იმ დღესაც წვიმდა,
დღესაც განვიმდა,
იმ დღესაც ვწუხდი
და დღესაც ვწუხვარ.
მივყვები ქუჩას
გადარეული,
გზააბნეული,
ბეცი კაცით.
ვირწმუნე ყველა,
შევმცდარვარ ბევრჯერ,
ათასმეერთედ,
მაინც ვირწმუნებ.
წვიმაში მაინც,
ვხედავ მზის სხივებს,
რაც მთავარია,
მე ეს ვირწმუნე.
მე დღესაც მაინც,
უქოლგოდ დავალ,
ისევ ბავშვით,
მჯერა ზღაპრების.
კაბა დასველდა,
გული კი არა,
არ ვილუმპები,
ბოროტ ზრახვებით.
რადგან უქოლგოდ,
დავიარები,
განა ვერ ვარჩევ,
დარსა და ავდარს.
ზეციერს ვანდობ,
მე ბოლო სიტყვას,
დაველოდები,
ურემის ჭრიალს.
ეჰ, ღმერთო, კიდეც,
რამდენი დამრჩა,
შენთვის სათქმელი,

გულის დარდები.
ხვალისთვის იყო,
დღეს ესეც კმარა,
ხვალ დათქმულ ადგილს,
დაგელოდები...
შენ ჩემზე ადრე,
მოსულხარ დღესაც,
არც დღეს არა მაქვს,
კარგი ამბები.
დღეს იყო ქარი
თუ ქარიშხალი?
დღეს უქურთუკოდ,
გავედი ქარში.
შორიდან ვხედავ
ნაიქცა ბავშვი,
მე რას ვიზამდი?
თავქვე დავეშვი.
სულზე მივუსწარ
ჩამოვუბანე,
გადაყვლეფილი
მუხლის თავები.
ისე გაიქცა
აღმართის ბოლოს,
ძვლივს მოვასწარი
მეთქვა მშვიდობით.
ეხ, კიდევ ვიტყვი,
მერე რა მოხდა,
ზოგს სამუდამოდ ვემშვიდობებით.
შენლა შემომრჩი
წვიმაში, ქარში,
ქოლგად, ქურთუკად,
ლუკმაა ჯამში.
დღეისთვის კმარა,
საკმარისია,
ხვალ დათქმულ ადგილს,
დაგელოდები.

22.05.20206.

ბიოგობის თვე!

გიორგობას გვაუნყებენ ზარები,
გარეთ ფოთლებს აუტეხავთ ჩურჩული,
ტაძრისაკენ იჩქარიან ჭრელჭრული,
ტაძარს ნოხად გაფენია ფოთლები.
გიორგობას გვაუნყებენ ქვევრები,
თავს მოუხდის ნაჯაფარი ქართველი,
ხაპით თასებს გადაავსებს მლოცველი,
აივსება ყანნი, თასი, ბარძიმი!
გიორგობას გვაუნყებენ სხივები,
მეც საყდრისკენ მივიჩქარი ცოდვილი,
როგორ მიყვარს გიორგობის დღეები,
სანთელს ვანთებ საქართველოს სახელით!
გიორგობას გვაუნყებენ მტრედები,
დღე არისო კეთილითა ძლევა ცოდვის,
დიდ მონამე მხედრის,
გიორგისა წმინდის,
უხილავი, ხილულითა შეენიე საქართველოს!
ცოდვილს...

23.11.2020წ.

ბიორგობის ოცდაერთი

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცანი და ქვეყანა“

გიორგობის ოცდაერთში კრება შედგა, ითათბირეს,
ანგელოზთა წინამძღოლად დაინიშნა (წმ) მიქაელი,
ჩვიდმეტ საუკუნეს ითვლის წმინდა ანგელოზთა დღენი,
შეგვენიე, გვემფარველობდე სამასსამოცდახუთ დღენი!
დღეა დიდებული, დიდებულ დღეთა შორის,
ცის კაბადონზე ისმის რეკვა ცისკრის ზარების,
დღეა ანგელოზთა, გვიხმობს ტაძრები, საყდრები,
რწმენით აღვავლინოთ გალობა, ლოცვანი, ტროპარი.
რეკენ ზარები, ისმის გალობა ქაშვეთს და სიონს,
სამთავისს, ჯუმათს, ალგეთს და დიმისს...
რეკენ ზარები, იკმევა საკმეველი, ინთება სანთლები,
სადიდებლად უფლისა და მთავარანგელოზთა!
წმინდაო მიქაელ, შენ დაგვიფარე, კურთხეულ მინის უძღვები შვილნი.
შენ წინამძღვარო ანგელოზთა მსახურო ღმრთისა,
მოგვმადლე წყალობა ერსა მცირესა ქრისტიანსა,
ანგელოზთათვის მუხლმოდრეკით მუდამ მლოცველსა.
ანგელოზთა მხედართმთავარო, გვაუწყე ნება უფლისა,
საიდუმლოება სარწმუნოებისა,
გვაცხე მირონი, გვაპკურე აიაზმა, გვაგემე სეფისკვერი,
გვაზიარე ხორცსა და სისხლსა უფლისა,
„საკურნებლად სულისა
და
სადიდებლად უფლისა“!
ამინ!

21.11.20216.

ვერება

მზე აღმოსავლეთს მიცურავს,
ღრუბელმა დასერა ზოლებით,
რეკენ მწუხრისა ზარები,
მეტანიებით შევხვდები.
ცას რუხი ფერი გადაჰკრა,
საავდროს მოჰგავს ფერები,
უფალს ლოცვებით შევხვდები,
დე გამინათოს მან გზები...
მუხლმოდრეკილი ვედრებით,
ზეცად მიპყრია ხელები,
უნინ ჩამიქრეს სანთელი,
სხვისი ვინდომო სათქმელი!

14.01.2022წ.

რწმენაა საბზალი

– ვერ მივა ღმერთამდე სათქმელი,
თუ რწმენა მცირე და ორჭოფია,
ლოცვაა სულისთვის საგზალიც და
სანთელი სამოთხის კარიბჭეა.
ურწმუნოდ არ შეალო ტაძარი,
უგულოდ არ აანთო სანთელი,
გათენებისთვის ილოცე ღამე,
დაღამებისთვის გათენებისას.
თუ ნიჩაბი არ მოუსვი დილით,
დაღამებამდე ნაპირს ვერ გახვალ.
მცირე გუბელა კი არ გეგონოს,
უკიდევანო ძალებში ტოპავ!

p.s.

ლოცვაა წერილი ღმერთამდე,
სიმია მინიდან ზეცამდე.
არ განყდეს სიმები ილოცე,
ინამე და მთებსაც გადადგამ!

10.02.2002წ.

ჯვრის ძალა...

ყველამ ვატაროთ
ჩვენ ჩვენი ჯვარი.
სხვის საფლავს მაინც
ვერ ამოვავსებთ.
რად დაგრჩენია
სხვის კარგზე თვალი.
შენი შექმენ და
სხვისიც დალოცე.
ჯვრის ძალას მხოლოდ
მაშინ აქვს მაღლი,
განა მკერდზე რომ
გკიდია მარტო,
როცა ღმერთს შესთხოვ
მოძმის სიკეთეს
და არ დაგყვება გზად
კვალი ბოღმის.

27.09.2010წ.

ამონ!

ცილს ნუ დამწამებთ, ნიჰილიზმი ჩემგან შორსაა,
რეალისტი ვარ, რეალურად განვსჭვრეტ მომავალს,
თვალს გავუხსნორებ სისასტიკეს ბედის მწერლისას,
დავამსხვრევ ბორკილს ხორციელის ეჟვან-დოგმისას.
ნუ გამიმეტებ სასთუმალზე მისაჯაჭვებლად,
მსურს წამს მივლულო თვალნი ჩემნი
და წამს ნარონინი ამოუშვა სული ცოდვილი...
ნასათუთებ გულის ურვით, ნაუნყმედარად!
...და როს თვალნი დამებურება,
უკანასკნელ ამოსუნთქვას დაველოდები,
შენყვეტს ოდესღაც ეს მჩქეფარე სისხლი დინებას,
დამიბნელდება და ძარღვებში გამეყინება,
მაშინ, როდესაც პულსიც შეწყვეტს ნელ-ნელა ცემას,
...და სანამ ტვინი ნარატივით აგრძელებს ყოფნას,
უფალს შევთხოვ მაპატიოს მე ყველა ცოდვა,
ამა სოფელში ჩადენილი უნებურ მრჩობლად...
მოველი ამინს!
ცილს ნუ დამწამებთ, ნიჰილიზმი ჩემგან შორსაა,
ცხოვრება ჩვენი წარმავალია,
...და ბოლოს მაინც ცხოვრებისგან სიკვდილს მოველით!
სიკვდილის ცელი მოგვცეღავს ყველას!...
...და შენ, „რკინგულა თანატოს“, ერთი თხოვნა მაქვს,
ალაღად გთხოვ არ შეეხო ოღონდ ნორჩ ბალახს...

p.s.

მე კი ვეცდები ისე ვიცხოვრო,
სიკვდილის მერე, რომ მომიგონონ,
სულ მცირე როლით
ამ წუთისოფლის დადგმულ სპექტაკლზე!

16.11.20216.

შენით!

რამდენი ხელი აქვს
ცოდვას,
რამდენი ტკივილი
ღიმილს,
მაგრამ სულ ერთი
ხელი,
წასაშველებლად
მყოფნის.
ზეციდანა ვგრძნობ
შველას
და იმ გამოწვდილ
ხელებს,
ვიცი არ მტოვებ
მარტო,
დარდს მიმსუბუქებ
გულში,
მოელი მხოლოდ
ლოცვას.

მებუმბულება დარდიც,
როცა შენა ხარ
ჩემთან,
რა დათვლის ჩემი
ტვირთის,
შემსუბუქებას
შენით...
არ მიმატოვო,
ღმერთო...
არ მიგატოვებ
წამით...
გამელიმება დაღლილს,
ღალას
გავიტან ბეჭით...

—

საპალნე ვირის საზიდარია,
აქლემი ზოგჯერ დასაჩოქია,
არ მომივლინო ტვირთი,
წამოსადგომად ზვირთი.

19.11.2009წ.

ჯვართამაღლებას

შენ იცი, ღმერთო, ბოროტი არ ვარ,
არც უმადური, შენ იცი, ღმერთო.
თუ გვერდში დგომა არ შემიძლია,
ცუდი არვისთვის არ მინატრია.
ბოროტებისთვის სამაგიერო არ მითხოვია,
შენ იცი, ღმერთო.
არც სიკეთისთვის ვითხოვ მადლობას,
ქვაზე ვდებ ჩუმად, არ ვაჩხრიალებ.
მე და შენ ვიცით, „ციციკორებმა“
ტალახი უხვად გამოიმეტეს,
მართალ კაცისთვის სროლა ვერ, მაგრამ
ზურგს უკან დაყრა მაინც გაბედეს...
ერთმა მათგანმა რომ ნაიჩოქა,
არ გავუხსენე, წამოვაცენე.
ჭაობისათვის ვერ გავიმეტე.
მეორემ კარზე მომიკაკუნა,
ხელი ვერ ვკარი, კარი გავუღე.
მაინც ვერ შეძლეს ჩემში ჩაეკლათ,
მდოგვის მარცვალის თესვის სურვილი.
მე ვიცი, ღმერთო, ამ სიკეთისთვის,
ხელი რამდენჯერ შემომამშველე.

არა მწყინს, ღმერთო, მაგრამ მაოცებს:
ბოღმა, შური და უმადურობა!
მიკვირს, მაოცებს საქციელი მოყმის და მოძმის,
თორემ უცხოსთან რა მესაქმება!
ერთმა ბრძენმა თქვა: თუკი გაოცებს, ბავშვი ხარ ჯერაც.
დე, ვიყო ბავშვი, ვიდრე უგრძნობი,
შენ დამიფარე ბოროტებისგან.
რამდენმა ტალღამ გადამიარა,
მაგრამ ჩავყლაპე მლაშე წვეთებად.
სამაგიერო არ მითხოვია,
გულში ვიკლავდი მწარე ვნებებად.
შენ იცი, ღმერთო, ბოროტი არ ვარ,
არც ჭორიკანა, შენ იცი, ღმერთო.
ზოგჯერ საკუთარ თვალს არ ვუჯერებ,
მე და შენ ვიცით, და ესაც კმარა.
მე ყოველ დილით პირჯვარს გადვიწერ,
ყოველ დილისთვის მადლობას გწირავ.
ვიცი ჩემთან ხარ, არ მიმატოვებ,
ცისკრის ზარები მამცნობენ წირვას!

27.09.20216.

მადლობა უფალს

ახალ წელს სურვილი ჩავიფიქრე,
შობას დაველოდე მოთმინებით,
თებერვალმაც უქმედ ჩაიარა,
მარტშიც ვერ ამიხდა სურვილები.
ვიფიქრე, მეშველება აღდგომამდე,
გავაძლიერე უფლის ლოცვები,
ისე ჩაიარა აღდგომამაც,
ვერ განვახორციელე სურვილები.
რადგან ვარდობისთვემ ჩამიქროლა,
მამა-ლმერთს გავანდე სურვილები,
უფალილა დამრჩა საიმედოდ,
გავაძლიერე უფლის ლოცვები.
შენ, შვილო ჩემო, ხელს არ ანძრევ,
წამოგორებულხარ მხართეძოზე,
ეგრე ვერ ახდება სურვილები,
ოფლითა შენითა ჰქმენ ქვეყანაზე!
– ეჰ, ზაფხული მაინც ზაფხულია,
მეც ჭრიჭინასავით გავატარე,
სექტემბერს გადავწყვიტე მოქმედება...
თან დიდი გეგმები დავალაგე...
მართალი ყოფილა მამა-ლმერთი,
ხელი გაანძრე, გეშველება,
ხოდა, ამოვქოქე ჩანაფიქრი,
გიორგობას მცირე შევასრულე.
ახალ წელს ნანატრი სურვილები,
შობას ამისრულდა ღვთის შეწევნით.
მადლობა, უფალო, გზა მაჩვენე,
უშენოდ არ ხდება არაფერი!

07.01.2007წ.

მისია

უბედურია ყველა სულდგმული,
ვინც ვერ იკისრა თავის მისია..
ვინც ვერ გაიგო რისთვის მოვიდა...
ღირდა თუ არა
ამ ქვეყნად მოსვლა...
მადლობა ღმერთს, რომ ისე ვიცხოვრე,
ცხოვრებაშივე მივხვდი მისიას!
რისთვის მოვედი, რომ ღირდა მოსვლად
და მაკისრია ჩემი მისია!
ამაზე კარგი რა უნდა იყოს
ანგელოზს მანდობს, თვით მამა ღმერთი!
შენ რომ არ მყავდე მფარველად, ღმერთო!
ჩემი ხელებით პურსაც ვერ დავჭრი!
ამაზე მეტი რაღა ვინატრო,
თავის შვილს მანდობს,
თვით ჩემი ღმერთი!

21.01.20216.

ერთბულება

ბევრჯერ დავეცი....
მაგრამ ვდგებოდი!
ბევრჯერ გამყიდეს...
მაგრამ ვითმენდი!
ბევრჯერ ვიგემე გზა ეკლიანი...
მაგრამ ყოველთვის მიცავდი, ღმერთო!
მრავლად ვიგემე ლალატი, შური...
მრავალჯერ მომკლეს მწარე ენებმა...
მრავლად შემომხვდა გზაზე გამცემი...
შენი სახელით გადავრჩი, ღმერთო!
რამდენჯერ ფეხი დამიდო ბედმა....
რამდენჯერ იყო თავდავინწყება...
შენი სახელის ხსენებით, ღმერთო!
იმდენჯერ მყარად შევძელ ადგომა...
ამ ქვეყნად ყველამ რომ მიმატოვოს...
შენ მიერთგულებ
მწამს შენი, ღმერთო!

28.08.2008წ.

ღამლოცე...

ნეტავ როგორია მთის მწვერვალი,
ალბათ ხელით სწვდები მიჯნას,
მე ვერც ბოლომდე ვერ დავივაკე
და ვერც შევწვდები ცის კარს.
ვდგავარ შუა გზაში ჩახერგილი,
ფეხი ვერ ავუნყე ვერც მარტს,
ხო და
მოველ ცოდვილი და მიპატრონე,
მეც ხომ...
მეც ხომ შენი შვილი მქვია.
ახლა გაზაფხული მაკეა
და...
ალბათ შემოდგომით
მოიბაკებს...
როგორ მეცოდება ბატკნები
და
წარმართ შეწირული მაკეტები.
შენი სახელი რომ დაარქვეს და
ვითომ შესაწირად უღვთოდ ხოცეს
მოველ, შემინცალე უგუნური,
მოველ...
მიმიღე და...
ბნელში...
მლოცე...

20.03.2006.

და როგორც იტყვი...

ვიცი, სად ვიყავი,
ვიცი, სად ვარ ახლა,
არ ვიცი, სად წავალ,
და რა იქნება ხვალ
რას მიმზადებს ბედი,
ან რას ფიქრობს ღმერთი,
„შეუცნობელია,
გზანი უფლისანი“.
წარსული აფრები ,
წარსული ტალღები,
ალარ დაბრუნდება,
დავხურე კარები.
ვამბობ, ვიცი სად ვარ,
მაგრა ვარ ბურუსში,
არ მინდა უკუსვლა,
მაშინებს წინ სვლაც.
არ ვიცი, რა მელის
გვირაბის ბოლოში,
ლიანდაგს გავყვები,
გზაჯვარედინამდე.
აქ კი დავიბენი,
არ მყოფნის ჟანგბადი,
მარჯვნივ მთებია და
მარცხნივ ხეობები.
რომ ვიყო მისანი?
ო, არ ვისურვებდი,
„შეუცნობელია,
გზანი უფლისანი“.

03.06.2000წ.

მე ახლაც ვცოდავ...

შემინდე, ღმერთო, ხშირად ვარღვევ ჯვარდასმულ მცნებას.
ჩემი ლოცვები მწირია და უვიცის გვემა.

ვერა...

ვერა და არ ვისწავლე ლოყის მიშვერა.

ლოყას არ ვუშვერ არც არასდროს ვაბრუნებ ხურდას.

რა ვქნა, ღმერთო, ვერ ვასრულებ ათივე მცნებას.

ჩემი ლოცვები მწირია და უვიცის გვემა.

ეჭვი არა მღრღნის, მაგრამ რა ვქნა, დავკარგე რწმენა,
მაინც ვეცადე კაცის სიტყვის გადამონმება.

რა ვუყო, ღმერთო, ცოდვილი ვარ და არცა ვმაღავ.

ჩემი ლოცვები მწირია და უვიცის გვემა.

არც ვმაღლდები და არც ვმდაბლდები, მაინცა ვცოდავ...

შემინდე, ღმერთო, რადგან შენლა დამრჩი მშველელად!

20.06.2022წ.

ერთადერთი...

ბედნიერებას ვერ იყიდი,
თუ არ განიცდი,
ბედნიერება უნდა გნამდეს,
მხოლოდ ეს ვიცი.
სხვას რომ გახდი
და შენ ჩაიცმევ,
არ მოგერგება.
რომც მოირგო,
არ შეგერგება,
და რომც შეირგო...
რას განიცდი?!
ბედნიერებას?!
აბა, დაფიქრდი!
– რომ გაიხდი და
სხვას ჩააცმევ,
მაშინ ხარ კაცი.
შეგნებულად
ნუ, ნუ წაართმევ!
სულს ნურვის გახდი!
წამირთმევია იქნებ სხვისთვის,
ამას განვიცდი!

გიცდით,
მიტხარით,
ცოდვას დავიხსნი.
კართან დავიცდი,
ბოდიშს გადვიხდი,
ლოცვად ავიხსნით...
აპატიე და გაპატიეებს,
მაღლაა ღმერთი!
მიუტევე-მოგეტევება,
გვარიგებს ღმერთი!
თუ არ ვისწავლეთ მიტევება,
დავრჩებით კენტი!
სიყვარულია
სამყაროში გადამრჩენელი
სულის სარჩენი,
მართალია
ის ერთადერთი!

01.08.20226.

მე მინდა ვიყო...

როდესაც ძლიერ მომენატრები,
და მონატრება ამიშფოთდება,
როდესაც მთვარე ღამეს შორდება,
სანამ ახალი დღე დაიწყება.
მუხლებს მივიტან გულის ფიცართან,
დავხუჭავ თვალებს, მოგიხმობ ჩემთან
და შენს წიაღში,
ხოო, შენს წიაღში,
თავს წარმოვიდგენ მე ემბრიონად.
როდესაც მთვარე გარდაიცვლება,
სანამ ცა წითლად შეიღებება,
შენს წიაღიდან ვიწყო დუღება
და ლოცვად ბევრჯერ განმეორება:
მე მინდა ვიყო სიკეთის მონა.
მონათესავე ჩუმი სიკეთე,
ოდესღაც, შენც რომ კრძალვით აკეთე,
ვდიოდე ჩუმ და უხვ ნაკადულად,
ან ვიყო ყანა მოსავლიანი,
ანდა ვენახი ბარაქიანი

თუნდაც ქვის ლოდი, ოღონდ წყაროსთან,
მცირედით მაინც შემეძლოს შველა,
გზად ყველა მწყურვალს წყურვილს ვუკლავდე,
და ვაპურებდე მშიერს, დამაშვრალს.
მოვდიოდე და გზად ნადებ სილას
მდინარის კედლებს მივალესავდე
ელიას მთიდან წვიმად მოვიდე,
ვანვიმდე ყანებს, თესლს ვაღვივებდე.
ჩამოვრეცხავდე სულ ყველას ნაღველს,
ბოროტის კარებს ამოვლესავდე.
ხო, სანამ მთვარე იმშობიარებს,
სანამ ცა წითლად შეიღებება,
მუხლებს მივიტან გულის ფიცართან,
მე ემბრიონად გადავიქცევი,
დედის წიაღში ჩავსახლდები და
ლოცვას წარმოვთქვამ
შენს სადიდებლად!

02.08.2012წ

გამიღე კარი...

შვილი ვარ შენი, არ უარვყოფ,
მაგრამ ვარ მწირი,
შემომისახლე შენს მცნებებში,
უმწეო მწერი.
განკითხვა სხვისი მე ვინ მკითხა,
სხვისას არა ვწერ,
ტომად მეყოფა საკუთარი დარდტომეული.
ზოგს შეუძლია ღვინოს ანდოს,
გულის ბზარები,
ბზარნი თრიაქით ბრუვდებიან, ასტრალნარევი.
ფხიზელდარდიანს მირჩევნია ლექსად ვენამო,
ღამის სიჩუმე დავარღვიო გულთან კამათში.
ხვალ
ალიონზე გავიხადო ნესტის პერანგი,
ვაფიცხო მზეზე, ღიმილებით ვინყო თამაში.
იყურე, გულო,
მხოლოდ შენ გრძნობ, ტკივილს ნალიანს
და რომ გამიქრე, ვიღას ვანდო კარზე ბზარები.
ნალბზარიანი...
მწირმწერიანი...
ზღვაჯოდვიან...
სააქაოში განდობ,
გენდობი, გენდობიან!
საიქიოში მოვდივარ და გამიღე კარი...

29.07.1999წ.

ფერიცვალებით...

ნისლი ნვებოდა ლელვიანში თაბორის თავზე
და ყორჩი-ყალა კვლავ იცავდა სამხრეთის კარებს.
ამ ღამით მთვარე ჩემთან ერთად ცეკვავდა დავლურს,
ვარკვლავები კი მოგვყვებოდნენ მაყრიონებად.
ჭირისუფლებად ჩამოუსხდნენ ჩემს სულს დაღალულს,
მოყვასისაგან უშურველად დაჭრილ, დაბაკრულს,
დათალხულები, დაბერილი იწვნენ ღრუბლები,
ვერ უბედავდნენ მთვარეულებს, სიტყვას გადაკრულს.
თავდახრილები, დატორილნი იდგნენ ვერხვები,
ცრემლად სცვიოდათ არშემხმარი, თოთო ფოთლები.
ამ ღამით თითქოს ვერ ბედავდა მტკვარი დინებას,
იდგა მეტეხთან და ზარების რეკვას ელოდა.
გვაშტერდებოდნენ ღიმნარევი ცრუ-ყრუ თვალები,
ნაშურდულარი, ნამთვარები, გადამთვრალები...
შენს
სადიდებლად,
ფერიცვალებას
ფერნაცვალნი
მე და მთვარე ნეტარებისგან როგორ ვცეკვავდით...
მოგვჩერებოდა ათას ერთი ურწმუნო თვალნი...
სამსა ტალავერს მოეფინა ღრუბლით ნათელი!

19.08.2022წ.

სცადე...

სცადე
ალიონზე ლოცვა!
დასთმე
ყალიონის ბოლვა!
სცადე,
წამოდგომა სცადე!
დასთმე,
ბოროტება დაგმე!
სცადე
მრონცხება სხვისი!
დასთმე!
გესლიანი ბაგე!
სცადე!
შეელიე სიამაყეს,
შენში თავმდაბლობით იამაყე...
დასთმე!
ერთი პურის ყუა
ტრაპეზს შეელია ყუათიანს...
სცადე,
როცა გული გტკივა,
გრძნობით გაულიმო მტირალს ...
დასთმე

საკუთარი გლოვა,
როცა ზღვა ტკივილი მოვა...
სცადე!
აპატიო მოყვასს
ზიზლით ნუ აივსებ გრძნობას...
დასთმე!
ცხვარს ნუ დაკლავ მცოვანს...
მაქციას ნუ კითხავ მორალს...
სცადე,
გამონახე ძალა...
იბრძოლე, სიტყვა არ კმარა...
დასთმე!
საკუთარი საქმე...
წადი და გამორდი
მფლანგველს...
სცადე
საკუთარი გქონდეს...
დასთმე
სხვისი სისხლით ყოფნა...
სცადე,
სიყვარული სცადე!
დასთმე!
სიძულვილი დაგმე!
სცადე!
ლოცვა სცადე სხვისთვის!
დასთმე!
უღმერთობა დაგმე!

18.08.20056.

დედაო ღვთისა!

წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!
დედაო ღვთისაო,
დედაო ერისა!
შენი მიძინებით
მაჩუქე დაბადება!
შენ მიძინებით
მაჩუქე დედის ფრთა!
მადლობა რწმენისა!
მადლობა დედისა!
შემინდე თუ გყვედრე
უგუნურ გონისა!
– შენი მიძინების ღამეს
თვალს არ ეკარება რული,
შენი უხილავი ხელით,
ხილული გახადე რწმენა.
(ველოდი მიძინების ღამეს,
ჩემი ჟანგბადის დაბადებას).
შენი დატოვილი სუნთქვით,
ოცდაცხრა წელია ვსუნთქავ.

– წყალბადი დაშორდა ჟანგბადს,
კენტავრი აენტო ცაზე,
შენი დატოვილი რწმენით,
ენით ვერ გამოთქმულს გმადლობ.
აღლობ, ჩემს ტკივილებს წამლობ,
წამლად ამინთე შენი მზე,
სანთელ-საკმეველი, ხატი!
იმზევე, მზე-შინა-კარის!
გათენდა, გამიღე კარი!
(ვერ დავიფარე შენი შვილი,
მე ჩემს შვილს განდობ)!
– წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!
დედაო ღვთისაო,
დედაო ერისა,
მადლობა რწმენისა,
მადლობა დედისა,
ჰფარავდე სამშობლოს,
ჰფარავდე ამ მიწას!
შენ დაგვრჩი იმედად!
ჰფარავდე ყველას და
მათ შორის მეც!

28.08.2022წ.

ზღვარზე...

სიტყვას ძალა აქვს
ემმის და უფლის!
რა ძალას შევძენთ,
მხოლოდ ჩვენ ვუნყით?!
ლოცვაა სიტყვა,
სიტყვითვე ვწყევლით!
(ადამიანები)?!
ვდგავართ ზღვარზე
ემმის და უფლის!
ის შეიძლება იყოს ოქროს ან
სულაც ვერცხლის
ხო,
ოცდაათ ვერცხლის.
სიტყვა განაგებს
ბოროტს და კეთილს!
სულ ერთი სიტყვა
ატრიალებს
წაღმა-უკუღმა
მდგომარეობას,
ბედს რომ ვეძახით.

(სუსტნი ამაქვეყნისა)
ზღვარზე მდგომისთვის
ერთი სიტყვა ხდება საზომი.
კეთილის მქმნელი,
ზღვარზე მდგომი,
ბოროტი სიტყვით
დავინახე ხელჩაქნეული...
და ის მეორე
კეთილი სიტყვით
მობრუნებული.
მეორეს ბედი არ მანაღვლებს,
გავტაცეთ ეშმას,
მაგრამ პირველი
საშიშია,
დაშორდა უფალს...
სიტყვას ძალა აქვს
ეშმის და უფლის!
სიტყვას ძალა აქვს
წყევლის და ლოცვის!
სიტყვას ძალა აქვს
ოქროს და ვერცხლის,
რა ძალას შევძენთ
გონება უწყის?!

27.08.2020წ.

მთვარისთან გელოდები...

მთვარის შუქზე ჩემს ჩრდილს შევხვდი,
დიდხანს ვიმუშაიფეთ,
ვსეირნობდით მთვარის შუქზე,
მე და ჩემი აჩრდილი.
თუ აღმართზე ავდიოდი
ჩრდილი მიმიძღვებოდა,
თუ დაღმართი შემხვებოდა,
უკან ჩამომრჩებოდა,
თან ისეთი გვაჯი იყო
ხარხარი მიტყდებოდა.
აბა, სხვას რას მივედავო,
აბა, სხვა რას გამიგებს,
როცა საკუთარი ჩრდილი
დაღმართებში გვერდს გიგცევს,
როცა ნაბარბაცდები და
ჩრდილიც განზე დაგტოვებს.
ახლა, როცა მთვარეს ვსტუმრობ
შენც მოგიხმობ, უფალო,
ადრე მხოლოდ მთვარე მყავდა,
მხოლოდ დარდებს ვუმხელდი,
ახლა ლოცვაც ვისწავლე და
ლოცვით ვესაუბრები.
გაიზარდა ჩემი მე და
ჩრდილსაც აღარ დასცინის,
წამოდგომა მასწავლე და
შენს ნაკვალევს გავყვები.
თუკი თვითონ დამტოვებენ
წლებით გადაღლილები,
შენთან ვრჩები გულწრფელი და
მთვარესთან გელოდები.

05.09.2020წ.

მუზას...

არ წვიმს,
მე მაინც მანვიმს.
არ თოვს,
მე მაინც მათოვს.
მზეა და მაინც სიცივე
მაკროთობს,
ფიქრებში ფიქრი
ფიქრებად მათოვს,
ამინდი წყნარი, უქარო, უტყვი,
გულში ქარია,
რატომ ვინ მეტყვის?!
რად მელენება გულის ფიცარი?
მჩხვლეტს, როგორც ზვინს
ორწვერა ფინალი.
ირეკლავს მინა მზის
ათინათინს,
ვიტრაჟში ვხედავ
ორეულს,
როგორ წუხს,
ტუჩებიც როგორ
გალურჯებია,
ვისვამ „პომადას“,
დამალავს ვითომ?!
გაცრეცილ სევდას...
პრინციპში ახლა
ეს სულერთია!
ხელის კანკალით
ვუკიდებ „ქემელს“,
ერთი, ორი, სამი
და...
ეს სანთებელაც
ჩემს ნერვებს წამლავს,
მე კიდევ უანგზადს...
სულ ერთი ყლუპი

ვისკიც რომ იყოს,
გავიქარნყლებდი
სევდას ნალამურს,
მაგრამ არ არის...
ვიცვლი სალამურს...
ფხიზელმა როგორ
გავძლო ხვალამდის?!...
ვგრძნობ, რომ მყიდთან,
როგორც იებს რვა მარტის
დილას...
ჩემს ემბაზიდან სვამენ და მცლიან...
რამდენი რამის
თქმა მსურდა და...
არ გეგონოს ვერ მოვუყარე
თავი,
სათქმელს...
უბრალოდ ვატან ქარს,
როგორც ნამქერს!
– მიზიარებ,
მაგრამ ვერ იზიარებ...
მტოვებ ალბათ,
კარგი, ნახვამდის...
ზიარება არც მითხოვია!
„ქემელს“ ვკლავ
და ვშლი კვალს...
ცოცხლად'ა მკლავ,
მაგრამ გერევი,
რადგან ჩხვლეტას და
სიცივეს ვგრძნობ კვლავ...
ვსუნთქავ...
მივყვები ქუჩებს
გზაარეული
და სულერთია
სად შევჩერდები!
აქ ხუნდებია
ათასი ფერის,
მელანს კი ფერი

გახუნებია,
გიბრუნებ კალამს
წვერთან მოვერცხლილს,
ვკრავ
ყულფებს...
არ მაქვს უფლება
და არც იფიქრო,
სიკვდილზე ადრე
ვტოვებ სიცოცხლეს.
არა!...
თვითმკვლელობაზე
არც მიფიქრია,
ქისას ვკრავ ფსკვნილებად,
განა თავს გავყოფ...
არ მსურს მეორედ
არდაბადება...
– ხედავ?
ილიმი!
არ გაქვს პასუხი,
ისევ სიჩუმე...
მე დავიღუნე...
როგორც ქარისგან
ის ლარნაკი,
ფარდის ფრიალით
რომ გადმოვარდა;
აშარი ქარი ისევ
დარაბ-დარაბ დაეხეტება,
როგორც მაშინ...
– არც კი იფიქრო
შემორიგება,
შენ მეგობარი ჩემნაირი
არ დაგჭირდება,
სულ რომ ტერენტის
მუზა მეწვიოს,
ან გალასავით
ავლაპარაკდე,
მე მაინც გტოვებ,

მძიმე ლოდი ხარ
გულზე ხარი-ხარ
ველარ გიტვირთავ,
არ მიხარიხარ,
ნადი, დამტოვე!
აბა, რად გინდა
შენ მეგობარი,
რომელიც ღამის
ქუჩებში გაგცემს,
ჯერ დაგწერს,
მერე გადაგხვეს
მტვერში გაგახვევს...
მე გამოგაკლდი
და პრინციპში
არც რა დაგაკლდა,
მხოლოდ მოგაკლდა
საზრუნავი
მსუყე ულუფის,
ყოველ ღამე რომ
მიმზადებდი
მე უმადურს და
ასე გემდური.
გტოვებ, გმორდები...
ამ საღამოს,
ვიცვლი საღამურს...
– და თუ მეორედ დავიბადები,
აღარ შემომხვდე
ეკალბარდებთან...

10.10.2021წ.

ვიხდი ტკივილებს...

მოვედი, ღმერთო,
ისევ მოვედი.
და ისევ ისე
იმ სკამზე ვზივარ,
ტაძრის ეზოში,
უცვლელად რომ დგას.
უძლებს წვიმებს და
უძლებს ქარიშხლებს,
მერამდენეჯერ დაუთოვია...
ვერ ნაუშლია
წლების სიბევრეს,
ამოტვიფრული სკამზე
ფიცრები,
რამდენი მრევლის მესაიდუმლე...
მეც ვესაუბრე...
მხოლოდ
შენ და ამ სკამს
გაქვთ ძალა,
სიტყვების ნაცვლად
ფიქრების გაცვლა...
არ გაცემა...
არ გადაცემა...
მხოლოდ აქ არის
სულის სიმშვიდე,
წავალ და სულიც
აიღენება.
...და როგორც წინათ,
ვზივარ, მოგელი,
შენი იმედი არ მეკარგება.
სხვა დანარჩენი
არც ღირს სათქმელად.
როგორც კი ჭიშკრის

ზღურბლს გადავცდები,
ბიჯზეც ვერ ვცდები
ცოდვათა ყოფას.
დაცლილი ვდგავარ,
სული მიწივის
ამ შემოდგომის
ფოთოლსა ვგავარ;
დღეს ყველა ეტრფის
ფოთოლთა ცვენას,
ხვალ მეეზოვე
გადაგვის ალბათ,
გაზაფხულდება,
ნეშომპალდება,
ზაფხულში არვის
ემახსოვრება,
მზეც კი ნორჩ ფოთლებს
ეკეკლუცება...
– ვცდილობ ავაესო
სიცარიელე,
ვიგონებ წარსულს,
გადავიმღერე,
იქაც რამდენი ჭრილობა დამხვდა,
ალბათ ბედად მხვდა
სიცარიელე...
გასალიმებლად მაინც მეყო
ქილა დაცლილი.
ბებოს მოვპარეთ კაკლის მურაბა,
– საზამთროაო და
ჩვენ დავცალეთ,
დაზამთრება არ დავაცადეთ...

ბავშვობა მერგო
გასაღიმებლად,
საამებლად ის დღე,
დღეს აღსარებად რომ ვაღიარე.
შენ რომ მპატიობ,
მეც ვაპატიებ
და ასე მაინც ხომ გაღიარებ,
თუ სხვანაირად არ შემწევს ძალა,
ამით ვიმშვიდებ სულის იარებს.
როგორ ახერხებ, რომ
არასდროს კარგავ სიმშვიდეს,
როცა გეტყვი,
მოვიპარე...
ვარღვევ მცნებებს,
შენ კი შემინდე.
მოვედი, ღმერთო,
შენ განდობ პიზას
ორ პირას,
გენდობი მისხალს
არ გიმაღავ არც რას,
ვჭამ ჭიან ვაშლს,
მინას რომ ძრავს,
მძრავს სურვილი
მოვმორდე ურვას,
თავში ვიკლავ თავს,
ვითვლი სარკმელს რვას,
ოთახი ჩემსას ჰგავს,
ვიხდი ტკივილებს,
იქამდე მაინც, სანამ
მეორედ ავიღენები,
სანამ ყურები ამინუილებს...

05.10.2021წ.

ბზაბასაყარზე...

უკუღმა ბრუნავს ბედის ბორბალი,
ხორბალი წმინდად არ იღერდება.
დოლაბი ცვდება ღერღილის ფქვაში,
მეტირება და თან მეღიმება.
ვით „კარუსელი“ ისე ტრიალებს,
ცოდვა-ბრალისგან თავბრუ მეხვევა.
სულ თალხი, თალხი,
ალარ დამთავრდა,
ბედის მწერალის გამოღვიძება.
ფეხდაფეხ მომდევს,
ისარს ღრმად ტოვებს,
ვით მონადირე შავი ბიზონის.
მიზანში ერთხელ არ ააცილა,
ვომობდით მე და
ბედის საზომი.
მე ყველა გზები ხოხვით გავლიე,
დაუჩივლელად ვეძებდი ძალას.
მინდი ყოველთვის მიტოვებია,
ვერ გადვიხადე ცხოვრების ღალა.
როდემდე ვძერწო სულის სიმშვიდე,
გამოგონილი სიმშვიდის ფარსად.
ძენა მეხვევა სამაჯურებად,
ვხუჭავ თვალებს და ვეხვევი წნელად.
მე და ტირიფი ერთად ვტიროდით,
მდინარე ჩქეფვით გვაყრიდა შხეფებს.
თითქოს მოგვძახის, გამოიღვიძეთ,
ბობოქრად სდიეთ ჟამთა მდინარეს.
რა ვქნა, რომ არ მსურს გამოღვიძება,
მინდა სიზმარი იყოს ყოველი,
ამ ცხოვრებისგან კარგს რას მოველი.
ვარჩევ მეძინოს სალათას ძილით,
ვიდრე ვდიოდე ბედს მგლოვიარე.
როდის მეღირსოს სულის სიმშვიდე,
ეკალბარდები შემოვიარე.

არ მსურს დანახვა ეკლიან ბარდის,
ვინც ეკალს ამყრის ვუგზავნი ვარდებს...
ვუგზავნი ლოცვას
მადლიან მყრის,
მეინახეებს გზავასაყარის.
მყრონებად მეყოფა ძმანი,
ვინც შემომრჩება ჭირგადამტანი.
ცხოვრება ბარდნის ეკალბარდებად,
ბარდნის და ბარდნის
მეგობრებს გვაცლის,
ათას საცერში გაცხრილულ ქვიშას,
მცირედი მაინც დარჩება ლორღი.
თუ გალავანის გინდა შენება,
არ იზილება უღორღოდ ქვიშა,
თუ საურვეში შემოვრჩით ორნი,
ნაღდი და სწორნი,
არ ვუმზერთ ქისას,
ცარიელიც და სავსეც სავსეა,
ვით მზე და მთვარე
დღის და ღამისა!

17.10.20226

იანვარს ვუცდი დღეს!

ოლალ-ლალ,
ვუხუჭავ თვალს,
ალ-ჭვალი ადგას გერს,
გერისას ჰგავდა დღე,
ღერლს უნაყოფოდ დღე,
მღერს...
სოლ, რე-რე...
როგორ ბერნია დღე.
ღელეს არ მოჰყვა რაკრაკით,
არაკის მთქმელი,
მხნე...

დღეს წყაროს თავზე გამტყდარა
დარად საქცევი დღე.
ლეღედან პეშვით წყალი ვსვი,
სვე ვერ ვაგრიღე ვერ.
ვერ მოგანვდინე, უფალო,
ლოცვით მხოზავი დღე.
მღეროდა მეხრე ურმულს და
სახრეს უღერდა მზეს,
ეს დასანვავი ურემიც,
უზვინობითა დევს.
დევების სამფლობელოში,
ოჩი არღვევდა წნელს,
ნედღი წნეღების გოდორი,
ორღობეებში წევს.
წელს ისე ჩაუქროღია,
თოღიაც აღარ ფრენს.
რია-რიაა სანუთრო,
თრობით თუ გაღევ დღეს,
(ისე რა გაღევს დღეს).
ეს დალოცვიღი ნაჟურიც,
ჟუჟუნასავით წვეთს,
ერთ წვეთს გასინჯავ გგონია,
ნიბღიასავით ფრენ,
ფრენას უფრთებოდ გასწავღის,
ღიცღიცით ჩაცღი ქვევრს.
ტევრს მაინც იქნევ მტრულადა,
ადამიანი ზღვევს,
ევას ჩადენიღ ცოდვებზე
ზეცა დღესაცა კვნესს.
ეს დღეც ისევე გაბერწდა...
წრეზე ტრიაღებს მზე,
წევს უნაყოფო დღე.
მე ხვაღის იმედს ვიტოვებ,
ვტოვებ ამ წელში ბნელს,
ეღვის სისწრაფით მიჰქრიაწ...
იანვარს ვუცღი დღეს!

24.10.2022წ

ლექსები მეობრებს

ის არის თუ, მინდა ის ყოფილიყო?!

რატომ მეცნობა ეს ჭიშკარი,
ან ეს ვაშლის ხე...
რატომ მახსენებს ბავშვობას,
ან მე ვიხსენებ...
არა და მართლა მწვანე იყო იქაც ჭიშკარი
და იმ ეზოშიც საზაფხულო ვაშლის ხე იყო.
ვიპარებოდით ვაშლის ხეზე მარილით ხელში,
თითზე ფერადი სინის ბეჭდით
და მკვახე ვაშლებს კბილის მოჭრამდე დაჯღანვით ვკბენდით.
(ჰო, დაჯღანვა და კბილის მოჭრა ხომ კარგად გახსოვს)?
მართლა ის არის
თუ ძალიან ჰგავს ეზოც და კარიც?
მინდა ის იყოს!
და ეს კაკლის ხე...
დანენგოებულ ტუჩებს მახსენებს...
რა კარგი იყო...
– და დედის სახრე...?
ნანვიმარზე ფეხი რომ ამიცდა
თუ ფეხი ამიცდა...
ხო მართლაც ამიცდა ფეხი,
ჩემთან ერთად რომ აგიცდა.

მერე რამდენი ვიციინეთ და არ გვიტირია,
ტალახიანი ბავშვები რომ თვალეებით ვცნობდით,
ერთმანეთს და შიშს,
რომ გვეშინოდა სახლში ასვლის და
ტლაპტალახით გალუმპულნი წყაროს წყალით რომ გავილუმპეთ.
მერე იმ ღამეს სიცხე მომცა,
დედამ მითხრა „ანგინა“ გაქვსო,
მე ვერ ვხვდებოდი ეს „ანგინა“ რა იყო და...
ყელი მტკიოდა.
დედა მახვევდა ძმრიან სახვევს...
ცრემლი მდიოდა
შენ არ გიშვებდნენ ჩემს ოთახში,
მე ოთახიდან...
– დედა ამბობდა გადაედება...
(ანგინაო)
რალაც უღმერთო მალეჭინა მწარე ფოთოლი და
მესამე დღეს დაჯღანულ სახით მჟავე ვაშლს ვჭამდით,
მარილს ვაყრიდით...
ნეტავ ის არის ეს ვაშლის ხე ან ეს ჭიშკარი...
ის ჭიშკარიც ხომ მწვანე იყო?
ალაგ-ალაგ დაჟანგულიყო...
და ეს კაკლის ხე...
ნეტავ ის არის თუ მინდოდა ის ყოფილიყო,
რომ მოგონება დალექილი წამოშლილიყო...

09.09.2022წ.

უნაზესი ასული

გვანცა გურეშიძეს.

ქალი მოდის, მონარნარებს,
გუგეშიძის ასული!
შავ თვალ-ნარბას
უფრო შვენის
კულულები ჩაშლილი!
ვაკეში რომ ჩამოივლის,
ვერას სწვდება სურნელი!
ხელთ ჩაიგდეს ყანჩელებმა...
უნაზესი ასული!
გაუმართლათ...
ძე არა ვარ!
მეც ნაზი ვარ ასული!

03.03.2021წ.

მეზობარს

ია მალრაძეს

გოგო არის ალვის ხელა
ლერწმის ტანით,
თმა ტირიფის.
თაფლის თვალა,
პირ-მცინარა.
მარგალიტის ტუჩკბილბაგე,
წლებმა მაინც შეარჩინა.
ბევრი კარგი დღე განვლიეთ
ლმერთმა ბევრიც დაგვირჩინა.

03.10.2021წ.

ღამიასუ, მეგობარო!

ია მალრაძეს

- როგორა ხარ, მეგობარო,
მომიტევე მოკითხვები გვიანი.
- ვინძლო, სულ დავინწყებას, სჯობდა გვიან ხმიანი.
- მინდა გულით მოგილოცო დღე წმინდა და მზიანი.
- იმზეგრძელე, დაო, შენ, გიფარავდეს წმინდანი.
ვარ დაცლილი ნერვებისგან, აღარ მყოფნის ძალა,
ამ ცხოვრებას ველარ ვუძლებ, ამიშალა თავგზა,
ლამის სული გადამიტყდეს, ვხეტილობ გზა-გზა.
შენიც მითხარ მარტო ჩემი, რომ ვაყარე დოლაბს.
- ნუ იკითხავ ჩემს ცხოვრებას, ვერ მოგახვევ თავზე,
არ იდარდო ძლიერი ვარ, გადავტეხავ მკლავზე.
ვინძლო ჭორი მოგიტანონ, გითხრან გყიდა ვერცხლზე,
არ ინამო, ჩვენი რწმენა არ იცვლება ხამზე.
- უნინ მზე ნუ დავინახო, ვინძლო მოვკვდე ეჭვით,
მე და შენი მეგობრობა ავაშენეთ რწმენით.
ძლიერია, როგორც კაჟი, როგორც წყალში თევზი.
ერთად ვბლანდეთ, ერთად ვკემსეთ,
შენ იყავი ოქროს ძაფი, მე ვიყავი თერძი.
- მიხარია, მეგობარო, ვერ გვერევა დრო და სივრცე
თუ ოდესმე გაგიჭირდეს საიდუმლოდ დამიძახე.
- ჩემს ჭრილობას შენი სიტყვა მუდამ წამლად ადევს,
მეც მინდა, რომ შენს ტკივილებს სალბად შემოვადნე.

19.01.1996წ.

ლასიანა ერთი წლის

ლასიანა აბუთიძეს

შენში დევს ორი სიცოცხლე,
ორის მაგივრად იცოცხლე!
შენი სახელის მარცვალშიც
ორი სახელი მარცვლდება.
შენი მოვლენით ამ ქვეყნად
ხარება უფრო მაღლდება.
შენით ხარობდეს დედიკო
დედამიწიდან ზეცამდე.
მამიკო ციდან გფარავდეს,
შემოგახვიოს მანდილი.
შენი თვალების ნათებით
მუდამ ხარობდეს გამზრდელი.
გზას გინათებდეს ვარსკვლავი,
ხარება და სახარება.
მწუხრი წევს, არ მეძინება,
ზეციდან მესმის გალობა.
ეს მე არ დამინწერია,
თითქოს ვილაცა მკარნახობს.
შენში დევს ორი სიცოცხლე
ორის მაგივრად იცოცხლე!

07.04.2022წ.

ბოლო იბაღება...

ხათუნა გოგბერაშვილს

ვზივარ ფანჯარასთან,
ვუსმენ წვიმის წვეთებს,
საათს გავხედავ და
ჯერ ხუთი აკლია.
კიდევ ხუთი წუთიც,
კიდევ ხუთი წუთიც,
ვფიქრობ არ ჩამთვლიდოს,
ათი მარტი დგება...
თავში მიტრიალებს
აზრთა ლაბირინთი...
მე რომ ათის ვიყავ,
მაშინ დაიბადა.
ჩემი მზის სხივი და
ჩემი ნებიერა.
მაშინ რა ვიცოდი,
მაშინ არ გიცნობდი,
შენ რომ მოევლინე
იმ დღეს დედამიწას.
სხვადასხვა კუთხეში
დაბადებულები,
აქ რომ შევხვდებოდით
გულში ჩასატვირთად.

თორმეტი და კიდევ
ერთი წუთიც, ერთი...
აჰა!
დაიბადა
ჩემი
კესანეა!
სულის მალამო და
გულის წამალი ხარ,
მინდა მარად მყავდე,
ჩემო ნებიერა!
ათი მარტია და
ვზივარ ფანჯარასთან,
წვიმის წვეთებს ვუმზერ,
დედის ცრემლებია...
სიხარულს რომ მოჰყვა...
გოგო იბადება!
დედის აღმაფრენა,
შენი დაბადება!
ჩემი კესანე
და
ჩემი ნებიერა.

10.03.2022წ.

კესანეს

ხათუნა გოგბერაშვილს

კესანე, ჩემო კესანე,
ნუ დარდობ, შენი კვნესა მე,
შენთვისაც გამოიძარებს,
ცოტალა დარჩა ფრენამდე.
შორს გადაყარე ღრუბლები,
მოვა მზეები შენამდე.
წვიმები სულ ვერ იქნება,
გამოიძარებს იწამე!
დღეს ღამე შეცვლის,
ღამეს დღე,
ცხოვრებაც ასე ტრიალებს.
თუ ცოტა დააგვიანდა,
არ დაგივინწყებს, კესანე.

19.10.20216.

ჩემს კესანეს

ძვირფასო,
გიგზავნი უამრავ ყვავილებს,
მე და შენ ამაღამ დავცალოთ ქვევრები,
არ მყოფნის სიტყვა და არ მყოფნის ფერები,
ამ სადღეგრძელოსთვის შენი შესაფერი.
იქუხე, იჭექე, იმზევე, ილხინე,
მე კი დღეს შორიდან მოგეხვევფერები,
ფიქრებით მეც ვზივარ დარბაზში, ტაშს გიკრავ
ხმამალლა ვყვირივარ, მიყვარხარ, კესანე!

13.05.20226.

მეგობრებს

მეგზურები მყავს საუკეთესო,
ჯერ მე ლალატი არ განმიცდია.
ლმერთო, მადლობა, ჩემს სავალ გზაზე,
დიდი შეცდომა არ დამიშვია.
ყველას გენდობით ვინც გვერდში მყავხართ
ვინც გადმოლახა გულის საკინძე.
გთხოვთ, იმედები არ გამიცრუოთ,
მე თქვენ გენდობით,
მე თქვენ აგკინძეთ.
ყველა სათქმელი პირში მითხარით,
როგორც მოყვარეს,
პირწინ მიძრახეთ,
ისედაც შეშლილ...
შეშლილი...
ქვეყნის,
არ მომეველინოთ მლიქვნელის სახედ.
მეც დაგპირდებით, რომ ულალატოდ...
ხო!
ულალატოდ გემეგზურებით.
ლმერთო, მომმადლე ნიჭი და განცდა,
ყველას ტკივილის აღქმის და
განცდის.
ვცდილობ შეგრძნება ბედნიერების,
შენს ზემოთ საზღვრებს რომ არ გადასცდეს.

27.10.2021წ.

გლდანელი ირმას ხსოვნას

*ყოველთვის გული მენვოდა, ამ გოგოს
მეტროსთან რომ ვხედავდი.*

ჯერ მშობლებმა მიატოვეს,
მერე ბავშვთა სახლიც გაქრა,
გლდანის ქუჩებში აღმოჩნდა,
უცოდველი ლალი ირმა.
ბავშვთა სახლში გამოზრდილა,
შეეჩვია ქუჩის სკამებს,
მაინც უხაროდა დილა,
კითხულობდა თურმე ლოცვებს.
უცოდველი ბავშვი იყო
დრომ დალი ვერ გაუჩინა,
უგუნური დასცინოდა,
ბედმა ქუჩა დაურჩინა.
ხაჭაპურს თუ მიაწვდიდი,
წრფელი გულით დაგლოცავდა,
ცეკვა-სიმღერა იცოდა,
სხვა ხელობა არა ჰქონდა.
გუშინ ქალაქს ხმა გავარდა,
სკვერში უპოვიათ მკვდარი,
გლდანელი ირმა ყოფილა,
დამნაშავედ ვიგრძენ თავი.

02.11.2021წ.

ყველა ნაწიქრი ღმერთამდე მიდის

დღეს გავიცანო ადამიანი,
დიდი ხნის წინათ შველას ითხოვდა,
გულით მინდოდა დავხმარებოდი,
მაგრამ რალაცამ არ მომცა ნება.
სულ მანუხებდა კითხვა, რას შვება?
ღმერთამდე მიდის ყველა ნაწიქრი,
ბოროტისა და კეთილის გვემა,
ხოდა, უკვლოდ არც რა არ ქრება.
გამომიგზავნა მხსნელად ის ღმერთმა,
ოდესლაც ვისი შველაც მინდოდა,
ყველა ნაწიქრი ცად მიდიოდა,
ასე ზღაპრებშიც კი არა ხდება.

05.12.2021წ.

ნანას

თქვენ

თქვენ თუ გინახავთ, მაისში თოვა,
თეთრი ვარდების, ფურცლების გროვა,
რა ლამაზია ვარდების თოვა,
რა სურნელია თუ წმინდად მოვა.
თუ გაგაბრუათ სურნელმა მისმა,
ყველა ქალისთვის გულის თილისმამ,
ქალბატონებო, ჩვენია ვარდი,
მამხილებელი ყველას გულისთქმა.
მაგრამ სულ სხვაა თეთრი ვარდები,
მისი ფურცელი უფრო წმინდაა,
უფრო ტკბილია ეს სურნელეზა
და მეგობრობის სიმბოლოები.
თქვენ თუ გინახავთ მაისში თოვა?
ეს მე გიგზავნით ყველა მეგობარს,
ვინც უღალატო და-ძმად მიცვნიხართ,
ვარდის ფურცლებად სულში მიზიხართ!

05.05.1995წ.

მამა სიჭინავას

როცა გავიგე ხმა ანგელოზის,
გული ჩიტივით ამიფრიალდა,
ეს ხმა ღვთიური საგალობელი,
რას ვიფიქრებდი მეც თუ მიმღერდა.
შენშია ყველა სიკეთე ერთად,
შენ დედამიწის სიყვარულს იტევ,
შენ დაგელოცოს ხმა და გიტარა,
იხაროს, ვინც შენ მუცლით გატარა!

31.12.2021წ.

ბიხაროღენ!

ახლა მინდა,
ყველა მყავდეთ ერთად,
სიყვარულით შემოგხვით ხელი,
მინდა,
ერთად გადავფანტოთ სევდა
ძის აღდგომას
სიხარულით შევხვდეთ.
გვენეოდეს
მადლი აღდგომისა,
აპრილივით გაგვეშალოს კვირტი,
გვინათებდეს გზას სანთელი წმინდა,
მსუბუქ იყოს
საზიდარი ჯვარი.

24.04.2022წ.

„ვინ თქვა, ღიმილი არ შეუძლიათო სევდიან ქალებს“?!

ელზა ენდელაძეს

დე, გაუმარჯოს,
იმ ქალის თვალებს,
სევდა რომ აქვს და
ილიმის გარეთ.
სული სტკივა და
სხვას უნთებს სანთელს
მე ვეფერები შენს წმინდა
ღიმილს,
რომელიც სევდას
გადააფარე .

20.04.2022წ.

უბრალოებაჲ...

ელზა ენდელაძეს

თუ გადალახე ამპარტავნობა,
თუ სიამაყეს როგორმე სძლიე,
შენ დაგერქმევა უბრალოება,
რომელსაც ფასი ჯერ ვერ დაადეს.
უბრალო სიტყვა, უბრალო საქმე,
უბრალოდ მოველ, უბრალოდ გნახე,
მე შენ მიყვარხარ, უბრალოებაჲ,
შენში ათასი ფერი ანათებს.

09.05.2022წ.

სიყვარულით ემოლ'ას

სალომეს

მე შეშლილი ვარ
და შეშლილი არსება დამაქვს.
იმდენად მითრევს,
სურს უფსკრულში რომ გადამჩეხოს.
მიჯაჭვული ვარ მწუხარებას, ვით ამირანი.
ვიცი ამ კლდიდან ამ ბორკილებს, მაინც გავარღვევ.
ამ ჩემს უნაზეს გარეგნობაში,
არის ძლიერი მებრძოლი ქალი.
მე შემიძლია, მე ამას შევძლებ,
მე დავამარცხებ.
მე დედა მქვია და მე ვარ ქალი,
მე გავიმარჯვებ!

14.05.2022წ.

შემდეგი ბაჩყალა – სარაჯიშვილი

ლოთი არ ხარ, მაგრამ სმა გიყვარს.
შენა ხარ კარგი მამულის-შვილი,
საუკეთესოს დალევა გიყვარს?
აქვეა სადგური სარაჯიშვილი.
მოდი შევსვათ და ვადლეგრძელოთ,
ყველამ ჩვენ-ჩვენი დედმამიშვილი.

06.10.2021წ.

ჩემს ბავშვობას

რუსიკო ქვრივიშვილს

ჩემო რუსა, ჩემო დაო,
უტკბესო და საყვარელო,
ჩემო ბავშვობავ და მეგობარო,
მინდა, რომ მუდამ გხედავდე მცინარს,
მუდამ თან გსდევდეს წყალობა მზიანს.
რას შეგადარო მეც კი არ ვიცი,
ყველა სიკეთე შენშია ერთად.
ასი წელიც რომ ვერ გიხილო,
ჩემი გონებით დღესაც შენს სახლში
ვთამაშობ „დედას“, თოჯინობანას,
დახუჭობანას, მასწავლებლობანას.
დღეს უფრო მიყვარს გამოცვლილი შენი ის კაბა,
შენც რომ გიყვარდა და
დაუფიქრებლად მჩუქნიდი თავად.
ათი ნოემბრის სიყვარული ბავშვობიდან მდევს
და სანამ ვცოცხლობ,
ჩემში იცოცხლებ მუდამ და
მარად!

10.11.2021წ.

ტყუპიკოებს

ნინი და ლიზი თოდუებს

ჰეი, ენგურო, მოვედი,
საშველად გიხმე ამჯერად,
თუ გულში წყენა არა გაქვს,
გავისაუბროთ და-ძმურად.
მომიყევ, გამაგებინე,
ხიდს იქეთ რა ამბავია,
ოტობაიას მკვიდრები,
ტყუპები როგორ არიან.
დიდი ხანია არ მესმის,
მათი წკრიალა ხმებია,
დამსაქმდი, ხმა მიაწვდინე,
დაბადების დღე ჰქონიათ.
იხაროს, მათმა გამჩენმა,
დღენი უმზეოს ზენაამ,
შენ დამილოცე, უფალო,
ხიდს იქეთ საქართველოა!

09.07.2021წ.

დილიდან საღამომდე

*ეძღვნება სულის ტაძარს და ნატალიას დედას
ქალბატონ ნუნუს.*

დილა,
წვიმა,
სახლშიც გუბე,
შუადღეს კი
მზე და მუზა,
თბილისი და
ჭავჭავაძე.
მუზეუმი,
ანაბეჭდი,
თაღები და
აგურები,
სკამები და
წმინდანები.
ბასი, ბანი,
გულს სიამე,
მინორები,
მირონები,
ექო, ტაში,
ოვაცია,
ბრავო, ბრავო...
თავდახრილი
ყვავილები.

ამ საღამოს
გვირგვინად კი
გორკის ქუჩა,
ეზო მყუდრო,
სახლი თბილი,
სამი ქალი...
დედა-შვილი,
შვილი,
შვილის მეგობრები...
სალონური პოეზია,
იცვლებოდა
სადღეგრძელო,
მუზეები და
დედის ლოცვა...
ამ ამბავში
მხიბლავს დედა,
მე ჩემს დედას
შევადარე...
მისი თბილი
ღიმილი და
სიყვარულით
სავსე სახე
სამუდამოდ
შევიწახე.

26.06.2022წ.

ნათია ელიბოშვილს

უცხო მინაზე,
უცხოდ დახვალ,
გული ცოტას გთხოვს,
გამართულ სახლ-კარს,
თბილისის ჰავას,
თბილ კერიას და
მშობლიურ მინას.
სიბერის ჟამს კი
შვილიშვილებს ურწევდე აკვანს.

10.07.2022წ.

პვირზასო!

მე უკვე ვინწინე ტყუილი,
მე უკვე ვიგემე ნამსხვრევი ოცნების,
იქაც ჰყვავდა ნუში და ალურჩა,
მაგრამ ზამთრის სუსხს,
ვერ გადაურჩა.
უკვე გავიზარდე,
არ მჯერა ზღაპრების,
ვერავის ვენდობი სიბერის კარამდის!

ვერიკო პ.

წერილი ნინას

ჩემო შაკიკიანო მეგობარო,
ასე მარტოსული რატომ ხარო?
მოდის, დაგვეწვიე ცხელ ყავაზე,
ცოტა ვიჭორაოთ იმ კარგ დროზე,
შენ რომ თავი არ გტკიოდა და
ჩვენ რომ არ გვიცნობდი დუნიაზე.
ბუხარს მივუფდეთ და გავაბოლოთ,
დარდი კვამლივით გავახრჩოლოთ.
ვწრუპოთ შავი ღვინო თელიანი,
ლამე გადავტეხოთ სევდიანი.
ლექსებს წაგიკითხავ, გაგაბრუებ,
იქნებ ეგ შაკიკიც დაგავინყო.
იქნებ დაგვიბრუნდე ძველი ნინა,
მოდის, გელოდებით
ხვალ სალამოს,
მაია, თაფთა, მე და ეთო.
პოეზიის სალამო გავაჩალოთ,
გელოდებით, არ დაგვაღალატო!

20.11.20216.

პასუხი ნერუს

ნინა გორგილაძე

ჩემო გულიანო მეგობარო,
სული სულ მარტოა უფალივით...
გულს კი სულ მითბობენ მეგობრები,
ჩემი გოგოები სულ თაფლივით
ტკბილად ედებიან იარებს,
გზაზე ცხოვრებამ რომ მომიტანა,
თქვენმა სიყვარულმა მომარჩინა.
ისე გულიანად მომიარა
მოვალ გაზაფხულის მზის სხივებით,
ბევრი ყვავილებით, ღიმილებით,
ცოტა ჩემებური სიცილებით,
შაკიკებით, თავის ტკივილებით,
ყავაც, ღვინოც, მერე პიანინოც,
თქვენი ხათრით ერთსაც გავაბოლებ...
თაფთა, ეთო, მაი, ჩემი ნინო,
თქვენ მე მერამდენედ გამაცოცხლეთ.

20.11.2021წ.

მაზა ბორბიჟს

გიხდება ეს კაბა,
თუ შენ უხდები,
თუ როგორც არის,
გუჩი თუ ზარა?
რა მნიშვნელია,
მთავარია, არ ხუნდები,
ეგ დალალებიცი გშვენიან,
გეხვევა მტრედების გუნდები,
სურნელით
შენით ბრუვდებიან.
მივიღეთ რეცეპტი,
კვირა დილის
და ვფიქრობ,
ფიქრებიცი გვშველიან.
შენ თუ ოქროს თევზი გიპოვნია,
მაშინ ჩვენთვისაც ნაშველია.
სამი სურვილიდან ერთ-ერთი
ვიცი, რომ სამშობლოს მშველელია.
გიხდება ეგ კაბა,
თუ შენ უხდები,
მთავარი სულის
ხუნდებია,
რომლებიცი არასდროს ხუნდებიან.
პოეტო ქალო,
შენი ლექსით,
ნაღდი ვაჟკაცებიცი ბრუვდებიან.

23.10.22წ.

ამირან ხეციაძე

იშვიათია ვინმეს უყვარდეს
ასე ბუნება, ასე მამული,
მე თქვენ გინოდეთ ბუნების შვილი,
სული სპეციაკი, სული ქართული!

04.05.2022წ.

ამირან ხეციაძე

უფროს მეგობარს

გუშინ რითმებად დაიცალა პოეტის გული
და ელის ახლა მერიქიფეს
აუვსოს თასი.
ხან მთისას იტყვის, ხან ბარისას,
უმღერებს მამულს,
ესაუბრება ბალახს და მზის გულს.
სამშობლოს მუხლზე დაჩოქილი ავედრებს ას დროს.
ელიას შესთხოვს,
არ მოაკლოს
მუზები, წვიმდეს.
თავისთვის არა, ჩვენთვის უნდა
ყოველი ბნკარი,
სიტყვის ქარგვის და რითმების მეფეს
ვუგზავნი ლოცვებს.
მე ასეთი მყავს მეგობარი,
სათნო,
მგოსანი.

25.07.20022წ.

ირინოლა ტყეშაველს

დიდი მადლობა, ირიჩკა,
რომ გვარჩევე ქარავანი,
ემიგრაციაში დაგაქვს
გულით ჩვენი სიყვარული,
საუკუნეს შემორჩება
ნიგნი «მუზის ქარავანი»,
იმზეგრძელე, იდღეგრძელე,
დაგელოცოს შენ კალამი.

15.05.2022წ.

ქალბატონ ნორა ედიშერაშვილს

მე თქვენ გინოდეთ მემატთანე,
თქვენ მეგობრობა გამომიწოდეთ.
თქვენი ტკივილი ვერ ავიტანე,
მთვარეს ბარათი გამოვატანე.
მე მაპატიეთ, ვერ გინახულეთ,
გულის ბზარები გადაიტანეთ.
სულზე დარდები მოახუხულეთ,
მემატთანე კალმით ატარეთ.
ქართლის თვალო და მემატთანე,
პოეზიაში ღმერთს შეგადარეთ.
გული ვერ უძლებს დახუნძლულ მტევნებს,
იდარე, მალე გამოიდარე.
მე თქვენ გინოდეთ მემატთანე,
პროზის ქარცეცხლში გამომატარეთ.
მე მაპატიეთ,
მე მაპატიეთ,
ბარათი მთვარეს გამოვატანე...

25.07.2022წ.

ლილი ბულბათაშვილს

არც რა იდარდო, დაია,
ვის ნახავს შენზე კაიას,
თუ გულის კარი გატკინეს,
ბატკან დაუკალ ავყიას.
არც არასოდეს გაცვდება,
შენი მზე, შენი ვარსკვლავი.
კვლავ იდარებს და იმზევებს,
შენი დადგმული კარავი.

ძვირფასო ლილიან! გული გაქვს ქორფა
გჩემობ და არ გაცლი მარტო ყოფნას.
მომინდა რვიდან ცხრის ათ წუთამდე შენთან ყოფნა.
თამბაქო, ყავა და შენი ლექსი,
დილა ადრიან უხვად რომ მესვრი,
ზოგჯერ ნემსივით ხვდება იარებს,
ზოგჯერ კი მთაშიც გამოიდარებს.
კაფიაობით კამათში ვერ გაგხვევ,
მაგრამ დაგიხევ გულზე თალხ ფიქრებს,
ლექსად რომ ავლენ, არავის ავნებს.
იქნებ და ჩვენსაც ერთხელ იდარებს,
ინათებს ცაც და გზას გაგვინათებს.
ძვირფასო ლილიან!
არ არის გვიან!

01.08.2022წ.

ლალიკოს

ლალი ჩხეიძეს

ნარნარ-დედოფალო,
ხვაწიანო,
სიტყვა-კალმინო,
ზაწიანო,
დავზავდით,
მეგობრობა გულშიაო.
ამ გულში ადგილი დაიწიანე,
იწიანე, სიშორე ვერ გაგვაშორებს.
მანძილი, სივრცეა და ჰაერია,
გულმა გული იგრძნოს მთავარია,
მეტი არაფერი ავალია.
იგრძენ, ჩემი გულის ძახილები,
სიტყვას ვამბობ გრძელი მახვილებით,
მიყვარხააარ, მეგობაროო, სულ მჭირდება!
გელოდება!

02.08.2022წ.

კუსკის

კუსკი ნებიერიძეს

გიყურებ, ვტკბები,
არ მაშინებს ანი სიბერე,
შენი ღვთაება სილამაზით, წლებით იბევრე.
შორიდან გიმზერ
და ვტყვევდები შენი ღიმილით,
ფირუზის ფერი მომღიმარი მუდამ თვალები
და ეგ მკლავები, ჩამოთლილი ნაზი თითები.
შენი ბაგენი, ეგ ღანვები სიცოცხლით სავსე,
სირინოზი ხმა სალბუნია, სიყვარულს აფრქვევს.
ყელს გიმშვენებენ მოვარდისფრო კამელიები.
რომ ვყოფილიყავ და ვინჩი ან სალვადორ დალი,
ჯოკონდას ნაცვლად შენ დაგხატავდი.
ეს სტრიქონები გულით ვქარგე,
შენთვის ვიმღერე...
აღარ მაშინებს ანი სიბერე!
მრავალჯამიერ შენს მოდგმას და წლების სიბევრე!

16.08.2022წ.

როგორ ჩუმად გააარულან წლები

(ქღვინება ანზორ პაპავას სიტყვებს და ხელოვნების ნიმუშებს)

ამბობ, რომ ჩუმად მიდიან წლები,
გეტყვი, რომ ზოგჯერ სიჩუმე კვიის,
იდუმალემა საქებარს ჰყვირის,
ხელოვნებაში შენს სიტყვას იტყვის.
თუნდაც აი, ამ ბედაურს, მეტყველს,
როგორი მძლავრი ნაკვთები დაჰკრთის!
ფაფარაშლილს რომ უტოკავს ნერვი
და ეს ლაგამიც რარიგად შეენის,
ძარღვი რა მძაფრად მიჰყვება აღვირს,
მომავლის რწმენით, იმედით მიჰქრის.
და ამ სამ მტრედს, სამტრედიის მტრედებს,
ხელოვანის დასტყობია ხელი.
თითქოს ახლა შეირხევა ფრთები,
სამაიას მელოდის ელის,
გადაუფრენს სამტრედიას ვნებით,
შენ კი ამით სამტრედიას ეტრფი!
იდუმალი შეგიქმნია „მე“ და
მარტოობის დათოვლილ წლებს ითვლის,

შორს გაჰყურებს ანთებული მზერით,
მახვილ თვალში დამალული სევდით,
მძიმე ტვირთად სულში აკინძული,
შორი გზიდან გულის სატრფოს ელის,
როგორც მტრედი, მოლულუნე სევდის,
ანგელოზს სთხოვს დაიფაროს ფრთებით,
არ შეეცყოს მარტოობის წლები,
ემიგრანტ ქალს შეაშველოს ხელი.
ქანდაკება ჩამომჯდარი განაპირას,
სევდისაგან დათოვლილი მხრებით,
ბეზიას და შვილიშვილებს ელის,
ანგელოზს სთხოვს, დაიფაროს ფრთებით,
სევდის მთა და სიბერის იმედი!
შენ ამბობ, რომ გაპარულა წლები...
ეჰ, ასეა, ჩუმად არა, მაგრამ...
ფეხაკრეფით მიდის კაცთა დღენი...

12.09.2022წ.

მხატვარ ნათია მერაბიშვილს

მომინდა შენი უკეთ გაცნობა,
ხილვა,
ნატიფი თითების მზერა,
ფუნჯი, რომელი ხელითაც დაგაქვს...
და საოცარი მაჯის რხევებით,
ტილოზე ხატავ ათას ფერებით.
დავჯდეთ ერთ დღეს და
დავლიოთ ჩაი,
თვალით ნახატებს მოვეფერები.
(ყავას ვარჩევდი უშაქროს, ძლიერს...
მაგრამ ამჯერად ჩაის ვჯერდები).
თავს არ შეგანყენ მე საუბრებით,
მხოლოდ ნახატებს ვესაუბრები.
მიყვარს მოსმენა, ფერმწერთა აზრის,
როგორც ყველა ლექსს და ყველა პროზას,
ყველა მხატვარს ხომ თავის მუზა ჰყავს!
ხომ შეიძლება ამ საუბარში,
ჩემში მუზები გამოაღვიძო...
და როცა ფუნჯის დაინყებ რხევას,
მაშინ მე კალმით მოგხატავ ლექსში.

11.09.2022წ.

იონე ბუღამაჩკელის

ხსოვნას

ღამეს ათევდა მთვარე შენს ქოხში,
ალბათ ბათურაც როგორ ტიროდა.
განდევილი და სული ეული,
ყველა ჭრილობა ერთად გტკიოდა.
ცას მიეზარა სული პოეტის,
რწმენა და ლექსი გქონდა საგზალად.
გამოიარე ერის ბრძოლები,
უკრაინასაც ედექი ფარად.
ჩამოგიყვანეს ხელ-ფეხ დაჭრილი,
გული კი ბრძოლის ველზე ინევდა.
რამდენი ლექსად დაგრჩა სათქმელი,
რამდენი კიდევ ალბათ უთქმელი,
დარდს იქარწყლებდი ჭიქა არყით და
მთას შეეფარე განდევილივით...

29.09.2022წ.

ՊՋՏԵՆ

მასოს

დაიგვიანე,
ორი კვირით დაიგვიანე,
რომ მოსულიყავ, ღვთისმშობლის დღეს, ლოცვად და
რწმენად.
ჩემი საათის ისარი ხარ, მაჯად, რომ ფეთქავ
და არასოდეს არ შეჩერდეს, ვუმზერ და ვხედავ:
– ერთხელ, როდესაც აღარ მოვალ, არ გეტყვი: დედა...
როგორ იქნები უჩემოდ და იმ დღეზე ვწუხვარ.
ჩემი ცხოვრების მდინარე ხარ, ჩემი ღელვა ხარ.
აგვისტოს ხვითქში მოვლენილი, წვიმის წვეთი ხარ,
რომ მაფხიზლებ და წყურვილს რომ მიკლავ.
უკუნიტ ღამეს რომ მინათებ, სანთლის შუქი ხარ
და არასოდეს არ ჩამიქრე, ანათე მუდამ.
დედაღვთის მადლი, მარიამის საჩუქარი ხარ,
ჩემი ლოცვა და ჩემი ხატი ხარ.
ერთხელაც, რომ...
გადავბარგდები და აღარ მოვალ,
არ გეტყვი, დედა...
იმ დღეზე ვწუხვარ.
შენ არ იდარდო, არ იცრემლო,
მე ლოცვად მოვალ...

28.08.2018წ.

მე და კაკლის ხე...

დავიბადე...

მამამ ეზოში კაკლის ხე დარგო,

ვიზრდებოდი,

როგორც ჩვენს ეზოში ის კაკლის ხე.

ხან ვზაფხულობდი,

ხან...

უეცრად ვშემოდგომობდი,

ხან...

ჟამი მკაცრი ზამთარივით გადაივლიდა.

ამ კაკლის ხეს, ვერ შევედრები ნაყოფის სხმაში,

მაგრამ საჩემო სანაყოფე, მაინც, მოვისხი.

კაკლის ხე დროთა სვლას მისდევდა,

ფოთოლთ შრიალით.

მე კი, ჟამთა სვლას,

ხან ვასწრებდი, ხან გამასწრებდა.

დაუბერავდა ქარი და ფოთოლს აცლიდა ხეს,

დაუბერავდა ქარი და ვერკინებოდი მე.

ბერდებოდა და ვბერდებოდი, ვით ეს კაკლის ხე,

ცულის მოქნევის დროს ველოდი,

გამოფიტული...

19.07.2021 წ.

წერილი ძმას

დღეს ცხრა რიცხვია, აგვისტოს ხვითქმი,
ეს დღე მიყვარდა, ჩემს ბავშვობაში.
ახლა მოჟულს და თან მაინც მიყვარს
და სახლის ნაცვლად საფლაფზე მივალ.
თქვენა ხართ ჩემი სხეულის დამლა,
თქვენს სიყვარულში არ არის დაღლა.
არ ვიცი, ჩემს შვილს, როგორ ავუხსნი,
რომელსაც არ ჰყავს, არც და და არც ძმა.
როგორი არის, როცა გაცლიან,
სულში ფესვგადგმულ დაკემსილ განცდას.
რომ ორი ძმისთვის ვლოცულობ, მაგრამ
სანთელს ავანთებ სხვადასხვა ხატთან.
მომენატრება გასეირნება,
„პოლის ტილოთი“, რომ წმენდით „ზალას“.
სიყვარულში, რომ ეჯიბრებოდით
და ვთამაშობდით დამალობანას.
ფანრით მეძებდით, ბნელ ოთახებში,
ვეფარებოდი მე წითელ ფარდას.
ხომ ვანვალეზბდი უნიჭოდ კლავის?
მაგრამ არასდროს მიშლიდით დაკვრას.
თქვენი ხელით რომ მაჭმევდით ფაფას,
ჩემს სიყვარულში რომ გქონდათ დავა.
არ ვიცი, ჩემს შვილს როგორ ავუხსნა,
გაიზრდება და მიხვდება თავად...
ერთ მკერდში, ორი გული რომ მქონდა,
ორი ნაღველი და ორი „ჩაკრა“.
ერთი გული რომ გარდაიცვალა
და ნადრევად სიცოცხლე ჩაქრა.
შენა გნერ, ძმაო, ამ ბოდვებს ახლა,
შენ დამრჩი, ორის მაგივრად, შენს დას.
შეეშვი, ძმაო, მაგ ჭიქა-არაყს
და ნუ მიმატებ, დარდებით სავალს.

სანამდის ვცოცხლობ, არ მიღალატო,
ვერ გადავიტან უგულოდ ყოფნას.
დღეს ცხრა რიცხვია აგვისტოს ხვითქში,
ისედაც, გული ვერა მაქვს კარგად.
მე და შენ დავრჩით, დღევანდელ დღისთვის,
ახლა ნუგეშად ჩვენ დავრჩით დედას.

09.08.1998წ.

სიზმარი

სიზმრად ყოველთვის ძველ სახლში დავალ,
ძველი იერი დაჰკრავს ყველაფერს,
პატარა ეზო, ხის ძველი ღობე,
ჭიგო შემდგარი, სარეცხის თოკი.
იქვე, სამთვალა ველოსიპედი,
პატარა ნერუ, პიჟამით დადის,
დედა უკითხავს გოჭების ზღაპარს,
(ალბათ, არც ესმის ბავშვს შინაარსი).
ეზოში, სიცილ-კისკისით დარბის.
„კუხნაში“ ისევ, აგურის კედელს,
წითლად შეღებილ მაცვივარს ვხედავ,
და მოფუსფუსე ბებო ჭაღარა,
პურის თხელ ნაჭრებს კვერცხებში ავლებს.
(დღესაც კი მახსოვს და მენატრება,
ბებოს შემწვარი ყიყლიყოები).
სუფრის თავს ბიძა უზის ყოველთვის,
კოლორიტი და ნაღდი ქართველი,
ძალიან მინდა დავლანდო მამა,
მაგრამ რატომღაც, არასდროს მოდის.
ბებო და ბიძა მომიტანს ამბავს,
საიქიოსაც ამაყი არის.
იქაც აპურებს, მშვიერს და გლახაკს,
გამვლელ-გამომვლელს
ჭიქით წყალს აწვდის.

10.04.2010წ.

„ჩემი სახელით გაეცით მოწყალება“

(ანდერძი)

სამჯერ ვიხილე გარდაცვალება,
სამჯერ ვიხილე მე პანაშვიდი.
ვიხილე, როგორ მიმაცვილებდნენ,
ზღვა ყვავილებით შავოსანები.
ო... აღარ მინდა ხილვა სიკვდილის,
სიცოცხლე ძლიერ ტკბილი ყოფილა.
ერთხელ ვიხილე შენი თვალები,
შეშლილი, შენსას რომ არა ჰგავდა.
ერთხელ ვიხილე გაფითრებული,
ეგ შევერცხლილი შენი ჭალარა.
პირობას გაძლევ, აღარ ვიჩქარებ,
ტაატით ვივლი მუდამ და მარად.
შენი სიმშვიდის გადასარჩენად,
მე ყველგან მიღირს დაგვიანება!
მხოლოდ ერთსა გთხოვთ,
როცა მოკვდები, არ დამაყაროთ გულზე ვარდები.
რაც ყვავილებში უნდა მიგეცათ,
ჩამოურიგეთ გზად მავედრებლებს!
მე გევედრებით...

12.10.2021წ.

ორნი

რა ვქნა, ქოლგა დამიხია ბედმა,
გაავდრდა და თმებს მინამავს წვიმა,
ვერ მიფარავს დახეული ქოლგა,
თმიდან მხრებზე ჩააღწია ნამმა.
გზას მივიკვლევ, არ ვნებდები ავდარს,
გულში მიზის მობუზული კნუტი,
ვეფარებით ჩემს დახეულ ქოლგას,
ახლა უკვე გზას მივყვებით ორნი.
არ გვაძინებს დედამინის გუბე,
ცის ქვეშეთში დაგვიფარავს ღმერთი,
მიუყვებით უბაგირო ხიდებს,
მე და ჩემი მობუზული კნუტი.

17.03.19996.

მადლობელი ვარ

ვიტყვი...
მოსვლა ღირდა ქვეყანაზე!
როცა ჩემი შვილი კეთილია,
არ აქვს მნიშვნელობა ეს სიკეთე,
დიდია თუ მცირე მარცვალა!
ვიტყვი,
ღირდა მოსვლა ქვეყანაზე!
როცა ჩემი აღზრდა...
შეისმინა!
გული,
სხვისი დარდით უდარდია,
სხვისი სიხარულით უხარია!
გულში არ ჩაიდო ბოროტება,
ბოღმას ღამე არ ათევია!
ვიტყვი,
ღირდა მოსვლა ქვეყანაზე,
როცა...
კარგი შვილი გამიზრდია.

28.08.20086.

ნერუ

ეს იყო წინათ...
ტელმანის სამში,
იტალიური ეზო...
ხის ღობით,
ლობესთან იდგა
თეთრი თუთის ხე,
ტოტები იწვა ძველ კრამიტებზე...
სახლის, რომელშიც დარჩა
ბავშვობა...
წყნარი დღე იყო
შემოდგომისა
ეზოში ძაღლიც გარინდულია...
მემანვნის ქალმაც კი იცის თურმე,
ამ დროს ეზოში ბავშვს რომ ეძინა.
ჩვეული ხმით კი არ ყვირის:
მანონიი, მანონიიი...
მორზე ჯდება და მოელის მუშტარს...
ბავშვი ტირილით ადგება ჭიშკარს,
ცუდი სიზმარი ეზმანა მგონი...
შავტუხა გოგო ხუჭუჭთმიანი,
თეთრი „პიჟამით“
ნააგავს ციგანს.
(ციგნის ბავშვიო, ეძახდა მამა)
თეთრი „პიჟამით“ შავტუხა გოგოს
შემოეგება ბიცოლა მტირალს.
ჩემი „ნერუ“-ო
გულში ჩაიკრა...
იმ დღიდან „ნერუ“ შეარქვა ყველამ...

17.09.20216.

ძმას

არ დაიჯეროთ თუ გითხრეს,
რომ მიწა გრილია, ესეც გაივლის,
არ დაიჯეროთ...
მიწა ცივია, და ამავედროს
დაუნდობელი!
არც დრო ყოფილა მკურნალი,
როგორც ამბობდა მავანი...
დრო ხომ დროებით აყურებს,
გზაზე დატოვილ იარებს...
ყოველთვის მტკივა ყრუდ,
მაგრამ
მკათათვე მიხსნის ჭრილობებს...
მარიამობის ცხრაში კი
უნინ თუ ცეკვა მინდოდა
ახლა
მინდება ყმუილი...
ღვინობის სამში დაგვტოვე,
მაჭრობა არც განგიცდია.
რაც წლები გადის უფრო ვგრძნობ
დარჩენილ სიცარიელეს...
ძმაც იყავი და ძმაკაციც,
აკვანიც ბევრჯერ მირწიე.
ერთხელ დაგჭირდა შველა
და
სიტყვაც კი ვერ შეგანწიე...
მართალი მხოლოდ ის არის,
„ძალი კოჭლობით არ კვდება“
მეც გავაგრძელე ცხოვრება
ღრმად შენახული იარით...
დედაც და მამაც შენა გყავს,
ობოლი დავრჩი ტიალი...

09.08.2009წ.

მამას

ავად გამითენდა ცამეტი
გაზაფხული,
ცამეტი აპრილი და ცამეტი
გაელვება...
იყო ასცამეტჯერ მეტი სიხარული,
ერთხელაც არ მახსოვს შენგან
გულისტკენა.
არა...
ვტყუი ახლა...
ერთხელ მატკინე და თანაც
მოურჩენლად...
სანამ შენა მყავდი არაფრის
მეშინოდა,
მჯეროდა,
შეგეძლო ვარსკვლავის
მონყვეტა!
ამბობდი, გოგო მინდა სუფრის
გამშლელი,
ამბობდი, გოგო მინდა ცრემლების
დამდენი...
სუფრა გაგიშალე, მაგრამ არ იჯექი...
ცრემლები დაგადევნე,
მაგრამ
სულ ამოდ....
იმ დღიდან ვერ ვიტან ცრემლებს
და
მიხაკებს...!
იმ დღიდან ვერ ვიტან ძაძებს
და თალხკაბებს..!
კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი,
მაგრამ
ვერ ვხედავ აზრს გაგრძელების...
შენ აღარ მისმენ ჩვეულ სიდინჯით,
შენ აღარ გესმის ჩემი ტკივილი...

08.04.1986წ.

მამის თვალით

მე სიკეთე მამის თვალით დავინახე,
წყლის წვეთივით მოვლენილი მეინახე.
მისი სახის არის ქვეყნად უამრავი,
სიკეთისთვის ვინც არ ითხოვს მოწყალეებას.
დიდი იყო და ბავშვივით გული ზიდა,
ბოლო ქურთუკს დაუთმობდა ყველას გზაზე.
დამანახა, მადლი როგორ დავდო ქვაზე,
მათთვის, ვისაც აღარ ძალუძს დაბრუნება.
არ იტყოდა არასოდეს მოდი ნახე,
წმინდა იყო მისი წვეთი შევინახე.
შეინწყალე, ღმერთო, ყველა დაბაკრული,
მეინახედ მოუვლინე მამის სახე...

13.02.2020წ.

დედას

ქუჩაში მოდის ჭალარა ქალი,
წლების სიმძიმის ატყვია კვალი,
არ გავს დედაჩემს, მაგრამ წააგავს,
მასაც შენსავით აცვია თალხი.
დამძიმებული ხელჩანთით მოდის,
ერთი კვირისას წააგავს მარაგს.
მისი ხელჩანთა შენსას წააგავს,
მძიმეა ტვირთი საზიდი დედის.
წამით შეჩერდა, წელში გასწორდა,
ისევ განაგრძო გზა მძიმე ჩანთით.
დაულალავი დედა შვილისთვის,
დამძიმებულ გზას გაუყვა ფეხით.

12.12.2012წ.

კაცი ხელჯოხით

1929წ. 21ოქტომბერი – შენი დაბადების დღე
92 წელი შეგისრულდებოდა, მამა.

ქუჩაში მოდის კაცი ხელჯოხით,
ო, როგორ ძლიერ ნააგავს მამას...
თმები მიუგავს დათოვლილ მინდორს,
წარბები შავი, მერცხალის კალამს.
(შემორჩენია ახალგაზრდული)
შენ რომ გქონდა ისეთი მამა...
თვალეები ოდნავ სევდიანი აქვს,
თავისებურად მისტირის წარსულს, ალბათ...
მივესალმე და წელში გასწორდა,
არ მოელოდა უცხოვსგან სალამს,
წრფელი დალოცვა გამომაყოლა,
წრფელი ღიმილი შევნიშნე იმ წამს.
ამ ქუჩას ხშირად ავუყვები,
იმედით სავსე,
ისევ რომ ვნახო,
მოხუცი კაცი,
დათოვლილ თმებით...
მე ისევ ისე მივესალმები,
ის ისევ ისე დამლოცავს ალბათ...
წამით რომ მაინც გასწორდეს წელში,
წამით რომ მაინც დაგლანდო, მამა...

21.10.2021წ.

შენი ხალათი

ოთხი დღის არის დღეს დეკემბერი,
თოთოა, სუსხი ჯერ ვერა მკაცრობს,
ჩემთვის იმკაცრა, დამრია ხელი,
დედი, უშენოდ გული ვერ ხარობს.
დამაგვიანდა, დავიგვიანე,
ბოლო წუთები უჩემოდ განვლე,
ამ საშინელ დღეს რა დამავინწყებს,
სიცარიელე გამომატანეს.
...და უსხეულო და უსულდგმულო,
როს მომანოდეს შენი სამოსი
უძრავ ქმნილებად გადავიქეცი,
ვით ცივი ლოდი ხევის წყაროსი.
თუ უცბად სისხლი შემომეყინა,
გულში გამეხსნა ძველი იარა,
ბეჭზე მოვისხავ ისევ შენს ხალათს,
შენი სითბო და სურნელი ახლავს.
ათი წლის არის ხსოვნა შენდამი,
დღეს ისევ ოთხი დეკემბერია,
დრომ ვერაფერი უწამლა ტკივილს,
მოგონებებმა ხელი დამრია.

p.s

დღე ტაძრად მიყვანისა, მარიამ ღვთისმშობლისა.

04.12.20216.

დე

მერვე დღე და პირველი დაბადების
დღე უშენოდ, დე...

წელში გატყდება დღეს დეკემბერი,
გავა ეს წელი ავი და მკვლელი,
ქარიან ღამეს ვესაუბრები,
ხომ არ ვიშლები, მგონი ვიშლები...
თოვლს ველი, მაგრამ არა ჩანს ფიფქიც,
სულს მინიოკებს ბებერი ქარიც,
ცოტაც და მოვა წელი ახალიც
უშენოდ, დედი, მოგელი, დედი.
ვზივარ ბუხართან, არა მაქვს
შეშა,
ვბუტბუტებ ლოცვას და შევთხოვ შველას,
სანთელზე ვითბობ გათოშილ თითებს,
სანთელი იწვის, სანთელი ქრება...
სანთელი დნება, მალე
მიქრება,
ქუჩებში დაქრის წივილით
ქარი,
სულს მინიოკებს ჭიშკრის ჭრიალი,
ფოთოლი ტირის, ფოთოლი მიქრის.
ფოთოლიც ტირის და წივის ყავლი,
ქუჩაში დადის გვიანი მგზავრი,
შარშან ხომ მყავდი გაურიყავი,
შარშან ხომ მყავდი, წელს რად დაგკარგე...
მთვარე მინათებს სარკმლიდან ოთახს,
მთვარეზე შენი ლანდი დავლანდე,
ვეფერებოდი მთვარეს დილამდე,
გიპოვე, მაგრამ ისევ დაგკარგე...
ადრე ჩამიქრა, დედი, ბუხარი,
...და მეყინება გულის ფიცარი,
მე რომ აქ მცივა, საკუთარ სახლში,
შენ, დე, სამარეს როგორ ეჩვევი.

12.12.2011წ.

შენი იასამანი

ჭიშკართან გული შეიფრთხიალებს,
დამიმძიმდება ნაბიჯი მკვეთრად,
ნამში ათასი მოგონებები,
მომაცილებენ გარდასულ დღეთა.
უშენოდ ჰყვავის იასამანი,
დღეს მეთერთმეტედ მოგართვი, სად ხარ...
ხელში ჩამაჭუნა იასამანი,
კვლავ იყვავილებს, მაგრამ შენ არ ხარ...
ხუთ ფურცლიანის ძებნას განვაგრძობ,
ჩუმად დაუთვლი ყვავილებს თავთავს,
ვიპოვი და სულს გავიძლიერებ
ჭიშკრიდან, სანამ საფლავთან მოვალ...
მომავალ წელსაც გაიაპრილებს,
კვლავ ჩამოვჯდები საფლავის ქვასთან,
როს ჩემი სული გაიყვავილებს,
დაგელოდები აღდგომის კართან...
დღესაც ჰყვავიან იასამნები,
შენი დარგული, საფლავის თავთან,
ვეფერები და ვუსხლავ ნაპირებს,
ვცდილობ, გისრულებ მე დანაპირებს...

04.04.200226.

დაბრუნდენ...

ბუდეს, რომელსაც დაუბრუნდენ ისევ მერცხლები,
გპირდები, დედი, შენი შვილი საკენკს დაუყრის.
და ყოველ დილით აივსება საძინებლები,
ვარდობის თვით და მონატრებით, შენი სურნელის.

01.05.20226.

ბლანდავთ

– დღემდე ვატარებ ბებას საყურეს
და ვეფერები
ვერცხლის თმის სამაგრს,
ძველი ალბომის გაცრეცილ ფურცელს,
გახუნებული ბაბუის ფოტოს.
– ქუჩაში მავალ მოხუცში გეძებთ,
ყველა მოხუცი მიყვარს და გლანდავთ,
მათ ქალარაში წლებად დათვლილში,
მათ მრავლის მეტყველ წმინდა თვალეებში.
– მათი ნაკვთები,
ფერდაკარგული,
დუმით ნასწავლი, რუხი ტუჩები,
ჭირგამოვლილი მხრები მოხრილი,
ყველა მათგანში ბებია სახლობს.
– ხელში ყავარჯნით, მოუსვენარი,
მტკივნეულ მუხლით, მინის მთოხვენელი,
მათ ყავარჯენში ბაბუა ცოცხლობს,
ომში წასული, შინმოუსვლელი.
– ფერდაკარგული ბებას ბაგენი,
სულ მოდუდუნე, შვილზე მლოცველი,
მომავონდება ბებია ჩემი,
დღესაც სკივრშია შენი „გრებენი“...

17.02.2002წ.

ნათელზირონი

ნათლია მყავდა (მყავს) ერთი,
არა ორი და სამი,
ეყო ჩემს სულის წამალს,
იშვა ჩემს სულში ღმერთი!
გუშინდელივით მახსოვს,
ნათლის მიღება გულში,
დიდუბის პანთეონთან
დამადგა მხრებზე, სულში.
დღე იყო სასწაული,
კათაკმეველი მოვკალ,
მე კი ვიგრძენი შვება,
ქრისტემ იხარა ჩემში.
გუშინდელივით მახსოვს,
სამი წლის, ცელქი
ბავშვის,
მირონ ცხებული შუბლი,
ჯვარშებნიელი გული!
– სახლში დავბრუნდით
სამნი...
მე, ნათლია და ღმერთი!

19.01.2019წ.

ახლა

ახლა, როცა მადლობას ვწერ,
ჩემი გული ორად სკდება,
ერთი მუდამ დედას სტირის,
მეორე სულს ეფერება...
სანთლის შუქზე დაგლანდე და
ვერ მოვასწარ ჩახუტება,
შენს კალთაში შვებას ვგრძნობდი,
დატუქსვა კი ალერს სჯობდა.
ახლა, როცა დედა ვარ და
ვიცი, რა ძნელია ყოფა,
უფრო მეტად გაფასებ და
უფრო მეტად მეკანრება...

12.12.2021წ.

აღსდემ!

შენს აივანზე აღარ კენკავს ჩიტიც კი საკენკს,
გაზაფხულია, ეზო ნამჯამ ააბალახა,
ლოცვა თუ გიხსნის ამ ეშმაკის მოციქულისგან,
ღმერთის იმედად დარჩენილი არ ვკარგავ რწმენას.
ვის არ უყვარდა, ვინ არ დარჩა მარტო, ეული?
ვინ არ დაეცა, ვინ გადარჩა ნაბორძიკებას,
ჯოჯოხეთია, ეგ სამოთხედ რომ მიგაჩნია,
ბოდავ, ვერ ხედავ, ცხოვრებამ რომ გაგაჩანაგა?!
როგორ გასმინო შეგონება ავის და კარგის,
გზა არეული, როგორ უნდა შემოგაბრუნო,
ფრთა მტყდება, ვერ გშველი, ვნებდები,
სააღდგომოდ გაუთიბავი ბალახი კვდება...

p.s

შვებაა სიკვდილი მხდალთათვის,
ძლიერნი ებრძვიან ცხოვრებას,
ცეცხლიდან ნაცრამდე წამია,
ფერფლიდან ისწავლე აღდგომა!

10.04.2008წ.

რა ჩაიწიქრე?

დღეს სურვილების ასრულების დღეა.

– ღმერთო, დედა მყავდეს კარგად!

– დედა?

დედა ხომ არ გყავს?

– კი მყავს,

იქ ცაშია და ზემოდან გვიყურებს!

– მერე იქ კარგად როგორ იქნება?

– როცა თავის შვილებს ბედნიერებსა და

კარგად მყოფებს უყურებს,

გარდაცვლილი დედაც კი კარგადაა!

22.02.2022წ.

მასო-ს

ჩემი სიცოცხლე შენსას დაჰყვება,

გულში საუნჯედ ამოყვავილდი,

შენი თვალებით ვუმზერ სამყაროს,

შენთვის ვკვდები და შენთვის გადავრჩი.

ჩემი ცხოვრების კელაპტარი ხარ,

ჩემი ოცნების ფიქრი ფრთიანი,

ჩემი საყდარის გასაღები ხარ,

ჩემი ბილიკის ნმინდა ლამპარი.

სადარდელიდან დღე ხარ ნათელი,

სანატრელიდან ნატვრის ამხდენი,

შენა ხარ ჩემი სუნთქვის მიზეზი,

შენით ვცოცხლობ და შენით გადავრჩი.

28.08.2021წ.

შენ რომ არა

მამოს

და შენ რომ არა;
და შენ რომ არა;
რა იქნებოდა
ჩემი სიცოცხლე.
მივალ, მივიკვლევ
მძიმე ბილიკებს,
და შენზე ფიქრით
მიმსუბუქდება.
იმედი ხვალის,
მავსებს იმედით
და შენ რომ არა
ვერ გავიკვლევდი.
მე შემოძლია
ვიცეკვო ქარში,
მე შემოძლია
ვიდგე სეტყვაში,
და შენ რომ არა
წავიქცევოდი.
გადაუვლიათ
ზვავებს ბორანზე,
გამიფიქრია
წამით სიავე,
და შენ რომ არა;
და შენ რომ არა;
დღეს მე ამ ქვეყნად
არ ვიქნებოდი!

25.03.2018წ.

ზმანება

მიჰქრის
რაღაც უცხო ფერის,
მატარებლის სილუეტი.
პირველ ვაგონს მიუყვება,
ბებო-ბაბუ ქალარებით.
მეორეში ჩამომჯდარან,
მამა და ძმა დანანებით.
აგერ ბიძაც, ნათლად ვხედავ,
ხელს ვუქნევდი გამალებით.
ბოლო ვაგონში დაგლანდე,
შენი ძველი „პალტო“ გეცვა.
იქაც თოვდა, შავი ფიფქით,
კიდევ კარგი არ გციოდა.
სახე გქონდა მოღალუღი,
დატანჯული მძიმე ფიქრით.
უცბად მოვწყდი ბაქანიდან,
შემოვახტი მატარებელს.
ჩაგეხუტე, წამიყვანე,
დედა, შენთან წამიყვანე.
შენ კი ცივად მომიშორე,
დაიყვირე, „ვატმან“ შესდექ!
და ჩამომსვი საღლაც გზაზე,
მიტხარ, წადი, წინ იარე.
ვიხედები ვერავის ვცნობ...
გამვლელს ვკითხე, გზა სად მიდის?
მხრების ჩეჩვით მიპასუხა...
მივუყვები რაღაცის შუქს...
ირიჟრაჟა, გამელვიძა,
სიზმარია, გავიფიქრე.
ანუ ჩემთვის ჯერ ადრეა,
ნიშანია? ნიშანია.
(სასიკეთო იმედია).
არადა, ნუხელ მეგონა,
ანდერძი უნდა მეწერა.
(ყველა ძვალი მემსხვრეოდა),
ხელს ვერ ვნევდი შუბლამდის, რომ
პირჯვარი გადამეწერა...

26.03.2022წ.

მომენატრეთ და მოვედი თქვენთან

მომინდა ნახვა საფლავებისა,
სევდა მომანვა წარსული დღისა,
შემოგიარეთ დაუკითხავად,
ან კიდევ ვისთვის უნდა მეკითხა.
საფლავებს შორის ბილიკს მივიკვლევ,
აქ სიმშვიდეა, არავინ არ წუხს,
და მე დავრწმუნდი აქედან წასვლას,
ისევ აქ თქვენთან დარჩენა მიჯობს.
აქ სტუმარს არვინ არ განიკითხავს,
გინდა იყვირე, გინდა იგიჟე,
აქ მდუმარებას არავინ არღვევს,
სიჩუმეს მხოლოდ ჭიკჭიკი დასდევს.

27.05.2013წ.

სიზმრად ნანახი

ოჰ, როგორ მომენატრა ბავშვობა,
რუსოს სახლში დედობანას
თამაში.
მომენატრა ჩვენს ეზოში
კლასობანას თამაში.
ოჰ, როგორ მომენატრა კლასელებთან
დროშობანას თამაში,
შატალო და ზღვის ნაპირზე ნავარდი.
ოჰ, როგორ მინდა ვიყო ბავშვი.
მომენატრა დედის კალთა,
თავის ჩარგვა უბეში,
დედის ტკბილი მოფერება,
ნუგეში. (ალერსი)
მ ო მ ე ნ ა ტ რ ა...

02.02.20216.

ანდერძი

ჩემი თხოვნაა, მისმენს თვით ღმერთიც,
თიბათვეს მინდა გარდაცვალება!
ვინც წაიკითხავთ, კიდევ ერთს გვედრით,
არ დამაყვედროთ იდუმალება,
არ ჩამოუშვათ გლოვის ფარდები,
არ შეიმოსოთ თალხი კაბებით,
გთხოვთ არ შემოჰკრათ გლოვის ზარები.
არ დამაყაროთ გულზე ვარდები,
ჩემი სიცოცხლის გასაცვილებლად,
ყვავილს სიცოცხლეს ნუ მოუსწრაფებთ,
საკმეველი და სანთელიც კმარა,
სულის გაყრისას სხეულს რომ დაფერს...
შარაზე ნუ დაყრით ყვავილებს,
ზამთრის ყინვამდე მინდვრად ხარობდნენ,
ყოველ აისზე იკმევდნენ თრთვილებს,
და მზის არულზე გზნით მწყაზარობდნენ.
ჩემი სიცოცხლის გასაცვილებლად
არ ვისურვებდი სხვის ურვას და ხარკს,
ყვავილის ფული ყველამ უკლებლივ,
ჩამოურიგეთ გზადაგზა გლახაკს,
ჩემი სიცოცხლის გასაცვილებლად,
შესანდობარი და წირვაც კმარა,
მსუბუქ მინასაც, ნულარ დამაყრით,
მე მინდა ფერფლად მოვედო ქალაქს,
სიკვდილის კიბეს ავყვე ამაყი,
იქროლოს ფერფლმა ღამის თბილისში
და ნიავს გაყვეს ხან დიდუბეში
და ხან აუყვეს მთანმინდის აღმართს.
მუხრანს ვნახავ და ვეტყვი არ ღირს ქალაქს...
„გარონიება“
რომ საქართველოს ისევ ჰყიდიან!
გალასაც ვნახავ და მოვუყვები,
რომ მესაფლავის ვერ გაუგიათ.
მე კი გავუგე და მუდამ დავრჩი
გალაკტიონის ერთგულ მკითხველად!

11.05.2011წ.

ერთი წლის თავზე...

(გუჯიკოს)

მოდით, მომისვით, ეგ ბრმა ცელი, ყრუვ და უგულო,
შენ რომ თვალები გქონებოდა, სხვა გზით ივლიდი,
შენ რომ ხედავდე, გადათელილ ბილიკზე ცოდვებს,
მაშინ ნორჩ ბალახს, რძე რომ გასდის, გვერდს აუვლიდი.
სიცოცხლეშივე შეგიყვარე მე შენ, სიკვდილო,
დაბადებიდან გელი, დიდხანს არ მალოდინო,
მოდით, მომისვით ეგ ბრმა ცელი, ყრუვ და ცოდვილო,
და არ მანახო, როგორ თიბავ ვარდს უყვავილოს.

29.03.1998წ.

ღებენდაჩული

(ზურა და გოგა ბზიკაძეებს)

მეორედ ვნახე ჩინს, გულწრფელი ცრემლები მამრის,
ვაჟკაცმა როგორ დაიტირა, ღრმა ორმო მამის.
გადმოადინა ცხარე ცრემლი, ვით ახალ გასხლულ,
ვენახსა სდის წვეთ-წვეთ კურპლები.
ღონემიხდილი,
შემეკუმმა მე გულის კუნთი,
ამოვისუნთქე და ჩასუნთქვა ძლიერ გაჭირდა.
ცეცხლანთებული მისი თვალები მიაგავდა...
მუჭში შერჩენილ, განურული ბროწეულის წვენს.
მეორედ ვნახე, სამართლიანი ღრიალი, მამრის,
დაიღრიალა, ამოჭრილი მიწა დახეთქა.
მაგრამ სიკვდილი ბრმა არის და თანაც უგულო,
ოხ, როგორ მინდა, მკვლელი გავხდე...
შენი, სიკვდილო...

02.06.1994წ.

სად არის მერვე?..

ჩემს სახლში...

ხო,

ჩემს სახლში დადიან სულები,

ერთი, ორი...

შვიდი და მშვიდები.

მაკლია მერვე, ვითვლი ხელახლა,

კი არ მაშინებს, უფრო ვმშვიდდები.

და ვისაც ახლა გგონივართ გიჟი...

ვინც ახლა ხალათს მიმზადებთ, მზაკვრალს,

გეტყვით, რომ დღეს ვარ ყველაზე კარგად,

დავეძებ გრაალს, კავშირს არ ვკარგავ.

07.07.20176.

ასი წლის მერე

ღმერთო, ძაან (ძალიან) გთხოვ,

როცა წამიყვან,

იქ

შენთან

ცაში,

თიბათვე იყოს.

მე

შობისთვეში დაბადებული,

ვერ ვიტან ზამთარს.

მზემ

მანინც გაათბოს ...

ჩემს

ძვლებს რომ შექმით

ემუქრება,

ის

ცოვი

მინა...

21.08.2022წ.

კველი ლექსების პასუხად!

გადავიფიქრე,
გადავიფიქრე,
აპრილში მინდა
გარდაცვალება.
გადავიფიქრე
და ჩავიფიქრე,
მიმაცილებდნენ
იასამნები.
გადავიფიქრე,
და გავიფიქრე,
რა ლამაზია, თურმე
აპრილი,
ისე ტკბილია თურმე
სიცოცხლე,
რომ მე სიკვდილიც
გადავიფიქრე!

24.04.20022წ.

დასასრული უკეთესი იქნება, ვიღრე დასაწყისი...

(ნინო ხომასურდიძეს)

იყო დღე და იყო ღამე,
ჩანაცვლება სიმფონიის,
მაჟორები, მინორს სცვლიდნენ,
დო, სი, ლა, სოლ,
სი'ლა,
რე'მი...
რემა, რემა,
ნება, ნება...
თავბრუს ხვევა,
მიაჭენებს ღრუბელს,
ველად.
ხან დღე იყო, ნათელი და,
ხან დღე-ღამე უფრო ღამე,
ზოგჯერ, ღამეს ახლდა სხივი,
სდარაჯობდა, დღეც და ღამეც.
სიტყვად ავი, ანაზდ-კუპრი,
იდუმალი არემარე,
ყველა ვნებებს აშლის ღამე.
ყველა ეტრფის, დღეც და ღამეც.
იშვილა და მიიკედლა, ვარსკვლავები, მზე და მთვარე.
დასაბამი იყო ღამე,
დასაბამი იყო მთვარე.
უფლის სიტყვით ინათა და
რიჟრაჟი სცვლის მუდამ ღამეს...
უფლის სიტყვით ინათა და
მზე ამოვა, შეცვლის მთვარეს...
დო, სი, ლა, სოლ...
სი'ლა,
რე'მი...
რემა, რემა,
ნება, ნება...
გაიტაცებს
სიო ნელა...
გააჭენებს,
ღრუბელს ველად...

22.07.20226.

მოვა აგვისტო...

ახლა გწერ და ვტირი, ძამია...
„ცხოვრება წამია“...
– მოვა აგვისტო, მარიამიც დაგვლოცავს,
ალბათ...
მკათათვე უკვე წარსულია,
უვლია სწრაფად.
მიჰყვა თიბათვეც ავად,
თუ ისე...
მაინც კარგად.
მოვა აგვისტო, მარიამი დაგვლოცავს,
ალბათ...
ზაფხულის სევდის მესამედი უკვე გავთიბე.
თითბერის თავშალს დამაფარებს, მაგრამ არ კმარა...
ეს განედი ახლავს შავად ზოლს, ღმერთო, მაკმარე.
მეც გავედი საკმაოდ შორს,
უკვე აღარ თოვს...
მოვა აგვისტო, მარიამიც დაგვლოცავს,
ალბათ...
მოვაგვირისტო...
თვის ბოლოს უნდა მოვახვიო ჩემი შტო წამლად!
გული ყოველთვის სევდითაა, ტირის
აგვისტოს.
თუმც მზიანია, აივსება ზღვის სანაპირო,
იმ სანაპიროს, ცხრა რომ ჰქვია, არ ხარ...
ამიტომ,
უშენოდ...
ტირის აგვისტო და ჩემი გულის
რტო...
ცხრა რომ ჰქვია,
ხო! ის დღე უნდა მოვაგვირისტო!
რადგან თალხია, ავია და შემზარავია,
ერთი რძით გაზრდილს, აღარ გვეყო ერთი თავშალი,
დედის წიაღში შენთან ყოფნა არ მინანია.
ახლა, რომ მყავდე,
ზღვის ნაპირზე კარავს გავშლიდით,

ყველა სევდას და ნალველს
უსასრულო ცურვით წავშლიდით.
გავა აგვისტო, დასასრული მაინც კარგია,
იქ ცად შენ მყავხარ, მაგრამ ჩემთან მარიაშია...!

01.08.2022წ.

თეზოს ...

ძველ კარადაში ძველი კოსტუმები,
თაროზე შერჩენილი შავი კაშნე,
იქვე ჰკიდია ბავშვობის ლურჯი ჩოხა,
შენ კი კომოდიდან მიმზერ.

09.08.2009წ.

დედას

ღმერთო, რამდენჯერ გადავრჩი...
სამჯერ კი არა, მეტჯერაც.
მამაჩემს ვკითხო?
დედაჩემს?
ასეთი რა მადლი თესეს...
დღემდე რომ გადამარჩინა?
თუ, დიდი პაპის მანტიამ
დღემდე ლოცვებით მატარა.
ვეცდები, დედი, ეს გზები
მეც მადლიანად განვლიო;
რომ ბებოს ნაჭამ ტყემალმა,
შვილიშვილს,
კბილი არ ატკინოს!

07.07.2021წ.

მე და შენ ანუ შენ და მე

მინდა ვი-მარტო
და
მინდა ვი-აპრილო...
მინდა ვი-მაისო...
შენი გულის ნამლად...
მინდა,
სასთუმალთან იებს მახვედრებდე,
შენით თენდებოდეს დილა.
მინდა,
გაზაფხული ერთად გავლიოთ
და
დღეებს დაველოდოთ მზიანს...
ორივეს რომ გვიყვარს
მზე და
ზღვის ტალღები...
ერთად შევეგებოთ ზაფხულს,
თიბათვიანს....

08.03.2020წ.

ღამეირლი

მზე ზენიტშია მწველი თიბათვის,
დრო კიდევ დარჩა დაისის ხილვის,
ძალზედ შორია ჟამი სიბერის,
თიბათვე კიდევ ბევრჯერ ჩაივლის.
შენ მეცხრე ტალღა, მე კი ნაპირი,
არ დავივიწყებ, რასაც დაგპირდი,
ცელის მოსმამდე ზღვა უნაპირო,
უძირო ტბა და გზა უჭაობო.
ალმოდებული ჩემში გრძნობები
მრავლდება, როგორც ექო ხმოვნების,
ზღვის ნაპირებზე, ვით მედუზები
და ქვირილები, ოქროს თევზების.

ხო, გავეხვიე ტალღის მორევში,
ვით ქვიშა წყალში, ვით თევზი ზღვაში,
ხო, ვრჩები შენში და შენს ტალღებში,
დავიმალეები მე შენს მკლავებში.
ირგვლივ მტრედები და თოლიები,
შენთვის ღია აქვს გულს დარაბები
შენ მეცხრე ტალღა და მე ნაპირი,
არ დაივინყო, რასაც დამპირდი...

20.07.20116.

არაფერი მთავრდება!

შენზე ფიქრი წარსულად არასოდეს მექცევა,
გულში შემოღამება წამიერი ქარია,
თვალზე განა ცრემლია, წვიმა დამწვეთებია,
განა გავჭალარავდი, ზამთარს დაუთოვია.
შენი გულის ფეთქებები ჩემს გულამდე მოსულა,
შენი ყელის სურნელი ჩემს ყელს შემორჩენილა,
შენმა შემოცინებამ გული გამიხალისა,
ფიქრში ისე დავქრივარ, ვით რაშები ზღაპრისა.
დილით შენი სალამი, ღამე ძილინებისა,
სასთუმალი თბილია? შიში შემომეჩვია,
სუნთქვას გითვლი ასამდე, პულსი ძლიერ მშვიდია,
საბანს ნელა გისწორებ, არ დაგიფრთხო ძილია.
ისევ მიდი-მოდინ გზად გვიანი მგზავრები,
თუ რამე დამავინყდა ეგ სიბერის ბრალია,
განა აღარ მიყვარხარ? სკლეროზები დამჩემდა,
შენზე ზრუნვა წარსულში არასოდეს დამრჩება.
სიბერეში რა შემცვლის? რამ არიოს გონება?
მითხარ, რაში იცვლება შენი ეგ ამბორება?
გულსაც შემოღამება წამიერად ეკვრება,
არაფერი მთავრდება, მხოლოდ წლები გორდება!

02.12.20196.

ბული არ დაბერდება

სიყვარული შევსვი და მთვრალი დავიარები,
ცოტა ფეხიც მერევა, მგონი უკვე ვბერდები,
ხევში ჯანლი ჩამონვა, ვერ აფრინდენ მტრედები,
გაზაფხული ახლოა იებს დაველოდები.
ერთად უნდა გავლიოთ ამ ცხოვრების სავალი,
აგერ გრძელი გვირაბი, აგერ მატარებელი,
ლიანდაგებს გავუყვით შენ მესაჭე, მე მგზავრი,
სანყისია სიბნელე გვირაბს ბოლოს ნათელი.
მალე ირიჟრაჟებს და გაგვათბობენ სხივები,
ოცი წელი განვლიეთ ორ ამდენს დავჯერდები,
მე უშენოდ ვერ გავძლებ, მეყინება ბეჭები,
უჩემობას ვიცი რომ შენც ვერ შეეგუები.
შუა ზღვაში შევცურეთ არ გვაშინებს ტალღები,
ერთად დავიბადეთ და ერთად გარდავიცვლებით,
ცოტა ბუზლუნა გყავარ, ცოტაც უხასიათო,
თუ აქამდე მიძლებდი, ცოტაც უნდა გამიძლო.
არასოდეს გაივლო გულში ეჭვიანობა,
სიყვარულს ნუ დაჩრდილავ, არ უხდება ტყვეობა,
თუკი გამანებივრებ, გული არ დაბერდება,
ხევში ჩამონოლილი ჯანლიც უმაღ გაქრება.

18.12.2020წ.

დედის ხსოვნას

I - თაზო

ბებუის და დედის ხსოვნას

ამ ამბავში ფქვილიც, ქატოც
ორივენი ოხრად დარჩა,
მოგონებებს იხვევს ფიქრი,
მაჯვაც მისთვის გაისარჯა.
ომის მძიმე წლები იღვა,
სვანეთის მთებსაც უჭირდა.
ახალი წლის მოლოდინში
დეკემბერს ცა აუჭირხლდა.
მოდოდა ქალი ბავშვით,
წისქვილიდან მოდიოდა.
ცივ ზამთარში გაყინული
თბილი გული მოსდიოდა!..
ქორთე ჩქარობს შვილი ელის,
მიიტანოს ფქვილი მალე.
ხორბლის ფქვილი აქ ვინ მისცათ,
სიმინდი აქვს სავალალე.
მჭადით, ლომით, ჭვიშტარებით,
ზამთარი რომ გაიტანონ.
სიცვივე და უგზობა
მგზნებარებით აიტანონ.
აქ ზამთარი მკაცრი იცის,
აქ ზამთარი არვის ინდობს.
ნალექია იმხელა რომ
მხედარსაც კი თოვლში იფლობს.
ნამქერსა ჰყრის
ქარი მთიდან,
საკვამურის მილებიდან
ცა ბინდისფრად
იღებება.
ბაბუები აკვანს
თლიან,

ბებიები სართავს
ქნიან,
ცისკრის სისხამს იბევებენ,
ხვალის საზრდოს
დღესა ჰქმნიან.
მოდოდა ქალი ტომრით,
ბავშვთან ერთად
მოდოდა,
ქორთე ელის თოთო ბავშვი,
თვალზე ცრემლი მოსდოდა...
ჩაიარეს მჟავე წყლები,
სავალი გზა მცირდებოდა,
ახარხარდა ქარბორბალა,
უჭირთ ქარში გზის გაკვალვა.
დატრიალდა ცოდვის გორა...
დათვს ბუნაგში ტკბილად სძინავს,
ტყიდან ისმის კივის ტურა.
თვალს ნამქერი უგლისავთ და
ნამწამები მიეყინათ,
კლდიდან ჯიხვები სტირიან,
დასტყდომიათ თავზე ურვა.
იქუხა და ცამ იგრგვინა,
დაბარდვნილ მთას ზვაგი მოსწყდა
და დედის გულს ბოლო გმინვა!
გათოშილი ორი გული
ზვავმა მიწას ჩააყოლა...
შენწყდა ორის სიცოცხლე და
მესამე კი დააოზლა.

II-თავი

დაკარგული კვალი

მწუხრი ნვებოდა,
არ ჩანდა ქალი,
იფერფლებოდა
დამცხრალი ალი.

დაღონდა ქმარი
ხამს ხეიბარი,
ერთ დროს
მებრძოლი
და მეომარი.
ნადირობაში
მიზან განთქმული,
რაც უთქვამთ მთაში,
ცალყბად არ თქმულა,
მთიდან ირემი ბეჭით მოჰქონდა,
სიჩაუქითაც
თავი მოჰქონდა!
ვერსაით წავა
შეძრა სოფელი,
ყოველი ღრე და
ლობე ყოველი.
ეძებეს თურმე
დიდხანს ეძებეს,
არ დაუზოგავთ
ჯანი მეზობლებს,
მაგრამ ვერაფრით
იპოვეს კვალი.
იმ ადგილს, სადაც
ჩამონვა ზვავი,
მათ ჩირაღდნები
უნთიათ ღამით,
არა ტოვებენ
არცერთი წამით.
ტყეში დაძრწიან
მშიერი მგლები,
სისხლის მწყურვალნი,
დაგეშილები,
აქ საშიშია,
რომ არ აილოს
ნადირმა კვალი.

ექებს მანამ,
ჩათვლემილ ბაბუს
ბებო ეზმანა,
გამოცხადებით;
ნუ გვეძებთ თაი,
ნუ გვეძებთ თაი...
უფრო გვმარხავთ
და უფრო გმორდებით...
გვიპოვით მაშინ,
ენძელა რომ
გააპობს ცინულს,
როცა მზის სხივი
ძალას მოიკრებს
და მთის კალთები
აქვითინდება,
როცა ნაკრულა
წყალჭარმაგდება,
თავისით როცა
გადნება თოვლი.
დღე დღეს მისდევდა,
დაისი დაისს,
გაყინულ წყლებსაც
დაეტყო ბზარი.
დეკემბრის ბოლოს
გარდაცვლილები,
მარტის მინურულს
ცხონდა ცხედრები.
ბუნებას თავის
კანონები აქვს,
ჩვენ ვერას შევცვლით.
სტიქიის მიმართ
ეჰ...
უძლურია
ყველა სულდგმული.

III-თავი

ბაბუს ხსოვნას

მზე ჩაესვენა
ბათაშერებში,
ცეცხლი ჩაუქრათ
ქვაჩაშერებში.
დაურჩა ბაბუს
შვილი ობოლი,
დაისადგურა
სევდამ თვალებში.
დარბის პატარა...
– დედა სად არი?
დედა სად არის?
დედეშ! დედეშ!
დარბის ფეხშველი.
გოდებაში და
მწარე მოთქმაში
ბაბუმ ცალულლად
განლია წელი.
წლის თავზე ბაბუც
დარდმა იწირა,
სულ მთლად დაობლდა,
ისეც ობოლი.
– სოფელი მაინც
დიდი მაღლია,
მაგრამ სოფელსაც
რა აბადია...
ზოგი რძეს აწვდის,
ზოგი მჭადს და ყველს.
ასე ორმოცჯერ
ჩავიდა მთვარე.
ორმოცი მწარე
დღე ობლისათვის.

IV-თაზო

გამზრდელი ბიძის და ბიცოლას ხსოვნას

ორმოცზე თურმე
ქალაქიდან
ენვია ბიცო.
ბავშვმა ვერ იცნო,
რა თქმა უნდა,
ქალი არ ეცნო...
ქალი რა ქალი
კალმით ნახატი.
ღმერთს სილამაზე
არ უკმარია,
სიკეთეც მისთვის
დაუნათლია.
როს დაუნახავს
ბავშვი ფეხშველი,
დაუვარცხნელი
აბურდულ თმებით,
ვედროს მოათრევს
წყაროდან ჩოჩვით,
შემოეყარა გულზე
ნალველი.
გულში ჩაიკრა
ობოლი გოგო,
ჩამოუვარცხნა
ლამაზი თმები.
არ მიატოვა
სვანეთის მთებში,
წამოიყვანა ქალაქის
მტვერში.
უთქვამს მე ორი
ვაჟიშვილი მყავს,
ეს გოგოც ჩემი
მესამე შვილი.

(დედა ოთხი წლის თუ იქნებოდა)
ზარდა შვილივით.
არ მოუკლია
სწავლა, დაჩები.
რაც შვილებისთვის
გაიღო წრფელად,
არც ობლისათვის
უშურებია.
არ უნანია
არცერთი წამი,
მადლი სიკეთით
უბრუნებია.
თავადაც დიდი
მორწმუნე ქალი,
დედისთვის რწმენა
ჩაუნერგია.

V-თაზო

დედის და მამის ხსოვნას

ოცდაოთხ ზამთარს
გადაუვლია,
ოცდამეხუთე გაზაფხულია,
იასამნები ჰყვავის
ქუჩებში,
მზე ძალას იკრებს,
სიცვივე იკლებს,
როგორ უხდება გააპრილება
თბილისის ქუჩებს,
სიცოცხლე კვლავ სჩქეფს.
– დედასაც გაუხარია,
კარგი სვე-ბედი სწვევია,
გულმა დაინყო
ფრიალი,
თავი პეპელად უგრძვნია.

მამა ყოფილა ვაჟკაცი,
წარმოსადეგი ქართველი.
გაიკითხ-გამოიკითხეს,
როგორც ძველადა ხდებოდა.
წუნი რომ ვერა დაუდეს,
თანხმობა მისცა გამზრდელმა.
დანიშნეს, წამოიყვანეს
მზითები არ დაუკლიათ.
მაყარიც დიდი ჰყოლიათ,
ჯვრისწერა მცხეთას ჰქონიათ.
ლმერთმა ინება აჩუქათ
ორი ვაჟი და გოგონა.
სიამ-ტკობაში განლიეს,
ცხრამეტი წელი უკლებლივ.
დედაც და მამაც შემორჩა
მეხსიერებას კეთილი.
ბევრი ობოლი დაზარდეს,
ბევრს გაუკვალეს გზა-კვალი.
მეოცე გაზაფხულია,
აღდგომის წინა დღეები,
მთვარე ალვებზე წვებოდა,
ეზოში ძაღლი აყმუვლდა,
მამიკოს
გულმა უმტყუნა, გამთენიისას
გაჩერდა.
კედლის საათიც შეჩერდა,
სარკეს ჩააცვეს ზენრები,
მოდინ-მიდიან
ძაძებით,
მიხაკებით და
თაღებით.
მე ჯერ ვერაფერს
ვერ ვხვდები,
რატომ წავიდა
მარილზე,
ლამეა,
რატომ არ ვწვებით?...

სანთელს ხატებთან
კი ვხვდები,
მაგრამ ცხვრის
თავზე?
ვერ ვხვდები...
მეც ხომ მაგზავნით
მარილზე,
ხომ მივდივარ და
ვბრუნდები...
– თუმც ისევე სცვლის
დღე-ღამეს,
ისევე მოფრინდნენ
მერცხლები,
ჩემთვის ცხოვრება
ალარ სჩქეფს,
დაკარგა
ლალი ფერები.
წელი-წელს მისდევს
ვიზრდები,
მიიზღაზნება ობლურად
ჩემი ბავშვობის დღეები.
დედამ სამ-სამი ობოლი,
დიდი წვალეებით დაგვზარდა,
არ გაიხადა შავები,
მამა არ გადაგვაფიწყა.
დღისით მამობას გვიწევდა,
ღამით წავასწარ ტიროდა.
ასე ობლობით ნაზარდი
ქრისტეს ასაკში შესული
„ნანი-ნანატრი ნანინა“
ბედმა ვაჟკაციც წაართვა.
თითქოს ცოტა
რომ ინათა,
თითოს ცოტა რომ
გამოთბა,

ცად გაუფრინდა
ერთ წელში,
სიყრმის შვილი და
ყრმის შვილი.
ორივე ქმარს
ჩააბარა.

იმ დღიდან დედის სახეზე
ღიმილი აღარ მინახავს.
მუხლჩაუხრელი შრომაში
შვილი მეც გამაზრდევინა.

(დედა კი არა,
რკინა იყო გამობრძმედილი,
ქალი კი არა,
ვაზი იყო,
ყლორტებ შეჭრილი),
ჟამი ნისლს ახვევდა დედას,
დედა ნისლს არ ეპუება.
არ დასცდენია
ღვთის სამდურავი,
სიბერის კართან
იდგა მდუმარი,
კაცი არ ჰყავდა
უძრახი ან
მომდურავი.

ველარ გაუძლო ვაი-ჟამს,
დედასაც გულმა უმტყუნა.
ახლა კი უკვე
დიდი ვარ,
ვიცი რა არის
მარილი...

– სანამ დედა მყავდა მხარში,
ზამთარიც გაზაფხულობდა.
ათი წელია
მას შემდეგ
რაც გაზაფხული დაზამთრდა.

– თქვენს ხსოვნას გულით ვატარებ,
საფლავს არ ავაჯეჯილებ,
სანამ თქვენამდე
არ მოვალ,
სანამ, სული არ დამტოვებს!

p.s

დედა იტყოდა თვის ბედზე:
„ობლის კვერი ცხვაო და
ველარ გამოცხვაო“.

12.12.20216.

ლექსები მეზობლებისგან

ნეჭუს კესანუსბან

შენ დაიბადე, როგორც ვარსკვლავი
ჩვილივით წმინდა უღრუბლო ცაზე,
შენ დაიბადე და გიგალობეს
ანგელოზებმა უკვდავებაზე.
შენ დაიბადე და დეკემბერმა
ფერი იცვალა სიყვარულისფრად
გილოცავ, ტკბილო, მე შენ მიყვარხარ
მე შენ მიყვარხარ, მინდა სულ გითხრა.
ტკბილო და თბილო, კეთილო, ლალო,
ერთგულო, სანდოვ და სულ მზიანო,
იბედნიერე და იდღეგრძელე,
ჩემო ღვთისფერო, ადამიანო.

ხათუნა გოგბერაშვილი

17.12.2021წ.

თაშთასბან

„მზის დაბადება.“ ნერილი ნერუს...

„უჩვეულოდ სვავრიელი თოვლი იდო თბილისში, მეგობარო, ზუსტად იმ წელს! – ბარბარობის დღე იდგა...“ – ვწერ და ვღელავ... იწვის, დნება, ეს სანთელიც – ცვილის... შინ კი, ისევ, მე – უცვლელი, – ტერფამდე და თხემითგან, ველი თორმეტს! – და დადგება დღე, როს იშვა, იგი! – მზე! როცა გაჩნდა ქვეყანაზე მეგობრობის თილისმა! და ყოველი სიყვარულის, ერთგულების იგავზე – მაგონდება ნერუ, ჩემი – (აჰ, შემინდოს თბილისმა...) „იცი, ნერუ, რომ მე შენგან მეგობრობა ვისწავლე?! იცი, ჩემო, მიტევენაც დავისახე იმ ერთად... ახლა, წვიმას ჩამოცლიან ეს ღრუბლებიც, ვიშ! – წავლენ და მე ისევ მარტო ვრჩები ჩემი კალმის იმედად... ალბათ, მედდა, ახლა ამცნობს: „იბადება ქალი-მზე!“ ალბათ, მამა მედდას – მაცნედ ხუთ-მანეთად „ქირაობს“... ალბათ, ციცქნა ნერუ ტირის მშობიარის კვილზე... (როგორც, ახლა, დღე – უშენოდ... და იკიდებს კვირა ობს...) ალბათ, ცაში ტრიალებდა სალიარკის სურნელი... ალბათ, იმ წელს, როგორც ახლა, ბარბარობის დღე იდგა... თოვლი იდო... (იცი, რომ თოვლს, როგორც ბავშვი – სულ ველი?!) იცი, ათვლას, ახალი წლის, რომ მე ვინყებ დღეიდან?!“ – ნერუ, ჩემო, ვედარ... – ვედარ ვიმორჩილებ ამ ხელებს – ცივა! ვწვები, ვაქრობ სანთლებს! (იზიდავენ, ო, მწერებს...) ალბათ, დილით, ამ თეთრ ღამეს უპეები ამხელენ... ნერუ, ჩემო მეგობარო, საიმედო მომწერე!

თამთა მუმლაძე

17.12.216.

ნეჭუს!

იყოს მასი, ვარდობის თვე,
თქვენთვის აისი;
ვარდთა სურნელი, იღვრებოდეს
დროთა ფერხულში...
გზას გინათებდეთ, ანარეკლი მისი დაისის;
და სავალ გზაზე, გიფარავდეთ უფალი ღმერთი,
რამეთუ თქვენში სიყვარული
ნამდვილად ყვავის!
ამ ნიჭის მფლობელს, თქვენ გეკუთვნით,
გვირგვინი, დაფნის....
თქვენის სურნელით, ყველა დრო ყვავის!
თქვენის სურნელით, ყველა დროს ერწყმით;
სპეტაკი ქალი, გულწრფელი სახით!

თამარ ნადირაშვილი

ნერუს...

სამშობლო ამაყობს თავისი შვილებით,
ვინც შემოსილია, სინმინდის სხივებით;
სიკეთით, სიმდაბლით, ლამაზი გულებით!
ქართული სულის, ვაჟკაცთა ხილვით.
მანდილოსნების: ქართველის დედობით,
წმინდა მანდილით!
თქვენ, რომ ატარებთ და თავზე გხურავთ;
რამეთუ ფეთქავს, მასში სიცოცხლე
და იტოტება, ახალ ბარჯებით!
ს ა მ შ ო ბ ლ ო ამაყობს, თავისი
შვილებით.....

ვასო ყაჭიაშვილი
20.05.2022წ

ნეჩუს

მე შენს კალამს ვენაცვალე,
ჩემო სულის ნაწილო,
სპორტის, ლექსის სიყვარული
როგორ გავანაწილო?!
რა ლამაზი, რა უშუალო,
არის შენი ლექსები,
ფიზიკულტურის ინსტიტუტში,
არის ჩვენი ფესვები.
პოეზიის გზას ადგებარ,
ლექსები გაქვს ფრთიანი,
ხმის ტემბრი გაქვს სანაქებო,
სიტყვა ბარაქიანი.
ნინო! მუზას დაგილოცავ,
მართლა მემამაყები
რაც კარგი ვართ, ეს ჩვენა
ვართ,
სპორტის ვეტერანები!

გრიგოლ მიქაუტაძე

რა მიზანი აქვს ასხლეტილ ტყვიას?!

მყრალ ყიას მართალს რა ათქმევინებს,
რა მიზანი აქვს ასხლეტილ ტყვიას?!
დადლილს სიმძიმე თავს ახრევინებს
და ისიც ბოლოს ნასვრეტის ტყვეა.
როცა გავიგე ეს ხმა ლოცვებრი,
შესხმა და ხოტბა პოეზიისთვის
სექტემბრის ქარში მოწყდნენ ბრონლები
და ცა გაიხსნა მომრეზილისთვის.
რომ მე ძილისპირ ქარის ნანასთან
ერთად მესუნთქა მენამური ცა,
სადმე ღელისპირ ოქროსყანასთან
მსალბუნებელი, მონამლული ცა...
შენი ტუჩები რაღაც უჩვევ და
საკრალურ ამბავს მეჩურჩულება
ვნებით, მითხრობენ დემარშს გულჩვილთა
გაუზავებელ მესხურ თქმულებად.
მყრალ ყიას მართალს რა ათქმევინებს,
რა მიზანი აქვს დათმენილ სიტყვას?!
ხოდაბუნები გაათქერინეს სეტყვას!..

ილია ჩხვიძე

კაწისბან

თენდები, მეგობარო, ისე თენდები,
ფიფქის არშიით კაბას ირთავს ზეცა თარღალა,
დღე მიყვარს იგი, ოთხივ ხედები,
სადაც სიცოცხლემ, შენი მოსვლა ჩემად დაბადა.
შენი ბაგიდან საამანბნები, ჩემი ბნკარებით,
ლურჯი პეპლების საღბუნია ხმა დაფიონზე,
სულში გიხუტებ, მეგობარო, მზისფერ მკლავებით,
ვიცი ამოხვალ, ცისნაერთო, ხვალ ალიონზე.
არ იყავი და არც სხვა იყო ჩემ საფერებად,
მოუთოვია თურმე შობად ნინო ქალისა,
ადიდებულან სიყვარულის ასაზვირთებლად,
მოუტანია, მოსატანი დასაბამისა.
თენდები, მეგობარო, ისე თენდები,
შობად ქცეულა მუცლად ყოფნა დედაკაცისა,
მოხვალ და ჩემში, ნახევარი გამიმთელდები,
ახლა სრული ვარ, უსასრულოდ, მიწავ, ამ ცისა.

ეკატერინე გურული

სოფიასბან

დღეგრძელ იყავ, სულ'მზიანო ქალბატონო!
დაგელოცოს ამა სოფლის ნუთი-ნამი,
სავალ გზებზე უფლის მაღლი მხრებს გეფინოს,
თვით უფალმა შენით ლოცა დრო და ჟამი...
და რამდენი სითბო დაგაქვს უბით, ქვეყნად
და რამდენი სიხარული ჩვენში ბადე,
მსურს შევკონო ყვავილები ყველა ერთად,
გულით გიძღვნა ეს სტროფებიც ვალად მადევს...

სოფია საყვარელია

17.12.20216.

ნერჟი-ს

შენ ხარ ნიჭი და ხსნილი გონება,
სამშობლო მუდამ რომ ეყვარება...
სათნოება ხარ შენი ქედნების...
და ხმლით დამცავი ტკბილი ვედრების.

ლიანა კაკუბავა

26.05.20226.

ეთოსბან

ნერუ, სულისფერო მეგობარო,
დაფთა უხილავი ბოლოები,
ისე ჩაგვეჭიდა ფიქრებზე, რომ
აზრებს არ სჭირდებათ სოროები,
სადღაც გადამალვა, – დობის ქნარო!
ახლა შემიძლია გესაუბრო: ცუდზე, კარგზე,
რალაც ვერ შემდგარზე,
გულზე მონიკნიკე წყაროს დარო,
როგორ მებევრები, რომ იცოდე,
ჩემთვის გაჩენილო, მეგობარო!
მალე გარიყრაჟი შემომანნის,
სხივებს, ნამძინარებ უპეებზე,
შენმა დაბადებამ შემაფხიზლა,
როგორც დასვენებამ, – უქმეებზე...
ნერუ, სულისფერო, იცი, ახლა,
სულში ბარბარობა რომ მფეხადობს?!
დღეებს, უშენობა გამოკლებულს,
როგორ მოვინელებ, ვერაგ ხან – დროს...
წუხელ, მეგობარო, ჩამეძინა,
ახლა ვერ ვპატიობ თავს და არ, და
გონში, მოსალოცად ასხმულ სიტყვებს,
ურცხვად ეფარება ღამის ფარდა...
მგონი, ჯობია, რომ აღარც გითხრა,
ან კი, რაღას ვჩმახავ, ბოლო-ბოლო,
სათქმელს მოვანდობ და თვითონ გეტყვის,
გულთან მოზჯენილი დაფის ბოლო...
ნერუ, მე ასე მწამს, მეგობარო!

ეთო მეფარიშვილი

17.12.21წ.

სამადლობელი...

ნინო როსტიაშვილს

ჩემს პოეზიას ჩაუდგი სული,
ვითარცა ტკბილი საგალობელი...
მე სიხარულით მფეთქავი გულით,
როგორ არ გითხრა სამადლობელი?!
შენს ნაოცნებარს... შენს ლამაზ აზრებს,
თითქმის ყოველდღე ვკითხულობ... ვისმენ...
ასე მგონია, რაც მალამაზებს,
ეგ სალბუნია, შუბლზე რომ ვისმევ!..
ფიფქივით ცაში დამაფრენს ფიქრი...
და სიხარული, გულს რომ მიკეთებს...
წამიერია სიცოცხლე ფიფქის,
მარადიული შენი სიკეთე!..
ასჯერ მადლობა... ეგ ხიბლი სრული,
ჩვენ რომ მოგვიძღვენ, ჩვენთვის რომ გალობ...
ლამაზ სხეულში ლამაზი სული,
ჩაგსახლებია, ოცნების ქალო!..
არამართო ჩემს, ბევრის გულს ათბობ...
მრავალხმოვანი საგალობელით...
და ყველას ერთხმად სულებში გვათოვს,
შენთვის სათქმელი სამადლობელი!..

თეო ქველაძე

06.08.2022წ.

სარჩევო

წინასიტყვაობა	3
პროლოგი	5
- ტირე -	6
სამშობლო	8
მე ვარ...	10
საგურამოს გზაზე	11
მე მაპატიეთ...	12
ბებერო მცხეთავ!	13
სიმართლისათვის	14
გურიას და გურულებს	16
როცა	17
დედუღეთს	18
იმედი არ კვდება!	19
სტუმარ-მასპინძელი	20
მრავალჟამიერ, ქიზიყო!	22
შენ როსლა გაბრწყინდები?	24
აფხაზეთო!	25
დაკარგული აღმასები	26
რინა	26
არსად	27
არავის არ ჰგავს...	28
ნუ ჩქარობ...	28
დედა ენავ!	29
სვანეთის ცის ქვეშ	29
სხვა სიყვარულია...	30
არ გაგიჭირდეს, მამულო!	31
არ გძულდეს მაინც!	32
ენგურს...	34
ცამეტი წელი	35
როგორ გინოდოთ, ქართველნი?!	36
არდადეგები	38
ქობულეთური ვოიაჟები...	39
ზღვის ზღაპარი	40
ქერუბიმობენ კრიტიკოსები...	41
მონამეთა და გელათი!	42
*** დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა	43
დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა!	43
ბაგრატს	44
სამშობლო მტკივა	46

თბილისს	47
ბარათი თბილისს	48
შარშან...	49
თბილისი	50
თბილისს	52
*** იყო დღეები	54
წუთით მოსული	56
თბილისის სალამი ემიგრანტებს	58
მახსოვს...	59
თბილისი ხომ...	60
უცხოდ...	61
ჩვენს ეზოში	62
ბოლო მანეთი...	63
რწმენა	65
უფალო, შემინდე...	66
ნაღველი მანევს	68
შობას	69
„წმინდაო დიდო მოწამეო ეკატერინე, ევედრე ღმერთსა ჩვენსა“	70
ჩამოდი, ღმერთო!	71
გიხაროდეთ!	72
შემინდე და მომიტევე	74
ვნების კვირა	75
ქრისტე აღდგა! გაბრწყინდება იბერიც!	76
ჩემი ივნისი...	77
ჩვენ ვისაუბრეთ	78
ლუკმაა ჯამში...	80
გიორგობის თვეო!	82
გიორგობის ოცდაერთი	83
ვედრება	84
რწმენაა საგზალი	85
ჯვრის ძალა...	86
ამინ!	87
შენით!	88
ჯვართამაღლებას	90
მადლობა უფალს	92
მისია	93
ერთგულება	94
დამლოცე...	95

და როგორც იტყვი...	96
მე ახლაც ვცოდავ...	97
ერთადერთი...	98
მე მინდა ვიყო...	100
გამილე კარი...	102
ფერიცვალეებით...	103
სცადე...	104
დედაო ღვთისა!	106
ზღვარზე...	108
მთვარესთან გელოდები...	110
მუზას...	111
ვიხდი ტკივილებს...	115
გზაგასაყარზე...	118
იანვარს ვუცდი დღეს!	119
ლექსები მეგობრებს	121
ის არის თუ, მინდოდა ის ყოფილიყო?!	122
უნაზესი ასული	124
მეგობარს	124
დამიძახე, მეგობარო!...	125
ლასიანა ერთი წლის	126
გოგო იბადება...	127
კესანეს	129
ჩემს კესანეს	129
მეგობრებს	130
გლდანელი ირმას ხსოვნას	131
ყველა ნაფიქრი ღმერთამდე მიდის	132
თქვენ	133
მაია სიჭინავას	133
გიხაროდენ!	134
„ვინ თქვა, ღიმილი არ შეუძლიათო სევდიან ქალებს“?!	134
უბრალოებავ...	135
სიყვარულით ემოლ'ას	135
შემდეგი გაჩერება – სარაჯიშვილი	136
ჩემს ბავშვობას	136
ტყუპიკოებს	137
დილიდან საღამომდე	138
ნათია ელიბოშვილს	140
ძვირფასო!	140
წერილი ნინას	141

პასუხი ნერუს	142
მაგდა გორგიძეს	143
ამირან ხეცაძეს	144
ამირან ხეცაძეს	144
ირინოლა ტყეშაველს	145
ქალბატონ ნორა ედიშერაშვილს	145
ლილი გულბათაშვილს	146
ლალიკოს	147
კუსკის	148
როგორ ჩემად გაპარულან წლები	149
მხატვარ ნათია მერაბიშვილს	151
იოანე გუდამაყრელის	152
ოჯახს	153
მაშოს	154
მე და კაკლის ხე...	155
წერილი ძმას	156
სიზმარი	157
„ჩემი სახელით გაეცით მონყალება“	158
ორნი	159
მადლობელი ვარ	159
ნერუ	160
ძმას	161
მამას	162
მამის თვალით	163
დედას	163
კაცი ხელჯოხით	164
შენი ხალათი	165
დე	166
შენი იასამანი	167
დაბრუნდნენ...	167
გლანდავთ...	168
ნათელმირონი...	169
ახლა...	170
აღსდექ!	170
რა ჩაიფიქრე?	171
მაშო-ს	171
შენ რომ არა	172
ზმანება	173
მომენატრეთ და მოვედი თქვენთან	174

სიზმრად ნანახი	174
ანდერძი	175
ერთი წლის თავზე...	176
ლეგენდარული	176
სად არის მერვე?..	177
ასი წლის მერე	177
ძველი ლექსების პასუხად!	178
დასასრული უკეთესი იქნება, ვიდრე დასაწყისი...	179
მოვა აგვისტო...	180
თემოს ...	181
დედას	181
მე და შენ ანუ შენ და მე	182
დამპირდი	182
არაფერი მთავრდება!	183
გული არ დაბერდება	184
დედის ხსოვნას	185
	191
ლექსები მეზოზოკისგან	197
ხათუნა გოგბერაშვილი – ნერუს კესანესგან	198
თამთა მუმლაძე – თაფთასგან	199
თამარ ნადირაშვილი – ნერუს!	200
ვასო ყაჭიაშვილი – ნერუს...	201
გრიგოლ მიქაუტაძე – ნერუს	202
ილია ჩხეიძე – რა მიზანი აქვს ასხლეტილ ტყვიას?!	203
ეკატერინე გურული – კანისგან	204
სოფია საყვარელია – სოფიასგან	205
ლიანა კაკუბავა – ნერუს	205
ეთო მეფარიშვილი – ეთოსგან	206
თეო ქველაძე – სამადლობელი...	207



ეპილოგი...

მკონი, დამტოვეს სუკუე მსუჩებმა,
 ანდაც, სათქმელი ვამბელოა,
 სამასი ლექსი დამიწერია,
 სამასმეტრეუ ეპილოგია.
 წემი სურლი და წემი ვრძნობები,
 ერთად ლექსებში ვამბელებულა,
 არ შემოგვყვი არცერთს თარაჯა,
 მკითხველს უსტოვებ, მე, მას დაჩაჯად.
 აქედან ერთიც თუ მანერეულეებს,
 უიტყვი, რომ მსუჩა მართლთა მყოლია,
 უიტყვი რომ ათას ნათევებ ლამეს,
 წემთიეს სუკელოდ არ ჩასუვლია.
 აბა რად მიხდა, ლექსი ათასი,
 თუ ერთმა მანც არ იურთიანა,
 და არ დამტოვა ვერლი ნათელი,
 რომ სახსენებლად მენთოს სანთელი.

ნებრეუ

ISBN 978-9941-8-4911-4



9 789941 849114